პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№061 (12 131) 15 მარტი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

# გოგუა რადიმოვს ისე შეასკდა...



გუშინ, სატურნი-ზენიტი. გოგუა (მარცხნივ) ბურთისთვის ბრძოლაში

სირაძე ფრაიბურგში

მიქუჩაძის დუბლი ისრაელში

დაბრუნება ვენტსპილსში

4



შოტლანდია. ინტერვიუ ალექს მაკლიშთან

## ვინ თქვა, ქართველები სუსტები არიანო?

**პირველი** თამაში მწვრთნელისთვის ბევრს ნიშნავს. მეტადრე მაშინ, თუკი მწვრთნელი იმ ნაკრებისაა, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი გააჩნია. ასეთ დროს მას წარუმატებლობის უფლება არ აქვს. ამასვე ეუბნებიან ალექს მაკლიშს შოტლანდიელები, საქართველო უთუოდ უნდა დაამარცხო, იტალიიდან კი სულ მცირე ქულა გაქვს წამოსაღებიო. მაკლიშის ნააზრევი გაინტერესებთ?

- არ დაგიმალავთ, პრობლემები გვაქვს, განსაკუთრებით შემტევ ნაწილში, მაგრამ გადაულახავი ბარიერი არ არსებობს. საქართველოსა და იტალიასთან მატჩებისთვის ნაკრებში 4 კარგი ფორვარდი გამოვიძახე. ვფიქრობ, მეტი საჭირო არაა. ჩემი აზრით, ნახევარდაცვაში უფრო საჭირო მეტი და კარგი ფეხბურთელის დაყენება. მათ შორის ისეთების, რომელთაც დაცვით ფუნქციების შესრულება შეუძლიათ. არ მაინტერესებს გოლს ვინ გაიტანს, მთავარია, მეტოქეზე ერთით მეტი გოლი გავიტანოთ. საფრანგეთთან ბურთი მცველმა გაიტანა. ასე რომ, ყველას უნდა შეეძლოს საჭირო მომენტის გამოყენება და გოლების გატანა. სულაც არ ვნერვიულობ, რომ კენი მილერს, "სელტიკში" ამ ბოლო დროს გოლები ველარ გააქვს, ნაკრებისთვის გამოსადეგი კაცია...

2

შოტლანდიის ნაკრების შემადგენლობა და მოთამაშეთა საფეხბურთო პორტრეტები 2

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

## ჩემპიონი ჯავახიშვილია

**სოფიკო ხუხაშვილის** პირველი მცდელობა, საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოეპოვებინა, უშედეგოდ დასრულდა - **ლელა ჯავახიშვილთან** დამატებითი მატჩის 5-წუთიან პარტიებში 0:2 დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ბლიცამდე ოქროს მედლის მაძიებლებმა ორი 25-წუთიანი პარტიები გაითამაშეს. პირველ შეხვედრაში წილისყრამ თეთრები ჯავახიშვილს არგუნა და მანაც გამოიყენა საწყისი უპირატესობა - მატჩში დაწინაურდა. საკმარისი იყო ლელას ყაიმისთვის მიეღწია მეორე პარტიაში და ჩემპიონიც გახდებოდა, მაგრამ ვერ შეძლო - შუა თამაშში ჯერ პაიკი წააგო, შემდეგ კი მატერიალური ზარალიც განიცადა და ბოლოს დაშამათდა კიდეც. 1:1 და წესის თანახმად ბლიცები დაინიშნა.

წილისყრა ხელახლა გაიმართა და თეთრი ფიგურები პირველად ჯავახიშვილს ერგო. პირველი პარტია ძალიან საინტერესოდ და დრამატულად წარიმართა - ჯერ ლელა შეცდა და მატერიალური ზარალი უნდა ენახა, მაგრამ სოფიკომ უმალ დაუბრუნა ხურდა და თავად ჩამორჩა ფიგურით. ჯავახიშვილს მშვიდად შეეძლო პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა, მაგრამ მოეშვა და ზედმეტი ფიგურა დაკარგა. ამასობაში ცაიტნოტიც მოვიდა და დროის სიმცირეში კიდევ უფრო გაიზარდა შეცდომათა ალბათობა. ასეც მოხდა - ეტლების ენდშპილში ხუხაშვილი კიდევ ერთხელ შეცდა და წააგო.

მეორე პარტიაში სოფიკო ეცადა ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ ლელამ უკეთ ჩაატარა გადამწყვეტი პარტია და გაიმარჯვა. საერთო ანგარიში 3:1 დაფიქსირდა ჯავახიშვილის სასარგებლოდ და ჩემპიონადაც ის გამოცხადდა.

23 წლის ლელა ჯავახიშვილი საქართველოს ჩემპიონი მეორედ გახდა. პირველად მან ეს 6 წლის წინ, 2001 წელს შეძლო და მაშინაც დამატებითი მატჩის გამართვა დასჭირდა - მეტოქედ **ნანა ძაგნიძე** ჰყავდა. სხვათა შორის, ჯავახიშვილი ძაგნიძეს 2004 წელსაც შეხვდა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში და მაშინ ძაგნიძემ რევანში აიღო, მესამე მცდელობა კვლავ ლელას სასარგებლოდ დასრულდა.

მარცხის მიუხედავად, ხუხაშვილს გულდასაწყვეტი ნაკლები აქვს - საქართველოს ნაკრებში მოიპოვა ადგილი და მაისში ეკატერინბურგში მსოფლიოს პირველ გუნდურ ჩემპიონატზე გაემგზავრება, იქამდე კი დრეზდენში, ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე ფედერაციისგან სრულად დაფინანსდება. ამას გარდა როგორც ჩემპიონი, ისევე ხუხაშვილი ფულად პრიზებს მიიღებენ. ფულადი ჯილდო ერგო ბრინჯაოს პრიზიორ **სოფიო გვეტაძესაც**. ის ევროპის ჩემპიონატზეც დაფინანსდება და ამიერიდან ნაკრების კანდიდატადაც ითვლება, - თუკი ევროპის ჩემპიონატზე ხუთეულში სხვა ქართველი ქალბატონი ვერ მოხვდა, სწორედ სოფიკო შეავსებს ნაკრებ გუნდს.

დაბოლოს, ნაკრები გუნდის წევრები და კანდიდატები რამდენიმე დღეში ბაკურიანში გაემგზავრებიან, სადაც საფუძვლიან შეკრებას გაივლიან.

**ზვიად შათირიშვილი**


ლელა ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. მეტოქე

# შოტლანდიელები შოტლანდიელებზე


ფრანგებთან გამარჯვების გოლის ავტორი გარი კოლდუელი

24 მარტს შოტლანდიასთან თამაშისთვის კლაუს ტოპმიოლერმა შემადგენლობა რამდენიმე დღის წინათ დაასახელა. მისმა შოტლანდიელმა კოლეგა ალექს მაკლიშმა კი იგივე მხოლოდ გუშინ მოიმოქმედა. სქოთების მწვრთნელმა ქართველებთან, ოთხი დღის შემდეგ კი იტალიელებთან სათამაშოდ, 26 ფეხბურთელს უხმო:

მეკარეები: ნილ ალექსანდერი (კარდიფი, ინგლისი), კრეგ გორდონი (ჰართსი), ალან მაკგრეგორი (რეინჯერსი) იან ტერნერი (ევერტონი, ინგლისი).

მცველები: გრემ ალექსანდერი (პრესტონი, ინგლისი), რასელ ანდერსონი (აბერდინი), გარი კოლდუელი, სტივენ მაკმანუსი, სტივენ პრესლი (ყველა სელტიკი), კრისტიან დეილი (ვეს ჰემი, ინგლისი), გარი ნეისმიტი (ევერტონი, ინგლისი), დევიდ უეირი (რეინჯერსი), ჯეკი მაკნამარა (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), გრემ მერტი (რედინგი, ინგლისი).

ნახევარმცველები: სკოტ ბრაუნი (ჰიბერნიანსი), კრის ბურკი, ბარი ფერგიუსონი (ორივე რეინჯერსი), პოლ ჰარტლი (სელტიკი), ლი მაკკალოხი (უიგანი, ინგლისი), ნაიჯელ ქოში (ვესტ ჰემი, ინგლისი), სკოტ სევერინი (აბერდინი), გარი ტილი (დერბი, ინგლისი).

თავდამსხმელები: კრეგ ბეტი, კენი მილერი (ორივე სელტიკი), კრის ბოიდი (რეინჯერსი), შონ მელონი (ასტონ ვილა, ინგლისი).

საქართველოსთან ნაკლებ, იტალიასთან დაპირისპირებას კი შოტლანდიური მედია დიდ ყურადღებას უთმობს. მთავარი თურმე იტალიიდან სულ მცირე ქულის წამოღებაა, თორემ ქართველებთან რომ სამი ქულაა ასაღები, სალაპარაკოდაც არ ღირს. "სქოთსმენიც" ცდილობს, წარმოაჩინოს ნაკრების წევრები სადღეისოდ რას წარმოადგენენ და აქვს თუ არა შოტლანდიას იტალიიდან სამი თუ არა, ქულის წამოღების შანსი. მართალია ეს ყველაფერი იტალიასთან მატჩზე აქცენტით გაკეთდა, მაგრამ ჩვენთვისაც არ უნდა იყოს უინტერესო.

**კრეგ გორდონი** (მეკარე, ჰართსი) – მან "ჰართსში" ადგილი დაიბრუნა და "აბერდინთან" შაბათის მატჩში კვლავ შთამბეჭდავად ითამაშა.

**ნილ ალექსანდერი** *(მეკარე, კარდიფი)*– "კარდიფის" მეკარე გუნდში წამყვანი ფიგურაა და ძირითადში მუდმივად თამაშობს.

**ალან მაკგრეგორი** *(მეკარე, რეინჯერსი)* – "რეინჯერსის" თავკაცმა უოლტერ სმიტმა მას სრული ნდობა გამოუცხადა. მიუხედავად იმისა, რომ შტეფან კლოსმა "ოსასუნასთან" ჩინებულად ითამაშა, სმიტმა გასულ კვირას "სელტიკთან" მატჩში კლოსის ნაცვლად მაინც მაკგრეგორი ათამაშა.

**გრემ ალექსანდერი** – *(მცველი, პრესტონი)* - "პრესტონში" სტაბილურად ასპარეზობს. "იფსვიჩთან" ბოლოს ჩატარებული მატჩი გრემ ალექსანდერისთვის მიმდინარე სეზონში, "პრესტონის" შემადგენლობაში რიგით მე-40 იყო.

**რასელ ანდერსონი** *(მცველი, აბერდინი)* – ის კიდევ ერთ სტაბილურ სეზონს ატარებს და ყველანაირად ცდილობს, "აბერდინს" ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი საგზური მოაპოვებინოს.

**გარი კოლდუელი** (მცველი, სელტიკი) – მუხლის ტრავმის შემდეგ ჯერ არ უთამაშია. ტრავმა მან გასული წლის მიწურულს "ინვერნესთან" მატჩში მიიღო. საქართველოსთან თამაშამდე მას "სელტიკის" რიგებში მხოლოდ ერთი კალენდარული მატჩის თამაშის შანსიღა დარჩა.

**კრისტიან დეილი** *(მცველი, ვესტ ჰემი)* –ეს სეზონი მისთვის ტრავმებით უფრო იყო დასამახსოვრებელი. "ჩარლტონთან" 0:4 წაგების შემდეგ "ვესტ ჰემის" სასტარტო შემადგენლობაშიც დაკარგა ადგილი.

**სტივენ მაკმანუსი** *(მცველი, სელტიკი)* – მართლაც ჩინებულ სეზონს ატარებს. სწორედ მაკმანუსი იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ "მილანმა" "სელტიკის" კარში დამატებით დრომდე გოლის გატანა ვერ მოახერხა.

**გრემ მერტი** *(მცველი, რედინგი)* – საიმედო მოთამაშეა. ცოტა ხნის წინათ "რედინგის" რიგებში მე-300 მატჩი ჩაატარა.

**გარი ნეისმიტი** *(მცველი, ევერტონი)* – მუხლის ტრავმის მოშუშების შემდეგ კლუბის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა. ის კარგ ფორმაშია და ალექს მაკლიშის ერთ-ერთი მთავარი იმედია.

**დევიდ უეირი** *(მცველი, რეინჯერსი)* – დაცვის ცენტრში საუცხოოდ თამაშობს. თითქმის წარმოუდგენელია, მაკლიშმა ნაკრების ძირითადში არ ათამაშოს.

**ბარი ფერგიუსონი** *(ნახევარმცველი, რეინჯერსი)* – კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც ალექს მაკლიშს იმედს აძლევს. ის საუკეთესო ფორმას უახლოვდება და რაც მთავარია, ტრავმებიც ხელს არ უშლის.

**პოლ ჰარტლი** *(ნახევარმცველი, სელტიკი)* – დისკვალიფიკაციის გამო საკმაო პერიოდი გაუცდა და წინსვლა "სელტიკში" გვიან დაიწყო. ის მოუთმენლად ელოდა ნაკრებში გამოძახებას. საქართველოსა და იტალიასთან მატჩები მისთვის ეროვნულ გუნდში დაბრუნების შანსია.

**ლი მაკკალოხი** *(ნახევარმცველი, უიგანი)* – მან იანვარში "უიგანს" ტრანსფერზე დაყენება მოსთხოვა. თუმცა კლუბის ხელმძღ ანელობასთან უთანხმოების მიუხედავად ინგლისური გუნდის სასტარტოდან მისი ამოგდება არავის უფიქრია. ნახევარდაცვაში აქტიურია და მისი გამოყენება თავდასხმაშიც შეიძლება.

**ნაიჯელ ქოში** *(ნახევარმცველი, ვესტ ჰემი)* – ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე აცხადებს პრეტენზიას. ყველაფერს მაკლიში გადაწყვეტს. "ტოტენჰემთან" ლონდონურ დერბიში იქამდე გაიყვანეს მოედნიდან, სანამ ტრიბუნიდან მოედანზე პეტარდების სროლას დაიწყებდნენ.

**სკოტ სევერინი** *(ნახევარმცველი, აბერდინი)* –გადაჭრით ძნელია იმისი თქმა, იქნება თუ არა სევერინი ძირითად შემადგენლობაში. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ შოტლანდიას ნახევარდაცვაში პრობლემები აქვს და ალბათ საქართველოსთან მატჩში მას სასტარტოში ვიხილავთ. აღსანიშნავია ისიც, რომ მას ნაკრებში ფარულ იარაღად მიიჩნევენ.

**გარი ტილი** *(ნახევარმცველი, დერბი ქაუნთი)* – გახმაურებულ, საფრანგეთთან მოგებულ მატჩში შეცვლაზე ითამაშა და მაკფადენის არყოფნაში შოტლანდიელთა შეტევებს სიმწვავე და მრავალფეროვნება შემატა. ფლანგზე ჩინებულად თამაშობს. ის "დერბიში" რეგულარულად ასპარეზობს. მისი კლუბი კი პრემიერლიგაში გადასვლაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს.

**კრის ბოიდი** *(თავდამსხმელი, რეინჯერსი)* – მართალია, გლაზგოური გუნდის ძირითად შემადგენლობაში ამ ბოლო დროს აღარაა, მაგრამ სახიფათო თავდამსხმელია.

**კენი მილერი** *(თავდამსხმელი, სელტიკი)* – ის ჯანმრთელადაა, მაგრამ ფორმაში არაა, ვფიქრობთ, ნაკრებში გარემოს სასიკეთოდ შეცვლის.

**დავით ცაბაძე**

# ვინ თქვა, სუსტები არიანო?

*პირველი გვერდიდან*



**- საქართველოს შემადგენლობას უკვე გაეცანით?**

- დიახ.

**- რისი თქმა შეგიძლიათ?**

- თქვენ რა გინდათ რომ გაიგოთ?

**- ის, თუ რამდენად ძლიერი შემადგენლობით გვეწვევა საქართველოს ნაკრები...**

- თითოეულ ფეხბურთელს ვერ დაგიხასიათებთ, არ ვიცნობ და იმიტომ. საქართველოს ნაკრების რამდენიმე თამაში ვნახე და უნდა გითხრათ, რომ იქ საკმაოდ კარგმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი.

**- ჰო, მაგალითად შოთა არველაძემ...**

- არა მარტო მან, თუმცა მას ყველაზე კარგად ვიცნობ. იმ თამაშებში, რომელიც ვნახე, სხვა საინტერესო და ჩვენთვის სახიფათო ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ.

**- და რას უპირებთ ამ საინტერესო და სახიფათო ფეხბურთელებს?**

- განეიტრალებას. საერთოდ კი ამ მატჩის მოგებს ვგეგმავთ

**- მეორე თამაში იტალიასთანაა. ალბათ იტალიელების შესწავლას უფრო მეტ დროს დაუთმობდით, ვიდრე ქართველებისას...**

- მე ყოველთვის ვამზადებდი გუნდს კონკრეტული თამაშისთვის. როგორ უნდა მოვამზადო გუნდი საქართველოსთან მატჩისთვის, თუკი ვისაუბრებთ იტალიაზე? ამჟამად მხოლოდ საქართველოსთან მატჩისთვის ვემზადებით. მერე კი იტალიასაც მივხედავთ.

**- გასაგებია, მაგრამ იტალიასთან დაპირისპირებას ხომ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს?**

- თქვენ გულისხმობთ, რომ საქართველოსა და იტალიის ერთ ჭრილში განხილვა მათი დონიდან გამომდინარე გაუმართლებელია. გეთანხმებით, რომ იტალიის ნაკრები უფრო სახელიანია, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. არაფერს გვარგებს იტალიაში წარმატებული თამაში, მანამდე საქართველოსთან თუ დავმარცხდით. ცნება სუსტი და ძლიერი მეტოქე ჩემთვის მიუღებელია. თანაც რატომ გგონიათ, რომ საქართველო სუსტია?

**- ზემოთ აღნიშნეთ შეტევაში პრობლემები გვაქვსო. როგორ აპირებთ მათ გადაწყვეტას. მხოლოდ ნახევარმცველების სიმრავლე ამას ალბათ არ ეყოფა...**

- გეთანხმებით, რომ მხოლოდ სიმრავლე სამყოფი არაა. არაერთი კარგი მოთამაშე გვყავს, რომელთაც შეუძლიათ წარმატების მოტანა. ისე კი, სიმართლე გითხრათ ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ბევრს ვფიქრობ და იმედია, მოვიფიქრებ კიდეც.

**- 26 ფეხბურთელის გამოძახება ორი თამაშისთვის ბევრი ხომ არაა?**

- უფრო მეტსაც გამოვიძახებდი, მაგრამ საუკეთესოების ასარჩევად დრო არ მყოფნის.

**- ესე იგი შეიძლება რომელიმე კარგი ფეხბურთელი ნაკრების მიღმა დარჩეს?**

- ამის ალბათობა ყოველთვის არის. ვილაც თვლის, რომ რომელიმე სხვა მოთამაშე იყო გამოსაძახებელი ამა თუ იმ ფეხბურთელის ნაცვლად. ჩვენ გამოვიძახეთ ამ დროისთვის ჩვენი აზრით საუკეთესო ფეხბურთელები, მაგრამ განა მათ გარდა არავინაა ნაკრებში გამოძახების ღირსი? როცა არჩევანის გაკეთება გიხდება, იმის შანსიც არის, რომ არჩევანში შეცდე.

**- იმედია არ შეცდებით...**

- მეც მაგის იმედი მაქვს.




17.03.07 - მე-17 ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| მერანი-ბორჯომი | ამერი-დილა |
| ლოკომოტივი -ოლიმპი | გაგრა-მესხეთი |
| ზესტაფონი -ვიტ ჯორჯია | დინამო2-ამერი2 |
| კახეთი -ჩიხურა | ფრაიბურგი- კაიზერსლაუტერნი |
| სიონი -ბათუმი | პუუ-კიკერსი |
| ტორპედო -დინამო | |

ევრო 2008. მეტოქეები

უკრაინა

# ბლოხინის რჩეულები

24 და 28 მარტს ჩვენს ჯგუფში არაერთი მატჩი გაიმართება. უკრაინის ნაკრები ჯერ ფარერის კუნძულებს ესტუმრება, მერე კი ლიტვას უმასპინძლებს. ამ მატჩებისთვის **ოლეგ ბლოხინმა** ნაკრებში 22 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ბოგდან შუსტი (შახტიორი), ანდრეი პიატოვი (ვორსკლა).

მცველები: ანდრეი ნესმაჩნი (დინამო), დმიტრი ჩიგრინსკი, ალექსანდრ კუჩერი (ორივე შახტიორი), ანდრეი რუსოლი, ვლადიმირ ეზერსკი, ალექსანდრ რომანჩუკი (ყველა დნეპრი), ვიაჩესლავ სვიდერსკი (ჩერნომორეცი).

ნახევარმცველები: ოლეგ გუსევი, რუსლან როტანი, ტარას მიხალიკი, სერგეი რებროვი (ყველა დინამო), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი მ. რუსეთი), ევგენი ლევჩენკო (გრონინგენი, ჰოლანდია), ანატოლი ტიმოშჩუკი (ზენიტი, რუსეთი), ოლეგ შელაევი, სერგეი ნაზარენკო (ორივე დნეპრი).

თავდამსხმელები: ალექსეი ბელიკი, ანდრეი ვორობეი (ორივე შახტიორი), ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, ინგლისი), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია).

ლიტვა

# ჩესნაუსკისმა ნაკრები იუარა

მომავალ კვირაში ორ მატჩს გამართავს ლიტვაც. ბალტიისპირელები უკრაინაში ჩასვლამდე 24 მარტს საფრანგეთს უმასპინძლებენ. გოგიტა გოგუას თანაგუნდელმა **ედგარას ჩესნაუსკისმა** მწვრთნელთან დაპირისპირების გამო ნაკრებში თამაშზე უარი თქვა. ახლა, **ალგიმანტას ლიუბინსკასის** სია ასე გამოიყურება:

მეკარეები: ჟიდრუნას კარჩემარსკასი (დინამო მ. რუსეთი), მინდაუგას მალინაუსკასი (კაუნასი), საულიუს კლევინსკასი (სუდოვა), პაულიუს გრიბაუსკასი (ოცელული, რუმინეთი).

მცველები: ანდრიუს სკერლა (ვეტრა), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმშტადი, შვედეთი), როლანდას დჟიაუკშტასი (სატურნი, რუსეთი), მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ირმანტას ზელმიკასი (ტავრია,უკრაინა), მარიუს ჟალიუკასი (ჰართსი, შოტლანდია), გედიმინას პაულაუსკასი (ეკრანასი), არუნას კლიმავიჩიუსი (დინამო, რუსეთი), ვიდას ალენდერისი (ზაგლებიე, პოლონეთი).

ნახევარმცველები: დეივიდას შემბერასი (ცსკა, რუსეთი), ტომას ტამოშაუსკასი, მინდაუგას კალონასი, დარიუს მიცეიკა (ორივე მეტალურგსი, ლატვია), საულიუს მიკოლიუნასი (ჰართსი, შოტლანდია), მანტას სევენასი (ეკრანასი), ანდრიუს გედგაუდასი (ინტერი, აზერბაიჯანი), იგორ მორინი (ჟალგირისი).

თავდამსხმელები: ტომას დანილევიჩიუსი (ბოლონია, იტალია), ედგარას იანკაუსკასი, ანდრიუს ველიჩკა (ორივე ჰართსი, შოტლანდია), ტომას რაძინევიჩიუსი (კლადნო), რობერტას პოშკუსი (ზენიტი, რუსეთი), რიჩარდას ბენიუშისი (კაუნასი), ვიტალიუს კავალიაუსკასი (ეკრანასი).

ფარერები

# ჯერ უკრაინა, მერე საქართველო

შოტლანდიაში სტუმრობის შემდეგ საქართველოს ნაკრებს 28 მარტს ფარერების მასპინძლობა უწევს. კუნძულელთა მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ ოლსენმა** ქართველებთან, მანამდე კი უკრაინელებთან მატჩებისთვის სანაკრებო სია დაასახელა:

**იაკუპ მიქელსენი, ფროდი ბენიამინსენი, მიკაელ ტომასენი, ჰანუს ტორლეიფსენი (ყველა B36), მეინჰარდტ იენსენი (KI) მორტან ჰორგი, კრისტიან იაკობსენი, იაკუპ ბორგი, რასმუს ნოლსი (HB), ოლი იოჰანსენი (TB), სამალ იენსენი (GI), მამი დიურჰუსი (EB), სიმუნ სამუელსენ კეფლავიკი, ატილ დანიელსენ ფრემი, ანდრეი ფლოტუმი, ტერნ ჰანსენ ფრემად ამაგერი, კრისტიან ჰოლსტ ლინგბი, ჯონ როი იაკობსენი, სუნი ოლსენი (ყველა AB).**

გაცნობებთ იმასაც, რომ კუნძულელები თბილისში 25 მარტს ჩამოფრინდებიან და სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდებიან. საქართველოდან კი 29-ში გაემგზავრებიან. საქართველო-ფარერების შეხვედრა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 20 საათზე დაიწყება. როგორც შევიტყვეთ, ამ მატჩის ბილეთები 5, 10 და 20 ლარი ეღირება. ბილეთების გაყიდვა ეროვნული სტადიონის სალაროებში 25 მარტიდან დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

ფიფას რეიტინგი

# საქართველო წინ მიიწევს

გუშინ ფიფამ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველო უკვე 85-ე ადგილზეა ანუ ერთი საფეხურით წინ წავიწიეთ. საერთოდ კი რეიტინგში არაერთი ცვლილებაა. აღსანიშნავია, რომ წინა რეიტინგში ბრაზილიის ხანგრძლივი ჰეგემონია იტალიამ დაამხო, ამჯერად კი არგენტინამ წაართვა პირინეელებს პირველობა. საერთოდ კი პირველი ათეულიდან ცვლილება მხოლოდ ზედა ოთხეულშია. ცვლილებებია ჩვენი ჯგუფის მეტოქეთა განლაგებაშიც. იტალია ერთი ადგილით დაქვეითდა, საფრანგეთსა და უკრაინას ცვლილება არ შეხებიათ და შესაბამისად მე-4 და მე-11 ადგილებზე არიან. ჩვენ მსგავსად ერთი ნაბიჯით წინ წაიწია ფარერებმაც. ოთხ-ოთხი პოზიციით განიცადეს ცვლილება შოტლანდიამ და ლიტვამ. სქოთებმა ზემოთ აინაცვლეს, ხოლო ლიტვა - დაეშვა.

რეიტინგის მოწინავე ათეული და ჩვენი ჯგუფის მეტოქეთა განლაგება ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1 (3). არგენტინა | 1616 |
| **2 (1). იტალია** | **1592** |
| 3 (2). ბრაზილია | 1557 |
| **4 (4). საფრანგეთი** | **1515** |
| 5 (5). გერმანია | 1390 |
| 6 (6). ინგლისი | 1339 |
| 7 (7). ჰოლანდია | 1313 |
| 8 (8). პორტუგალია | 1288 |
| 9 (9). ჩეხეთი | 1195 |
| 10 (10). ესპანეთი | 1161 |
| **11(11). უკრაინა** | **1037** |
| **16 (20). შოტლანდია** | **911** |
| **76 (72) ლიტვა** | **425** |
| **85 (86) საქართველო** | **374** |
| **182 (183) ფარერები** | **32** |

შენიშვნა: **ფრჩხილებში მითითებულია წინა თვის რეიტინგში დაკავებული ადგილი.**

# რა ხდება სინათლის სტადიონზე?

"სინათლის" სტადიონის გასხვისების გამო, დღეს, ორ საათზე "სინათლეზე" ფეხბურთის ფედერაციისა და გაერთიანებული საფეხბურთო აკადემია "ოლიმპი-მერანი 91-ის" ხელმძღვანელები პრესკონფერენციას მართავენ.

საფეხბურთო სამყარომ წერილით მიმართა ეკონომიკური განვითარების მინისტრს **გიორგი არველაძეს**, კულტურისა და სპორტის მინისტრს **გიორგი გაბაშვილს**, სპორტის დეპარტამენტის თავჯდომარეს **დავით ნამგალაურს**, თბილისის მერს **გიგი უგულავას**.

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, პროფესიული ფეხბურთის ლიგა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბები, საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და საქართველოს საფეხბურთო სკოლები მოგმართავთ თხოვნით, რომ "სინათლის" სტადიონი იჯარის ან პრივატიზაციის სახით გადაეცეს ს.კ. "ოლიმპი-მერანი 91-ს".*

*წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისთვის.*

*წერილს ხელს აწერენ:*

***ნოდარ ახალკაცი**, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი*

***უჩა უგულავა**, ფედერაციის გენერალური მდივანი*

***რევაზ არველაძე**, ფედარაციის ვიცე-პრეზიდენტი*

***გრიგოლ ცაავა**, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*

***მამუკა გუგეშაშვილი**, საფეხბურთო აკადემია "ოლიმპი-მერანი 91-ის" დამფუძნებელი და საფეხბურთო სამყაროს სხვა წარმომადგენლები.*

თუმცა... არსებობს ერთი მნიშვნელოვანი "თუმცა": 17 იანვარს გამართულ მთავრობის სხდომაზე სტადიონი გადაეცა რაგბის კავშირს. სტატია ამასთან დაკავშირებით 18 იანვრის "ლელოში" გამოქვეყნდა სათაურით: "სინათლე მორაგბეებს".

გუშინ მთავრობის სხდომაზე დადებითად გადაწყდა ავჭალაში მდებარე "სინათლის" სტადიონის მორაგბეებისთვის გადაცემის საკითხი. ყველაფერი საბოლოო სახეს მთავრობის მომავალ სხდომაზე მიიღებს, თუმცა უკვე ცხადია, რომ "სინათლე" ამიერიდან რაგბის კავშირის საკუთრება იქნება. რაგბის კავშირს "სინათლის" სტადიონს სიმბოლურ ფასად მიჰყიდიან და ამ განკარგულებას თავად საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** მოაწერს ხელს.



სინათლის სტადიონი

შესათანხმებელი დარჩა დეტალები. საქმე ფეხბურთის ფედერაციასთან გასამართ მოლაპარაკებას ეხება - ამ სტადიონით მომავალში ფეხბურთელებმაც უნდა ისარგებლონ, თუკი ამის საჭიროება შეექმნებათ. *"ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელს საქართველოში სპორტის ამ სახეობას, რადგან მორაგბეებმა ეს თავიანთი შედეგებით დაიმსახურეს. არ გამოვრიცხავ, მომავალში სტადიონის რეკონსტრუქციისთვის ინვესტიციების მოზიდვასაც, მაგრამ ეს უკვე რაგბის კავშირის სამუშაო იქნება"*. - განაცხადა გუშინდელი სხდომის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა **გიორგი არველაძემ**.

"სინათლის" სტადიონზე საფეხბურთო უმაღლესი ლიგის გუნდი ("მერანი") ბოლოს 2002-2003 სეზონში თამაშობდა.

ინფორმაცია რაგბის კავშირში გადავამოწმეთ, სადაც გვითხრეს, რომ დადგენილება ამის თაობაზე ხელმოწერილია და ის კავშირში მიიღეს.

**ანზორ მამალაძე**, "მერანი 91-ის" დამფუძნებელი კი ამტკიცებს, რომ სტადიონი ჯერ არაა გადაცემული:

- ეს სტადიონი 60 წელი ფეხბურთის იყო. 1997 წელს ძირითადმა დამფუძნებელმა, "თბილტრანსმა" უარი თქვა სპონსორობაზე და სტადიონი "მერანი 91-ის" ბალანსზე გადმოგვცეს. მერე სტადიონის პრივატიზაცია გადავწყვიტეთ და რადგან მიწა სახელმწიფოს კუთვნილება იყო, ეკონომიკის სამინისტროსთვის უნდა გადაგვეცა და ამის მერე უნდა დაწყებულიყო პრივატიზაცია.

**- ამჟამად ვის ეკუთვნის სტადიონი?**

- ის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბალანსზეა.

**- რაგბის კავშირს ხომ მთავრობის გადაწყვეტილებით გადაეცა?**

- ეს საკითხი მთავრობის სხდომაზე გაიტანეს და მიიღეს დადგენილებაც, მაგრამ ჯერ პროცესი არ დაწყებულა.

**- რატომ?**

- რატომ და ამ დოკუმენტზე შესაბამისი ხელმოწერა ჯერ არ არსებობს. მე ძალიან კარგად მესმის, რომ რაგბის განვითარებისთვის მეტი სტადიონია საჭირო, მაგრამ უცნაური ისაა, რომ მათ ახალი ტერიტორია არ მისცეს. ამ დროს კი სურთ იმ სტადიონის მიცემა, რომელზეც 60 წელია ფეხბურთს თამაშობენ. ჩვენ, ორივე სახეობას ქართული სპორტის წარმატების სურვილი გვაკავშირებს და მხარს დავუჭერთ, რომ მორაგბეებს ახალი ტერიტორიები გადასცენ, მაგრამ "სინათლეზე" საფეხბურთო სკოლის დახურვა რითი უნდა გამართლდეს?

იმავეს ამბობს **მამუკა გუგეშაშვილი:** "პრეზიდენტის ხელმოწერის გარეშე სტადიონი პირდაპირი წესით ვერავის გადაეცემოდა. ჩვენი ინფორმაციით კი, პრეზიდენტს ასეთი განკარგულებისთვის ხელი არ მოუწერია".

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**: "ჩვენი ინფორმაციით "სინათლის" სტადიონი რაგბის კავშირისთვის არ გადაუციათ. რომ გვქონოდა ინფორმაცია, "სინათლე" რაგბის კავშირს ეკუთვნისო, მაშინ იმ მიმართვას ხელს ნამდვილად არ მოვაწერდით".

**მერაბ მამულაშვილი**

**დავით ცაბაძე**


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ლოკომოტივი

# მინაშვილი გუნდში რჩება

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ თბილისის "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის შეცვლაზე ფიქრობდა. **ამირან მინაშვილის** პოსტზე ქუთაისის "ტორპედოდან" წამოსული **გიორგი კიკნაძის** კანდიდატურა განიხილებოდა. თუმცა, საბოლოოდ, გუნდის მეპატრონეებმა და ხელმძღვანელებმა მიზანშეუწონლად ჩათვალეს შუა სეზონში ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელება.

გუშინ ვესაუბრეთ "ლოკომოტივის" გენერალურ დირექტორ **დიმიტრი ობოლაძეს**, რომელმაც გვითხრა, რომ ამირან მინაშვილი გუნდში კონტრაქტის დასრულებამდე ანუ 1 ივნისამდე იმუშავებს.

მანამდე გუნდში ცვლილებები არაა მოსალოდნელი. ალბათ, მინაშვილთან თანამშრომლობაზე გუნდში ამის შემდეგ კიდევ დაილაპარაკებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# დაბრუნება ვენტსპილსში

კიევის "დინამომ" ლატვიის ჩემპიონი "ვენტსპილსი" **დავით იმედაშვილის** გამო ერთხელ უკვე ძალიან გააწბილა. ბალტიისპირელებმა იჯარით მოინდომეს საქართველოს ნაკრების მცველის აყვანა. "ვენტსპილმა" ფეხბურთელი შეკრებაზეც წაიყვანა, საკონტროლო მატჩებშიც ათამაშა. ამ თამაშებში იმედაშვილმა გოლიც გაიტანა. თუმცა ლატვიელთა გადამეტებული სიფრთხილის გამო, მათი ახალწვეულების შესახებ არაფერი იწერებოდა და რა გასაკვირია, ეს ამბავი გუშინ რომ შევიტყვეთ.

ლატვიელებს იმედაშვილის დამატება კი სურდათ, მაგრამ კიევის "დინამომ" იჯარაში ძალიან დიდი თანხა მოითხოვა, რის გამოც "ვენტსპილსის" ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ქართველი გუნდიდან გაეშვა. იმედაშვილმა "ლელოსთან" საუბარშიც თქვა, რომ "ვენტსპილსიდან" წამოვიდა. კიევში დათო 13 მარტს ჩაფრინდა. კლუბის პრეზიდენტს, **იგორ სურკისს** უნდა ეთქვა, რომელ გუნდში უპირებდა განათხოვრებას.

გუშინ ვითარება მოულოდნელად შეიცვალა. ალმოჩნდა, რომ ლატვიელთა გენერალურმა დირექტორმა **სერგეი ბარკოვსკიმ** ფარ-ხმალი არ დაყარა და იმედაშვილის გადასაბირებლად "დინამოსთან" მოლაპარაკება განაახლა. "ვენტსპილსს" ხელი შეუწყო იმანაც, რომ მანამდე კიეველებმა უარით გაისტუმრეს ხარკოვის "მეტალისტი". კიეველებმა თანამემამულეებს უკრაინაში ჯერჯერობით უსახელო ფეხბურთელის სამთვიან იჯარაში უზომოდ დიდი თანხა, 100 ათასი დოლარი მოსთხოვეს.

ჩვენთვის უცნობია, ამჯერად ლატვიელები რა თანხის გადახდაზე დათანხმდნენ, მაგრამ დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ უკრაინელებთან საერთო ენა გამონახეს და უკვე, ფაქტობრივად, მზადაა შეთანხმება იმედაშვილის "ვენტსპილსში" განათხოვრებაზე.

"ვენტსპილსი" ამჟამად "ბალტიის თასზე" თამაშობს. პირველ შეხვედრაში ლატვიელებმა გასვლაზე ესტონური ტვმკ 1:0 დაამარცხეს.

ამჟამად დათო კიევშია და ლატვიის ვიზას ელის. ევროკავშირის წევრ ქვეყანაში შესვლა ასე იოლი არაა და 2-3 დღე მოცდა მოუწევს.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით სირაძე

ლეგიონერი

## ბილდ ცაიტუნგი:

# სირაძე ფრაიბურგში

"აუესა" და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი **დავით სირაძე** მომჯობინდა და მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში ბრაუნშვაიგის "აინტრახტთან" მატჩში შეცვლაზეც ითამაშა. საქართველოსა და თურქეთის ნაკრებების შეხვედრის შემდეგ, დათოს ჯერ ტრავმის გამო მოუხდა დასვენება, შემდეგ ანგინა დაემართა და ლამის ერთი თვე გაუცდა.

*"ახლა ყველაფერი კარგადაა, ერთი კვირაა ვარჯიში დავიწყე, ფორმაში შევდივარ და იმედი მაქვს, რომ შოტლანდიასთან მატჩამდე ჩემი მდგომარეობა ეჭვს არ გამოიწვევს. მთავარია, რომ ტოპმიოლერი მენდო და ეს ძალიან მახარებს"* – გვითხრა გუშინ სირაძემ.

როგორც ცნობილია, ლეგიონერები პირდაპირ გლაზგოში შეიკრიბებიან. დათოს თქმით, თავად ის, **მიხეილ აშვეთია** და **გიორგი ლომაია** გერმანიიდან ერთად გაფრინდებიან შოტლანდიაში 20 მარტს.

დათოს აზრით, ნაკრებს უმძიმესი ბრძოლა ელის: *"შოტლანდიასთან თამაში ძალიან რთული იქნება. მე ის მაიმედებს, რომ კახა კალაძის გარდა, ყველა სხვა ფეხბურთელი მწყობრშია და, ფაქტობრივად, საბრძოლო შემადგენლობა იკრიბება. ეს ყველას გვახარებს".*

როგორც ცნობილია, სირაძეს "აუესთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ახალ კლუბს ეძებს. "ბილდ ცაიტუნგის" დრეზდენის დამატებაში უკვე დაწერეს, რომ ახალი სეზონიდან ქართველი ფეხბურთელი კარიერას "ფრაიბურგში" გააგრძელებს.

*"ეს მეც მითხრეს, მაგრამ თუ დამიჯერებთ, ჯერ თავადაც არ ვიცი, სად ვითამაშებ. რა თქმა უნდა, ეს არაა გამორიცხული, მაგრამ ჯერ მენეჯერის პასუხს ველოდები. მან უნდა მითხრას ყველა ვარიანტი და სასურველს ერთად შევარჩევთ"*, - აღნიშნა ქართველმა ფეხბურთელმა.

დათომ დაგვიდასტურა, რომ "აუე" "ზესტაფონის" 17 წლის ნახევარმცველის **ალექსი ბენაშვილის** შეძენას აპირებს, მაგრამ ჯერ ზუსტი ინფორმაცია არ გამაჩნიაო.

**მერაბ მამულაშვილი**

# დაამტვრიეს, მაგრამ მაინც შევიდა

მართალია, წინა მატჩში "ზენიტთან" **გოგიტა გოგუა** გააძევეს, მაგრამ გუშინ ქართველმა ლეგიონერმა მაინც ითამაშა. რუსეთის თასის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში "სატურნი" შინ 1:1 დაუზავდა მეტოქეს და გათამაშებიდან გამოვარდა. თასზე ჩემპიონატის დისკვალიფიკაცია არ მოქმედებს, ამიტომაც გოგიტა გოგუა სასტარტოში იყო და აქტიურობდა კიდეც. ჩვენებური განსაკუთრებით პირველ ტაიმში გამოირჩა. მატჩის 35-ე წუთზე გოგუას და **რადიმოვის** შეჯახება კინაღამ ცუდად დასრულდა, რადიმოვი საკაცით გაიტანეს, თავიდან ვერც ქართველი დგებოდა ფეხზე, თუმცა სამ წუთში გოგუა მოედანს მაინც დაუბრუნდა. მეორე ტაიმის 70-ე წუთზე სტუმრებმა შეძლეს გათანაბრება და ამით თავიდან დამატებითი დრო აიცილეს (პირველი მატჩი "ზენიტმა" 1:0 მოიგო). აღსანიშნავია, რომ გოგიტა გოგუას "სატურნის" მაისურით ჯერ მხოლოდ "ზენიტის" წინააღმდეგ უთამაშია. მატჩის შემდეგ "სატურნის" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ ვაისმა** გაშვებულ გოლში გოგუა დაადანაშაულა: *"თამაშის წინ ბიჭებს ვაფრთხილებდი, რომ ყველაფერს ერთი შეცდომა გადაწყვეტდა მატჩის ბედს. ასეც მოხდა, იმ ეპიზოდში გოგუა და იგონინი არიან დამნაშავეები".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მიქუჩაძის დუბლი ისრაელში

ქართველი ფორვარდი **კოკა მიქუჩაძე** წარმატებით თამაშობს ისრაელის რიგით მეორე ლიგა ლეუმითში (ეროვნული ლიგა) და ბოლო ტურში დუბლიც გაახერხა. მიქუჩაძის ბეერ-შევას "ჰაპოელი" 37 ქულით ლიგაში მესამეა და უმაღლესში გადასვლისთვის იბრძვის, თუმცა ორ დაწინაურებულ კლუბს 9 და 10 ქულით ჩამორჩება. ბოლო ტურში ბეერ შეველები აკოს "ჰაპოელს" ესტუმრნენ, მატჩი 2:2 დასრულდა. არადა სტუმრები თავიდან 2:0-ს იგებდნენ, მიქუჩაძემ მე-20 წუთზე გახსნა ანგარიში, 44-ე წუთზე კი დუბლი შეასრულა. ეს კოკას პირველი დუბლია აღთქმულ მიწაზე. ამ სეზონში მიქუჩაძემ ჩემპიონატში 6 გოლი გაიტანა. **გიორგი შენგელიას** "ირონი" ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა 32 ქულით. ბოლო ტურში გიორგის კლუბი "ბნეი ლოდს" ესტუმრა და 0:0 ეთამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საკლუბო მონაგარი

# საქართველო 36-ე

უეფამ საკლუბო კოეფიციენტების ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. საქართველო 164 ქულით 36-ე პოზიციაზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროთასებზე ჩვენი ქვეყანა მომავალ სეზონშიც ოთხი კლუბით იქნება წარმოდგენილი. ტრადიციულად, ჩემპიონთა ლიგაზე საქართველოს ჩემპიონი პირველ რაუნდში, განთესილის სტატუსით იასპარეზებს, მეორე ეტაპზე კი გაცილებით ძლიერ მეტოქეს დაუპირისპირდება. კვლავინდებურად, ორი კლუბი გვეყოლება უეფას თასზე, ერთი კი – ინტერტოტოზე.

შეგახსენებთ, სარეიტინგო ქულები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით ჯამდება. ყველაზე მეტი სარეიტინგო ქულა 2004-05 წლების სეზონში მოვიპოვეთ, როცა თბილისის "დინამომ" უეფას თასზე საკმაოდ სერიოზულ წარმატებას მიაღწია და ჯგუფურ რაუნდს უწია. ბოლო ორ სეზონში კი ქართულ კლუბებს ევროსარბიელზე განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევიათ.

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის, საქართველო მეექვსე ადგილზეა. ჩვენ ზემოთ რუსეთი, უკრაინა, ლატვია, ლიტვა და მოლდოვა არიან. ახალი რეიტინგის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1. ესპანეთი
2. ინგლისი
3. იტალია
4. საფრანგეთი
5. გერმანია
6. პორტუგალია
7. რუმინეთი
8. ჰოლანდია
9. რუსეთი
10. შოტლანდია

**ლევან ჯანეზაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 75 წლის იუბილეს ულოცავს ვეტერან მსაჯს ნოდარ ცანავას.**

მწვანე სამყარო
GREEN WORLD
გამწვანება
ფილების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები
ახალი ეპოქა
ჩვენთან ერთად
მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97



ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაუვიწყარი კაპიტანი



ლელოს არქივიდან

შოთა იამანიძე სამუდამოდ შევიდა ქართული ფეხბურთის ისტორიაში, როგორც თბილისის "დინამოს" პირველი კაპიტანი-ჩემპიონი. ამით ყველაფერია ნათქვამი! დიახ, თავის პირველ უმაღლეს მწვერვალს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას, ჩვენმა გუნდმა სწორედ იამანიძის კაპიტნობის დროს, 1964 წელს მიაღწია. არადა, როგორი დიდებული წინამორბედები ჰყავდა მას ამ საპატიო პოსტზე: შოთა შავგულიძე (1936-40), ბორის პაიჭაძე (1941-50) და ავთანდილ ღოღობერიძე (1951-60). მართლაც რომ ელვარე თანავარსკვლავედი, რომელთა გზაც სახელოვნად განაგრძო შოთა იამანიძემ (1961-67).

მაგრამ, ცხადია, საქართველოს სპორტულ პანთეონში შოთამ მარტო ამით როდი დაიმკვიდრა ადგილი. პირველ რიგში, ფეხბურთის მოყვარულებს მან თავი სპორტული და პიროვნული ღირსებებით დაამახსოვრა: ეს იყო მაღალტექნიკური, შესანიშნავი ფიზიკური კონდიციების ფეხბურთელი-უნივერსალი, რომელიც დაჯილდოებული იყო ბრწყინვალე ორგანიზატორული, კომბინაციური ნიჭითაც და, ამავე დროს, შეტევათა დამაგვირგვინებლის თვისებებითაც...

საფეხბურთო კარიერის დასაწყისში **შოთა იამანიძე** თავდამსხმელად (ჯერ მარცხენა გარემარბად, შემდეგ ინსაიდად და ცენტრალურ ფორვარდად) მოგვევლინა, მაგრამ მის ძირითად სპორტულ ამპლუად ნახევარმცველის როლი იქცა. სწორედ აქ გაიშალა შოთას ტალანტი მთელი სისრულითა და ბრწყინვალებით. ჩვენი საუკეთესო მოგონებებიც სწორედ მისი ნახევარმცველობის პერიოდს (1963-67) უკავშირდება. აქვე უნდა აღინიშნოს იამანიძის სამაგალითო ადამიანური, პიროვნული თვისებებიც. ის ჭეშმარიტი ჯენტლმენი იყო ცხოვრებაშიცა და საფეხბურთო მოედანზეც, რამაც პატივისცემა და ავტორიტეტი მოუპოვა თავის გუნდში, სპორტულ წრეებსა და, საერთოდ, ქართულ საზოგადოებაში.

მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრობრივი მონაცემი, რომელიც შოთას საფეხბურთო გზასთანაა დაკავშირებული: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მან 300 შეხვედრა ჩაატარა და გაიტანა 65 გოლი. იყო სსრკ ჩემპიონი (1964), ბრინჯაოს მედალოსანი (1959, 1962, 1967), სსრკ ხალხთა სპარტაკიადის (1956) ვერცხლის პრიზიორი. სამჯერ შედიოდა "33 საუკეთესოს" სიაში: 1964 წელს პირველ, ხოლო 1961 და 1962 წლებში მესამე ნომრად.

აი, როგორ დახასიათებას აძლევს შოთა იამანიძეს ყველაზე ფუნდამენტური რუსული ენციკლოპედიური ცნობარი (მოსკოვი, 1997): **"Один из лидеров "Динамо" (Тб) первой половины 60-ых годов. Высокотехничный, хорошо владел дриблингом, был организатором командной игры. Выделялся изобретательностью, нестандартными игровымирешениями,тяготелкатакующимдействиям".**

ზედმიწევნით პროფესიული და ზუსტი დახასიათებაა. ახლა კი, მოკლედ შოთა იამანიძის სპორტული გზის თაობაზე. როგორც ბევრი სხვა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, ისიც ლეგენდარული 35-ე სკოლის აღზრდილია. თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში 17 წლის იამანიძე 1954 წელს (გუნდის მწვრთნელი იყო **ბორის პაიჭაძე**) ჩაირიცხა. იმ დროისთვის ჩვენს გუნდს ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქონდა. წინა სეზონში "დინამო" მე-2 ადგილზე (მეოთხედ თავის ისტორიაში) გავიდა და რომ არა საკავშირო სპორტკომიტეტის მაქინაციები, შეიძლება, ჩემპიონობისთვისაც გამოეკრა ხელი...

ახალი სეზონის დასაწყისი დამაიმედებელი იყო: სამი სასტარტო გამარჯვება მოსკოვის გუნდებთან. მაგრამ სულ მალე დაიწყო ყოვლად გაუგებარი ამბები: დამარცხებას დამარცხება მოსდევდა და საბოლოოდ, პირველად თავის ისტორიაში, გუნდმა არნახულად დაბალი, მე-8 ადგილი დაიკავა. დაიწყო ხანგრძლივი, ხუთწლიანი კრიზისი ჩვენი "დინამოს" ისტორიაში.

იამანიძის დებიუტიც და გუნდში თამაშის საკმაოდ დიდი პერიოდიც, ამ კრიზისის უსიამოვნო წლებს (როგორია, ავარიულ მდგომარეობაში მყოფ გუნდში თამაში ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის?!) დაემთხვა და პირდაპირ ვიტყვი, რომ თავის პირველ ორ სეზონში შოთამ თავი მხოლოდ სირბილის უჩვეულო მანერით (სირბილის დროს აქეთ-იქით ქანაობდა) დაგვამახსოვრა, რასაც ის შემდგომ გადააჩვიეს. ოპტიმალური ფორმის მიღწევას კიდევ ორი სეზონი დასჭირდა და თავისი პირველი ორი გოლი შოთამ მხოლოდ 1956 წელს გაიტანა (ორივე - გასვლით თამაშში), რასაც 1957-ში კიდევ ხუთი დაუმატა...

და აი, 1958 წელს იამანიძე, მოულოდნელად, გუნდის მთავარ ბომბარდირად მოგვევლინა 11 გატანილი გოლით (საერთო გუნდური ყულაბის ერთი მესამედი!), თანაც პირველად გამოავლინა თავი როგორც მასშტაბურმა, ფართო დიაპაზონის ფეხბურთელმა. ჩვენც, გულშემატკივრებმაც, ვირწმუნეთ მისი ჭეშმარიტი პოტენციალი, თუმცა გუნებას მაინც გვიფუჭებდა გუნდის ულიმღამო თამაში და შესაბამისი შედეგიც (მე-9 ადგილი).

1959 წელს, დიდი **ანდრო ჟორდანიას** მწვრთნელობით, "დინამომ", როგორც იქნა, დააღწია თავი ხანგრძლივ კრიზისს და ჩემპიონატში მესამე ადგილი მოიპოვა. მართალია, ამ სეზონში შოთამ არც თუ ბევრი გოლი (5) გაიტანა, მაგრამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა თავისი ორგანიზატორული, კომბინაციური ნიჭის წყალობით. მოსკოვურმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენი გუნდის და, კერძოდ, იამანიძის თამაშს. ხუმრობა ხომ არ იყო - ზედიზედ დავამარცხეთ მოსკოვში (!) ჩვენი "ისტორიული" მოწინააღმდეგეები: "დინამო" (2:1), "სპარტაკი" (5:4) და ცსკა (2:0). სამწუხაროდ, ამ თამაშების მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი ვნახეთ ტელევიზიით...

შემოდგომით კი "დინამოს" დიდი წარმატება ხვდა ევროპული ტურნეს დროს, როცა დავამარცხეთ პრაღის "დინამო" - 6:1, პარიზის "რასინგი" - 6:2, საფრანგეთის ჩემპიონი "ნიმ ოლიმპიკი" - 2:0 (რა დრო იყო?!), რამაც საფეხბურთო ევროპაში ნამდვილი ფურორი მოახდინა. ქართველ ფეხბურთელებს "საბჭოთა ბრაზილიელები" უწოდეს. სხვებთან ერთად, მაღალი შეფასება დაიმსახურა შოთა იამანიძის თამაშმაც, რომლის შესახებ ცნობილი ფრანგი სპეციალისტი **რობერ ვერნი** აღნიშნავდა - "დაუდგრომელი, ყველგანმყოფი იამანიძის მოქმნილობასა და ლაღ თამაშს".

უდავოა, რომ 1959 წლის სეზონი იყო იამანიძისა და მთელი მისი თაობის (**მიხეილ მესხი, ზაურ კალოევი, ვლადიმერ ბარქაია, სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი** და სხვები) პირველი კულმინაციური მომენტი, რომელიც 1964 წელს სსრკ ჩემპიონობის მოპოვებით დაგვირგვინდა. მართალია, 1960-63 წლებში "დინამოს" სატურნირო მაჩვენებლები (შესაბამისად - მერვე, მეშვიდე, მესამე, მეხუთე ადგილები) არც თუ მაღალი იყო (1963 წლის გარდა), მაგრამ აშკარად შეიმჩნეოდა გუნდის საერთო კლასის ზრდა და წინსვლა. ვიგონებ შოთა იამანიძის თამაშის ყველაზე დასამახსოვრებელ ეპიზოდებს ამ წლებში.

1960 წლის 15 ივლისი. "დინამო" ეთამაშება ერევნის "სპარტაკს" ("არარატის" წინამორბედი). პირველი ნახევარი დამთავრდა ჩვენების სასარგებლოდ - 4:0 (სამი ბურთი მესხმა გაიტანა). "ცა ულრუბლო" ჩანდა, მაგრამ მეორე ნახევრის პირველივე წუთებში ერევნელებმა ისარგებლეს ჩვენი მცველების გულდამშვიდებით და ორი ბურთი გაქვითეს. სტადიონს გუნება-განწყობა წაუხდა, სიტუაცია დაიძაბა... ამ დროს, თამაშს თავის თავზე იღებს იამანიძე. გრძელი გარღვევით (ბორის პაიჭაძის მსგავსად!) ის სწრაფად შედის ერევნელთა საჯარიმოში და უძლიერესი დარტყმით ბურთს ბადეში ახვევს. "ტანკივით შეიჭრა" - ასეთი კომენტარი დაურთო იამანიძის გოლს ჩემს გვერდით მჯდომმა ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა **ბიჭიკო ქორქიამ**. თამაში დამთავრდა 7:4 "დინამოს" სასარგებლოდ.

სამი კვირის შემდეგ (5 აგვისტო) ჩვენებმა 7:2 გაანადგურეს როსტოვის არმიელთა ძლიერი გუნდი. ორი ტყუპისცალი გოლი (ლამის ბურთიანად შევიდა კარში) შოთამ გაიტანა.

1961 წლის სეზონში, მისი 9 გოლიდან განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო წინა წლის ჩემპიონ მოსკოვის "ტორპედოსთან" ბრწყინვალე თამაშში (14 ივლისი, 6:4) გატანილი ორი ეფექტური გოლი, და ასევე ორი გოლი ცსკა-ს კარში (20 სექტემბერი, 3:0), მესხის ფლანგური გადაცემის შემდეგ. იმავე წლის შემოდგომაზე, კუბაში, ბოლივიასა და ეკვადორში ჩატარებულ 9 "საგასტროლო" მატჩში "დინამომ" 39 (!) გოლი გაიტანა, რომელთაგან 9 იამანიძის ანგარიშზე იყო.

1962 წლის სეზონში შოთამ 6 გოლი გაიტანა, ხოლო 1963-ში, უკვე ნახევარმცველის ამპლუაში - 7. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ჩემპიონატის პირველივე მატჩში (31 მარტი, 4:0), ლენინგრადის "ზენიტის" კარში გატანილი ორი ბურთი. გახსოვთ? ეს იყო ბრწყინვალე **სლავა მეტრეველის** პირველი გამოსვლა თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში და ოთხივე გოლი, მათ შორის იამანიძისაც, სწორედ მისი გადაცემებით გავიდა.

1964 წელი კი, როგორც მოგეხსენებათ, ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ფეხბურთის ისტორიაში და, კერძოდ, ჩვენი ნარკვევის გმირის, შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელის შოთა იამანიძის სპორტულ ბიოგრაფიაში. მისი კაპიტნობითა და ლიდერობით ჩვენი ფეხბურთის უცვლელმა ფლაგმანმა თბილისის "დინამომ" პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება. ამ სეზონში შოთამ 5 გოლი გაიტანა და კიდევ ბევრის თანაავტორი თუ ორგანიზატორი გახდა.

მოსკოვის "სპარტაკთან" პირველი თამაში (28 მარტი) თავიდან თანაბარ ბრძოლაში, ხოლო უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში ჩვენების საგრძნობი უპირატესობით წარიმართა. მაგრამ... მეტოქის კარში ბურთი არა და არ გადიოდა... თამაშის დამთავრებას ბევრი აღარაფერი უკლია. ამ დროს, თითქმის მოედნის ცენტრიდან, იამანიძე უძლიერესი დარტყმით აგზავნის ბურთს მოწინააღმდეგის კარისკენ. "სპარტაკის" მეკარე **ვ. ლისიცინი** დარტყმას გაჭირვებით იგერიებს, ბურთთან კი ყველაზე ადრე ჩნდება **ბორის სიჭინავა** და ბადეში ათავსებს. მოედნის ცენტრში **ჯემალ ზეინკლიშვილი** არბიტრ **პ. ბელოვს** ჰკოცნის (?!), რისთვისაც... ყვითელ ბარათს იღებს. ასე მთავრდება "ოქროს სეზონის" პირველი შეხვედრა. და რა ხდებოდა ამ დროს ტრიბუნებზე, ეს უკვე ენით აუწერელია!

მოსკოვის ცსკა-სთან მომდევნო შეხვედრა (1 აპრილი, 3:0) ჩვენი გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ბიჭებს ყველაფერი გამოსდიოდათ, რაც აღტაცებას იწვევდა ტრიბუნებზე. პირველი ბურთი (კვლავ!) ბორის სიჭინავამ გაიტანა იამანიძის პასით, მეორე და მესამე კი - ბრწყინვალედ მოთამაშე **ვლადიმერ ბარქაიამ**. დამამახსოვრდა კიდევ ერთი ეპიზოდი შოთას მონაწილეობით. მისი გამოზომილი პასის შემდეგ, **ალექსანდრე აფშევმა** უძლიერესი დარტყმით ძელი შეაზანზარა.

იმ სეზონის თავისი პირველი გოლი იამანიძემ გორკის "ვოლგასთან" შეხვედრაში (11 აპრილი, 2:0) გაიტანა, მეორე - მოსკოვში "დინამოსთან" წაგებულ მატჩში (26 აპრილი, 1:3). ამ გოლს, კერძოდ კი, მისი ორგანიზატორის, ბარქაიას შემტევ მანევრსა და იამანიძის დარტყმას, მოსკოვის სპორტულმა პრესამ აღტაცებული სტრიქონები უძღვნა. შემდეგი გოლი ჩვენმა კაპიტანმა კიდევ ერთ, და იმ სეზონში უკანასკნელ წაგებულ მატჩში (5 აგვისტო, 1:4) გაიტანა, ცსკა-სთან. დიდი იყო მისი წვლილი მოსკოვის "დინამოსთან" მოგებულ შესანიშნავ თამაშში (12 სექტემბერი, 2:1), რომლის "დირიჟორადაც" თავადვე მოგვევლინა, და აგრეთვე, როსტოვში მოპოვებულ გამარჯვებაში (16 სექტემბერი, 2:1).

ალბათ გახსოვთ, ჩემპიონატის ფინიშის სწორზე გაჩაღდა მწვავე ბრძოლა მოსკოვის "ტორპედოსა" და თბილისის "დინამოს" შორის. ერთი გუნდის გამარჯვებას მეორისა მოსდევდა. და როცა ჩემპიონატის დასრულებამდე სულ 5 ტური იყო დარჩენილი, მათ შორის შეხვედრაც გაიმართა. იმ მომენტისთვის, მოსკოველები ერთი ქულით იყვნენ წინ და ფრეც აძლევდათ ხელს, მაგრამ შეუპოვარ და წარმტაც შერკინებაში (22 ოქტომბერი, 3:1) თბილისელებმა ლიდერს გამარჯვება გამოგლიჯეს. პირველი ტაიმი ჩვენებმა 1:0 (მესხი) მოიგეს. მეორის დასაწყისში ბურთი **ვ. ვორონინმა** გაქვითა. აქ კი დავესესხები ცნობილ რუს სპორტულ ჟურნალისტ **გენადი რადჩუკს**, რომელიც "ფუტბოლში" წერდა: *"მეორე ტაიმის მსვლელობისას, მასპინძელთა შეტევები განსაკუთრებით მწვავე გახდა მარცხენა ფლანგზე იამანიძის ენერგიული მოქმედების წყალობით... თბილისელებმა დამაჯერებლად და ლამაზად მოიგეს"*.

მეორე ბურთი მეტრეველმა გაიტანა (მე-60 წუთი), ხოლო მესამე იამანიძემ, რომლის უძლიერეს შორეულ დარტყმას მოსკოველთა მეკარე **ანზორ კავაზაშვილმა** ვერაფერი მოუხერხა.

დიდი და დრამატული ქვეტექსტი ჰქონდა შეხვედრას ქუთაისში, ადგილობრივ "ტორპედოსთან". საქმე ის იყო, რომ ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა ქულები - თბილისელებს ჩემპიონობის მოსაპოვებლად, ქუთაისელებს კი A კლასში ადგილის შესანარჩუნებლად. თამაში ძალზე დაძაბულად წარიმართა და ფრედ 1:1 დამთავრდა, რაც, როგორც შემდეგ გაირკვა, ზუსტად ის შედეგი იყო, რომელიც ორივე გუნდს აძლევდა ხელს. თუმცა ამისთვის ორივეს დასჭირდა დამატებით თამაშებში (ტაშკენტში) გამარჯვებები: თბილისელებს მოსკოვის "ტორპედოსთან", ქუთაისელებს კი გორკის "ვოლგასთან". თუმცა კი, დამატებით მატჩში მონაწილეობისთვის, "დინამოს" კიდევ ორი გამარჯვება დასჭირდა: მინსკის "დინამოსთან" (3:1, შოთამ ეს თამაში ტრავმის გამო გამოტოვა) და იაროსლავლის "შინიკთან" (3:1, აქ კი მან გოლი გაიტანა).

აქ აღარ შევუდგები ტაშკენტის დაუვიწყარი მატჩის (18 ნოემბერი, 4:1) აღწერას. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ისტორიულ გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვოდა გუნდის კაპიტან შოთა იამანიძეს და, ცხადია, შემთხვევითი არ იყო, რომ ჩემპიონატის შედეგების შეჯამების შემდეგ, "33 საუკეთესოს" სიაში ის პირველ ნომრად გაამწესეს... ახლა მაგონდება ამ მატჩის ერთი უნიკალური ეპიზოდი, როცა იამანიძისა და ბარქაიას მიერ ერთი მეორის მიყოლებით დარტყმული ბურთები ორივეჯერ ძელმა "მოიგერია"...

როგორც ზემოთ ვთქვით, 1964 წლის ჩემპიონატში გამარჯვება კულმინაციური მწვერვალი იყო შოთა იამანიძისა და მთელი მისი თაობის სპორტულ კარიერაში. შოთამ გუნდში (ცხადია, კაპიტნის სამკლაურით) კიდევ 3 წელი დაჰყო და 10 გოლი გაიტანა. ფეხბურთს თავი 30 წლისამ დაანება და დაიწყო მუშაობა თავისი სპეციალობით, მშენებელ-ინჟინრად. ცხოვრების ბოლო წლებში ის ერთ-ერთ სამშენებლო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. 1971 წლის 15 ოქტომბერს, ავტოავარიაში დაიღუპა... იმ დროს ის 34 წლის იყო... ქართული ფეხბურთის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება დიდებული ფეხბურთელისა და პიროვნების, შოთა იამანიძის ტრაგიკული შარავანდედით მოსილი სახელი...

**გულბათ ტორაძე**
მუსიკათმცოდნე, პროფესორი

**დღეს, შოთა იამანიძის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით**

16:00. საფლავის მონახულება (საბურთალოს პანთეონი);
17:00. კაპიტნის გახსენება კაფე "მსოფლიო სპორტში".

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას განაჩენი

# ნავარო შვიდი თვით მოკვეთეს

"ვალენსიისა" და "ინტერის" განმეორებითი მეოთხედფინალის დასრულებისთანავე ფეხბურთელებმა ისეთი მუშტიკრივი გამართეს, რომ ერთმანეთს ყბები დაუნგრიეს. ამ ინციდენტის შესახებ ინფორმაცია ოპერატიულად მოგაწოდეთ. იცით, რომ ჩხუბი **დავიდ ნავარომ** წამოიწყო. უეფა ასეთ უმსგავსოებას არასოდეს შეჰგუებია. მოსალოდნელი იყო, რომ ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ორგანო აღნიშნულ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებდა.

ასეც მოხდა, "ვალენსიისა" და "ინტერის" ოფისებში შვეიცარიიდან ფაქსი მივიდა. უეფამ ესპანურ და იტალიურ კლუბებს სერიოზული სასჯელები მოუმზადა. **დავიდ ნავაროს** შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. **ნიკოლას ბურდისო** (რომელსაც ნავარომ ცხვირი გაუტეხა) და კიდევ ერთი ინტერელი **მაიკონი**, ექვს მატჩს გამოტოვებენ. "ვალენსიის" კაპიტანი **კარლოს მარჩენა** ოთხი თამაშით მოკვეთეს. "ინტერის" მცველი **ივან კორდობა** - სამი თამაშით, ხოლო ნავაროს დადევნებული **ხულიო კრუსი** - მხოლოდ ორი მატჩით. საინტერესო ის გახლავთ, რომ დავიდ ნავაროს სასჯელის გარდა, ყველა სხვა სანქცია მხოლოდ ევროტურნირებს ეხება, ნავაროს კი თვით ესპანეთის ჩემპიონატშიც კი ეკრძალება თამაში.

უეფას განაჩენი "ღამურებისთვის" განსაკუთრებით მტკივნეული იქნება. **ედუსა** და **ბარახას** სერიოზული ტრავმების შემდეგ **კიკე სანჩეს ფლორესს** ნახევარდაცვაში სერიოზული პრობლემები შეექმნა. "ვალენსიის" მთავარი მწვრთნელი ფიქრობდა, რომ ისინი სწორედ მარჩენასა და ნავაროს უნდა შეეცვალათ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ დისკვალიფიკაციები გუნდს საგრძნობლად დაასუსტებს.

"ვალენსიის" ხელმძღვანელობა ოფიციალური კომენტარისგან თავს იკავებს, თუმცა ესპანელ ჟურნალისტებთან პირდაპირ საუბრებში დირექტორატის წარმომადგენლები ამბობენ, რომ უეფა მათ მეტისმეტად უსამართლოდ მოექცა. მათი აზრით, ყველაზე მართებული გადაწყვეტილება მხოლოდ ნავაროს დასჯა იქნებოდა, ისიც სულ რაღაც შვიდი მატჩით.

შვეიცარიიდან მიღებულ ფაქსს იტალიელებიც შეშფოთებულები შეხვდნენ. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით ივან კორდობას განცხადებას შემოგთავაზებთ: *"მესმის, რომ უმსგავსოდ მოვიქეცით. ფეხბურთი ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას ემსახურება, ჩხუბი კი ქუჩური ლოგიკის გამოძახილია. ცხადია, უეფა თავს არ დაიბრმავებდა და აუცილებლად დაგვსჯიდა მადლობა ღმერთს, დისკვალიფიკაცია იტალიის ჩემპიონატის თამაშებზე არ გავრცელდება. რაც არ უნდა იყოს, ის ავბედითი ინციდენტი "ვალენსიასთან" საჩემპიონთალიგო შეხვედრაში მოხდა. მაგრამ მაინც, მეტისმეტად მკაცრად დაგვსაჯეს."*

ძნელი წარმოსადგენია, სადისციპლინო კომიტეტი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგით შემოიფარგლოს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ "ინტერი" ამ ევროტურნირს უკვე გამოეთიშა. კორდობას მდინარიდან მშრალად გამოსვლა სურს, მაგრამ კოლუმბიელს ეს ალბათ არ გამოუვა.



სკანდალური ეპიზოდი: ნავარომ ბურდისოს ცხვირი გაუტეხა



რონალდინიო: მორიგი გაჩერება მილანი?

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დიდი პაქტი: მილანმა რონალდინიო დაიბევა

**რონალდინიო** სულ უფრო უახლოვდება "მილანს" - ერთხმად აცხადებენ იტალიური გაზეთები. ბარსელონელი ვარსკვლავის ძმა და ამავდროულად აგენტი **რობერტო ასისი**, გუშინ "როსონერის" ოფიციოზს შეხვდა. მილანის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში მან **ადრიანო გალიანისა** და **არიედო ბრაიდასთან** ერთად ისადილა. ასისი, რომელიც "მილანის" ბრაზილიელ ფორვარდ **რიკარდო ოლივეირასაც** წარმოადგენს, აცხადებს, რომ იტალიაში სწორედ ოლივეირას სანახავად ჩავიდა, რათა დის გატაცებით შოკირებული კლიენტი გაემხნევებინა. თუმცა ბოლოს აღიარა, რომ მილანში თავისი ძმის მომავალზეც ისაუბრა:

*"ჩვენ პატივი უნდა ვცეთ "ბარსელონას". ამ კლუბთან ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს, მეც და ჩემს ძმასაც, რომელსაც "მილანისადმი" სიმპათია არასოდეს უარუყვია. იქ ბევრი ბრაზილიელი თამაშობს. დარწმუნებული ვარ, "როსონერიში" მას თბილად შეხვდებიან".*

"კორიერე დელო სპორტი" ამტკიცებს, რომ ასისმა და "მილანის" წარმომადგენლებმა გააფორმეს პაქტი, რომლის ძალითაც, "ბარსელონიდან" წასვლის შემდეგ რონალდინიომ იტალიური გრანდის მაისურა უნდა მოირგოს. "მილანი" მზადაა, ის დღესვე წაიყვანოს, მაგრამ ფეხბურთელს "ბარსასთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს გაფორმებული, შესაბამისად, მეტისმეტად ძვირადაც ფასობს, მაგრამ გალიანი, და რაც მთავარია, **სილვიო ბერლუსკონი**, ფულის გამო უკან რა დაიხევენ. თუმცა "მილანის" ჩინოსნები ესპანურ კლუბთან კონფლიქტს ერიდებიან. გალიანი განმარტავს:

*"არ გვინდა, ვინმე წნეხში მოვაქციოთ. რონალდინიოს "ბარსასთან" კიდევ ოთხი წელი აკავშირებს. და არა მგონია, რომ მას კლუბთან რაიმე უთანხმოება ჰქონდეს. თუ ის გადაწყვეტს, რომ დატოვოს ესპანეთი, იცოდეს, რომ "მილანის" კარი მისთვის ყოველთვის ღიაა. დღეს არ მინდა, ისეთი განცხადება გავაკეთო, რაც "ბარსელონასთან" ურთიერთობას გაგვიფუჭებს. ანუ, არ გვინდა, განმეორდეს სიტუაცია, რომელიც გასულ ზაფხულს კაკას გარშემო იყო".*

ერთი სიტყვით, "მილანმა" მომავლისკენ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა. ისე კი, არ არის გამორიცხული, ტრანსფერი ამ ზაფხულსვე შედგეს. სეზონის დასრულებისთანავე, კატალონიაში სერიოზულ ძვრებს ელოდებიან. ექსპერტები და მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ "ბარსელონის" ამ შემადგენლობას მოტივაცია აღარ აქვს. დაძაბულია ურთიერთობა **ფრანკ რიიკაარდსა** და კლუბის ხელმძღვანელობას შორისაც. ჰოლანდიელ მწვრთნელს აბარგებას უწინასწარმეტყველებენ. შესაბამისად, მისი შემცვლელი გუნდს თავისი შეხედულებით დააკომპლექტებს. მაგრამ საინტერესოა, რომელია ის ჭკუადმყოფელი მწვრთნელი, რონალდინიოზე რომ უარს იტყვის?

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ჟოზე: რეალში ლემპარდთან ერთად

## აბრამოვიჩის განქორწინება, THE SUN-ის სენსაციური ინფორმაცია და ჟოზეს დამცინავი კომენტარი ვალენსიაზე...

დავიწყოთ იმით, რომ გუშინ ოფიციალურად დადასტურდა ინფორმაცია "ჩელსის" ბოსის **რომან აბრამოვიჩის** განქორწინების შესახებ. მან და მისმა მეუღლე **ირინამ**, ვისთანაც რუს ოლიგარქს ხუთი შვილი ჰყავს, ცალ-ცალკე ცხოვრება გადაწყვიტეს. დეტალები უცნობია. უცნობია ისიც, თუ რა ქონებას დაეპატრონება ქალბატონი აბრამოვიჩი საბუთების გაფორმების შემდეგ. ოფიციალურ პრესრელიზში ნათქვამია, რომ ეს ფაქტი რომანის ბიზნესზე არ იმოქმედებს...

გუშინდელ "სანში" ასეთ ცნობას ამოიკითხავდით: **ჟოზე მოურინიო** "რეალის" გაწვრთნას იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ მადრიდელები **ფრენკ ლემპარდს** შეიძენენო. პორტუგალიელი მზადაა, ესპანეთში წავიდეს, მაგრამ ახალი კლუბის ასაშენებლად ინგლისელი ნახევარმცველი სჭირდება. 28 წლის ლემპარდს "ჩელსისთან" კონტრაქტი ორ წელიწადში უმთავრდება. სეზონის ბოლოს მას საკუთარი თავის გამოსყიდვა შეუძლია, საბაზროსთან შედარებით, ბევრად ნაკლებ ფასში, 8 მილიონ გირვანქად. მადრიდელები ლემპარდზე უარს არ იტყვიან. ისინი ფრენკს მეგაკონტრაქტს გაუმზადებენ.

რამდენიმე დღის წინ მოურინიომ საჯაროდ განაცხადა, "რეალის" გაწვრთნა ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდაო. მადრიდელ გულშემატკივართა შორის სახელდახელო გამოკითხვა მოეწყო. 55 პროცენტმა განაცხადა, რომ **კაპელოს** ადგილზე "ჩელსის" ბოსის ხილვა სურთ.

რაც შეეხება ლემპარდს, მისი საკითხი გაცილებით რთულადაა. **პიტერ კენიონი** არ უარყოფს მოურინიოსთან დაკავშირებულ სპეკულაციებს. სამაგიეროდ, ეწინააღმდეგება მოსაზრებებს, თითქოს "ჩელსის" ლემპარდის დაკარგვა ემუქრებოდეს. მოლაპარაკებები ნელა მიმდინარეობს. ორი დღის წინანდელ "მირორში" ისიც კი დაიწერა, რომ კენიონი ლემპარდის აგენტს სამი კვირაა, არ შეხვედრია.

"არისტოკრატებს" კონტრაქტებთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც აქვთ. **კლოდ მაკელელე** ხელშეკრულების ორი წლით გაგრძელებას ითხოვს. "მირორის" ცნობით, თუ ფეხბურთელი ულტიმატუმებით გააგრძელებს საუბარს, მაშინვე დაემშვიდობებიან. მისი გაშვებით, კლუბი კვირაში 90 ათას გირვანქას დაზოგავს. მაკელელე 34 წლისაა. ის აღარაა ისეთ ფორმაში, როგორშიც მადრიდიდან ლონდონში ტრანსფერისას იყო.

ამასობაში, "ჩელსის" მცველ **უეინ ბრიჯს** მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. მას მინიმუმ სამი კვირა გაუცდება. ბრიჯის ტრავმა ინგლისის ნაკრებისთვისაც სერიოზული თავსატეხია. დისკვალიფიკაციის გამო ისრაელთან 24 მარტის შეხვედრას ჩელსელი **ეშლი კოულიც** ტოვებს. უეინს, წესით, მისი ადგილი უნდა რგებოდა.

"ჩელსიზე" საუბარს ჟოზე მოურინიოს კიდევ ერთი კომენტარით დავასრულებთ. კითხვაზე, თუ რას ფიქრობს ის ჩემპიონთა ლიგაში ლონდონელთა მომდევნო მეტოქეზე, მწვრთნელმა მიუგო, "ინტერთან" მატჩში ვალენსიელთაგან ყველაზე მეტად **დავიდ ნავაროს** სისწრაფე დამამახსოვრდაო. ამ ფეხბურთელმა იტალიელებთან განმეორებითი შეხვედრა თადარიგში გაატარა. ის მინდორზე საფინალო სასტვენის შემდეგ შევიდა. **ნიკოლას ბურდისოს** ცხვირში მუშტი უთავაზა და გასახდელისაკენ მოკურცხლა. მისი შესაშური სისწრაფე რომ არა, გაგიჟებულ ინტერელებს, შეიძლება, შუაზე გაეგლიჯათ.

მოურინიოს ცინიკური ტონი პასუხი იყო ვალენსიელთა სპორტული დირექტორის **ამადეო კარბონის** განცხადებაზე, "ჩელსი" ლიგას შემორჩენილი უსუსტესი ინგლისური კლუბიაო. მოურინიო: *"კარბონის საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას ვერავინ წაართმევს. მასთან კამათს არ ვაპირებ. "ვალენსია" ძალიან მომწონს. ის შესანიშნავი გუნდია, მაგრამ ვწუხვარ, რომ "რეალი" და "ბარსელონა" გავარდნენ. მე ყოველთვის საუკეთესო კლუბებთან თამაშზე ვოცნებობ. ალბათ, სხვებიც ასე ფიქრობენ."*



ფრენკ ლემპარდი და ჟოზე მოურინიო



დეშამს ხელ-ფეხი გაეხსნა?

## 105 მილიონი დიდი იუვესთვის

"იუვენტუსის" ქომაგებმა ფანტასტიკური ამბავი გაიგეს. ფიატ-ისა და კლუბის ერთ-ერთმა მეპატრონე **ჯონ ელკანმა** ძველი დიდების ასაღორძინებლად 105 მილიონი ევრო გამოყო. ცხადია, გახარებულები არიან **დიდიე დეშამიცა** და ფეხბურთელებიც. ეს ის თანხაა, რაც მომავალი სეზონისთვის ტრანსფერებში უნდა დაიხარჯოს, და რომელიც სრულიად საკმარისია, როგორც ვარსკვლავების შენარჩუნებისთვის, ისე სხვა მქუხარე სახელების გადასაბირებლად.

სამშაბათს, "იუვენტუსმა" მინიმალური ანგარიშით (1:0) სძლია "ტრევიზოს" და 3 ქულით დაშორდა მეორეადგილოსან "ნაპოლის", რომელმაც საკუთარ მოედანზე "ვიჩენცასთან" დაკარგა ქულები (0:0). მიუხედავად "ბრეშასთან" შაბათის მარცხისა (1:3), ტურინელები განსაკუთრებული შეფერხების გარეშე მიიწევენ სერია A-სკენ. ბუნებრივია, ამ 105 მილიონის გახმაურებას მალე ათასგვარი სატრანსფერო სპეკულაციაც მოჰყვება. დაველოდოთ ამ ამბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# კასანო: კაპელო, შენ გიჟი ხარ!

## კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს, იტალიელმა ფორვარდმა მთავარი მწვრთნელი კიდევ ერთხელ შეურაცხყო, სასჯელი ამჯერად უფრო მკაცრი იქნება...




კაპელო და კასანო საერთო ენის გამონახვას ვერ ნახულობენ

**კასანოს** საშველი არ არის. ანტონიო და **ფაბიო კაპელო** ერთმანეთს ვერ უგებენ. კარგად იცით, რომ იტალიელმა ფეხბურთელმა 2006 წლის 30 ოქტომბერს "რეალის" მთავარ მწვრთნელს დიდი შეურაცხყოფა მიაყენა. მას შემდეგ, რაც კაპელომ შეგირდი "ხიმნასტიკთან" გასვლით მატჩში შეცვლაზე არ შეუშვა, ფორვარდმა მას ყველას გასაგონად პირში მიახალა: *"არაკაცო, შენი გულისთვის "რომაში" თავს ვიკლავდი, ახლა კი სამაგიეროს ამით მიხდი? თუ არ მათამაშებდი, ამდენ ხანს რატომ მამზადებდი შესასვლელად? ნამდვილი არაკაცი და ღორი ხარ."* კასანოს ეს გამოხდომა ძალიან ძვირად დაუჯდა. რთული ხასიათის მწვრთნელმა ის არა მარტო ძირითადი შემადგენლობიდან, არამედ გუნდიდან მოკვეთა. აპენინელ თავდამსხმელს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ინდივიდუალურად, თანაგუნდელების კომპანიის გარეშე ვარჯიში უხდებოდა. სინიორ ფაბიო, ფეხბურთელების თხოვნას არაფრად აგდებდა და კასანოს არა და არ იწყალებდა. ბოლოს მწვრთნელს გული მოულბა და თანამემამულე გუნდში დააბრუნა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანტონიომ ჭკუა ვერ ისწავლა. როგორც ჩანს, ამ ბიჭს მართლაც განსაკუთრებულად ჭირვეული და აუტანელი ხასიათი აქვს. შაბათს "ბარსელონასთან" მატჩის მსვლელობისას კასანომ სამეფო კლუბის თავკაცი კიდევ ერთხელ შეურაცხყო. მოგეხსენებათ, სუპერკლასიკომ უაღრესად დაძაბულ ატმოსფეროში ჩაიარა და საყაიმო შედეგით, 3:3 დასრულდა. სტუმართა დამრიგებელმა იმ ორთაბრძოლაში მხოლოდ ორი ცვლილება განახორციელა. კასანოს კვლავ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უხდებოდა მოთელვა. საფინალო სასტვენის შემდეგ იტალიელმა მოთმინება დაკარგა და კაპელოსთან მიიჭრა: *"ნამდვილი გიჟი ხარ, მესამე ცვლილება როგორ არ განახორციელე?! დაბერდი და ვერ ხვდები. ვერ ნახე რა თამაში იყო, იდიოტიც მიხვდებოდა, რომ მესამე კაციც უნდა შეგეშვა."*

სუპერკლასიკოს შემდეგ თითქმის ერთი კვირა გავიდა, მაგრამ ეს ამბავი ახლაღა გახმაურდა. სამეფო კლუბის მესვეურები უსიამოვნო ინციდენტს საგულდაგულოდ ასაიდუმლოებდნენ, თუმცა ჩვენს დროში ძნელად თუ რაიმე დაიმალება. მოკლედ, ეს ამბავი გასკდა და ესპანელმა ჟურნალისტებმა შეფასებებისთვის "რეალის" საწვრთნელ ბაზას მიაშურეს. აღმოჩნდა, რომ სუპერკლასიკოში მესამე ცვლილების განხორციელებას თითქმის ყველა ფეხბურთელი ითხოვდა, მაგრამ მათ ხმა არ ამოუღიათ. სწორედ ამაშია კასანოსა და სხვების განსხვავება. ანტონიო ენას კბილს ვერასოდეს აჭერს. ის ემოციური, ხულიგნური გატაცებების მქონე ადამიანია. მოსალოდნელია, რომ მადრიდული გიგანტის ხელმძღვანელობა ამ საკითხს უყურადღებოდ არ დატოვებს და უდისციპლინობაში კიდევ ერთხელ მხილებულ ფორვარდს ამჯერად უფრო მკაცრად დასჯის. ოფიციალურ პირებს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებიათ, თუმცა მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ფაბიო კაპელო კასანოს გუნდიდან საბოლოოდ მოკვეთს. თუ მოვლენები მართლაც ამგვარად განვითარდება, ანტონიოსთვის "რეალი" უსიამოვნო მოგონებად დარჩება. გადაწყვეტილია, რომ მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე აპენინელს გაყიდიან. ივნისამდე კი კაპელო ძირითად გუნდს ახლოსაც არ გააკარებს. მოკლედ, **ფლორენტინო პერესმა** ამ ადამიანის შეძენით აშკარად დიდი შეცდომა დაუშვა. ფაქტია, ანტონიოს სამეფო კლუბისთვის აუტანელი თავის ტკივილის გარდა არაფერი მოუტანია. აღსანიშნავია, რომ მისი დაცვით გულშემატკივრები და თანაგუნდელებიც არ იკლავენ დიდად თავს.

ამასობაში, პირენეული გიგანტის ხელმძღვანელობამ გაავრცელა სასიხარულო ინფორმაცია. საქმე ის არის, რომ გუნდს **სისინიო** დაუბრუნდა. ბრაზილიელმა მცველმა ბოლო ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. ექიმები დარწმუნდნენ, რომ მათმა პაციენტმა ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და ძირითად გუნდთან ვარჯიში უპრობლემოდ შეუძლია. აქამდე სისინიო ინდივიდუალურად ემზადებოდა და მხოლოდ დაბალ ტემპში დაძუნძულებდა.

სამხრეთამერიკელმა ლეგიონერმა 23 სექტემბერს "ბეტისთან" მატჩში უმძიმესი ტრავმა მიიღო. მას მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა. თავად განსაჯეთ, თუ რაოდენ მტკივნეული და დრამატული ცხოვრება ჰქონდა მას მთელი ამ ხნის განმავლობაში. რეაბილიტაციისთვის სისინიოს თითქმის ექვსი თვე დასჭირდა. გამოჯანმრთელებული თანაგუნდელი "რეალის" ვარსკვლავებმა ძალიან თბილად მიიღეს. მას კაპელოც გადაეხვია და სასურველი კონდიციების უმოკლეს დროში აღდგენა უსურვა. ვარჯიშის დასრულების შემდეგ სისინიომ ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა. აი, რა განაცხადა მან: *"ვერავინ წარმოიდგენს, როგორ მომენატრა ჩემი გუნდი და ფეხბურთის თამაში. საუბედუროდ, ფეხბურთელისთვის ყველაზე საშინელი ტრავმა მივიღე. ექვსი თვეა ჩემს საქმეს ვერ ვაკეთებ. ნახევარი წლის განმავლობაში სამეფო კლუბმა უამრავი ურთულესი ორთაბრძოლა ჩაატარა. გული ტკივილით მიკვდებოდა, როცა ვხედავდი, რომ ვმარცხდებოდით. მინდოდა, მინდორზე შევჭრილიყავი და "რეალისთვის" თავი შემეწირა. ცხადია, ამის გაკეთება შეუძლებელი გახლდათ. რა გაეწყობა, წარსულს ვერ შევცვლით. ახლა მთავარია, ძალები მოვიკრიბოთ და გადამწყვეტი მატჩები არნახული მონდომებით ჩავატაროთ. იმედია, ფორმას მალე აღვიდგენ. კაპელო მარწმუნებს, როგორც კი სასურველ კონდიციებს დავიბრუნებ, უმალ ძირითად შემადგენლობაში მიკრავს თავს. მისი თქმით, "რეალს" ჰაერივით ვჭირდები. მწვრთნელის ეს სიტყვები ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა. მიხარია, რომ ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ თავს არ დავზოგავ."*

სისინიოს შანსების შესახებ ჟურნალისტების შეკითხვას კაპელომ გულწრფელი პასუხი გასცა: *"უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ფეხბურთელის გამოჯანმრთელების გამო გულითადი სიხარული მინდა გამოვხატო. სისინიო ძალიან გვაკლდა. დარწმუნებული ვარ, წინა შეხვედრებში ძალიან დაგვეხმარებოდა. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ბრაზილიელს მეტისმეტად ვაფასებ. სრული სერიოზულობით ვაცხადებ, როგორც კი დავრწმუნდები, რომ ფორმა აღიდგინა, შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს მივცემ. ექვსთვიანი ტრავმის გათვალისწინებით ვვარაუდობ, რომ საამისოდ მას რამდენიმე კვირა დასჭირდება. ალბათ, სისინიო მოედანს აპრილის პირველ ნახევარში დაუბრუნდება."*

დასასრულს იმასაც მოგახსენებთ, რომ **ფაბიო კანავარომ** მიკრო ტრავმა მოიშუშა. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება, პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი პრიმერა დივიზიონის მორიგ ტურში ითამაშებს. სამაგიეროდ, ფაბიო კაპელო ძირითად შემადგენლობაში **სერხიო რამოსის** დაყენებას ვერ შეძლებს. ახალგაზრდა მცველმა "ბარსელონასთან" სუპერკლასიკოში არამარტო ეფექტური გოლით, არამედ მეხუთე ყვითელი ბარათითაც დაგვამახსოვრა თავი. სადისციპლინო კომიტეტმა რამოსს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

უეფა

# პლატინი გრანდებს ააბუნტებს

**მიშელ პლატინი** თამამი ნაბიჯების გადადგმას აპირებს. ჩემპიონთა ლიგის ფორმატის შეცვლა მისი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო. ის თავიდანვე აცხადებდა, რომ ახლებური მიდგომა პატარა ქვეყნებს განვითარების მეტ შანსს მისცემდა. გუშინ, პლატინიმ საფეხბურთო საზოგადოებას მისეული პროექტის კონტურები გააცნო. ის თვლის, რომ ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო რაუნდში წამყვანი ქვეყნების კლუბები ერთმანეთს უნდა ხვდებოდნენ და არა სუსტებს. ამ იდეის არსი იმაშია, რომ ღარიბ საფეხბურთო რეგიონებს ლიგის მთავარ ბადეში მოხვედრა შეეძლოთ.

*"დიდი ქვეყნების კლუბები ერთმანეთს ადრეულ ეტაპზევე უნდა შეხვდნენ. მათ ლიგაში ისედაც სამი-ოთხი გუნდი ჰყავთ, რაც საკმარისზე მეტია. ამიტომ, უპრიანი იქნება, თუკი ისინი ერთმანეთს ბოლო საკვალიფიკაციო რაუნდში დაუპირისპირდებიან. ამით, პატარა ქვეყნების წარმომადგენლებს ლიგაში გასვლის შანსს გავუზრდით. ჩვენი მიზანია ფეხბურთის განვითარება რაც შეიძლება მეტ ქვეყანაში, ანუ იქ, სადაც სპორტის ეს სახეობა არანაკლებ, და შეიძლება, უფრო მეტადაც კი უყვართ. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ესპანეთის, იტალიისა და ინგლისის ჩემპიონატებში მეოთხე ადგილზე გასული გუნდების ლიგაში მოხვედრა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ, პოლონეთის, ჩეხეთის ან დანიის კლუბების".*

### უეფას პრეზიდენტი: რატომ ინგლისი, ესპანეთი ან იტალია, და არა პოლონეთი, ჩეხეთი ან დანია?

იქვე, პლატინი განმარტავს, რომ ახალი პროექტი, თუკი მას უეფას აღმასკომი დაამტკიცებს, ძალაში 2009/10 წლების სეზონიდან შევა. ამას გარდა, პლატინი ფიქრობს, რომ უნდა აიკრძალოს ფეხბურთელების ერთი კლუბიდან მეორეში განათხოვრებით გადასვლა იმ შემთხვევაში, თუკი ეს კლუბები ერთსა და იმავე ტურნირში მონაწილეობენ. აქ, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ "ჩელსის" კავშირი ბრაზილიელ მცველ **ალექსთან**, რომელიც ამჟამად "ეინდჰოვენში" თამაშობს, ეს ჰოლანდიური კლუბი კი, შეიძლება, "არისტოკრატებს" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში შეხვდეს...

შემდეგ, მოსიე მიშელმა მხარი დაუჭირა ინგლისის კანდიდატურას, 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე. *"ძალიან მომწონს იდეა, რომ ყოველ ოთხ წელიწადში მუნდიალს ევროპის ქვეყნებმა უმასპინძლონ. მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სჯობს, რაც შეიძლება მალე-მალე ვუმასპინძლოთ მსოფლიო ჩემპიონატებს".*



მიშელ პლატინი

ამ საკითხში, მოსალოდნელია პლატინის პირველი და მეტად სერიოზული დაპირისპირება ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერთან**, რომელიც შვიდი წლის წინ შემოღებულ როტაციის წესს ემხრობა და 2018 წლის მუნდიალის მასპინძლად კონკაკაფ-ის (ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკა, პლუს კარიბის ზღვის რეგიონი) რომელიმე ქვეყანა ესახება: პირველ რიგში აშშ, მერე მექსიკა და ბოლოს კანადა.

მაგრამ ამ ახალი იდეების გამო, პლატინის მარტო ბლატერთან არ მოუწევს შებმა. გაცილებით მძიმე იქნება ურთიერთობის გარკვევა იმ ქვეყნებთან, რომელთაც სეკვესტრით ემუქრება. უეჭველია, რომ ბობოლები ასე ადვილად არ დათმობენ პოზიციებს და ხმაური იმაზე ბევრად მეტი იქნება, ვიდრე ეს G 14-ის დაარსებასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს მოჰყვა.

საქველმოქმედო მატჩი

# გმადლობთ!

## ზიდანმა მატერაცის გამო არ ითამაშა, საქველმოქმედო ფონდში 1.5 მილიონი გირვანქა ჩაირიცხა...

**სამშაბათს** "მანჩესტერ იუნაიტედმა" ევროტურნირებში მოღვაწეობის 50 წლისთავი აღნიშნა. ევროპის ნაკრებთან გამართული ამხანაგური მატჩი სხვა მიზანსაც ემსახურებოდა: მან რომის ხელშეკრულების 50 წლისთავსაც მიაგო პატივი. დაინტერესებულ მკითხველს უთუოდ მოეხსენება, რომ ევროკავშირს სწორედ ნახევარი საუკუნის წინ, რომში ხელმოწერილი დოკუმენტით ჩაეყარა საფუძველი.

დავუბრუნდეთ ფეხბურთს და სამშაბათის პერიპეტიებს. "იუნაიტედმა" თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა გამოიყვანა და შესუსტებულ ევროპელებს 4:3 მოუგო. მასპინძელთაგან **უეინ რუნიმ** შეასრულა დუბლი, სტუმართაგან - **ელ ჰაჯი დიუფმა**. ყველაზე შთამბეჭდავი გოლი **კრისტიანო რონალდომ** 35 მეტრიდან შესრულებული საჯარიმოთი შეაგდო. თამაშს არაოფიციალური მატჩისათვის სარეკორდო, 74 343 მაყურებელი დაესწრო. შემოსავალმა 1.5 მილიონ გირვანქას გადააჭარბა. ფული მთლიანად "მანჩესტერ იუნაიტედის" საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხა.

ევროპის ნაკრები **მარჩელო ლიპიმ** და **ჯანლუკა ვიალიმ** მოამზადეს. მათ **ზინედინ ზიდანიც** გამოიძახეს, მაგრამ ზიზუმ მიწვევაზე თავაზიანი უარი თქვა. ფრანგ ვარსკვლავს მიზეზი არ დაუსახელებია, მაგრამ ნათელი გახლდათ, რომ ის **მარკო მატერაცის** გვერდით არ ითამაშებდა. ვარსკვლავთა გუნდში "ჩელსის" არცერთი ფეხბურთელი არ ყოფილა, რადგან გუშინ "არისტოკრატები" "მანჩესტერ სიტისთან" გამოტოვებულ შეხვედრას მართავდნენ. ევროპელთა კაპიტანი ის **ჰენრიკ ლარსონი** იყო, რომელსაც ეს-ესაა, "იუნაიტედთან" საიჯარო კონტრაქტი ამოეწურა.

საღამოს ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა **დევიდ ბექჰემის** გამოჩენა იყო. ფანებმა მას გამაყრუებელი ოვაციები გაუმართეს. "რეალის" ვარსკვლავს სტუმართა გუნდში უნდა ეთამაშა, მაგრამ ტრავმამ შეუშალა ხელი. ამის მიუხედავად, მანჩესტერში მაინც ჩავიდა და შესვენებისას ფანებს გულის ამაჩუყებელი სიტყვებით მიმართა: *"გასაოცარია, რომ აქ დავბრუნდი. გული მწყდება, რომ დავშავდი, მაგრამ სიამოვნებისათვის აქ ყოფნაც საკმარისია. წლები, რომელიც ამ კლუბში გავატარე, საუკეთესო იყო მთელს ჩემს კარიერაში. ოთხი წელი ველოდი იმ დღეს, როცა ჩამოვიდოდი და თითოეულ თქვენგანს მადლობას ვეტყოდი. "მანჩესტერს" მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელი ჰყავს. ეს გუნდი უძლეველი გახდება და უთვალავ ტიტულს მოიპოვებს. წარმატებებს გისურვებთ. დიდი მადლობა."*

ბექზი "იუნაიტედში" 1989 წელს, 14 წლისა მივიდა. მისი დებიუტი 1992 წელს შედგა. 2003 წელს მადრიდის "რეალში" გაყიდეს, ივნისში კი, სარეკორდო გარიგების საფასურად, "ლოს ანჯელეს გალაქსიში" ჩაირიცხება. ბექჰემის უკლებლივ ყველა წარმატება მანჩესტერულ გრანდს უკავშირდება. ის ექვსჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი და 1999 წელს ჩემპიონთა თასს დაეუფლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ბალაკი: დანიშნეთ ეფენბერგი

## მილანთან ვან ბომელის გარეშე, დენილსონი მიუნხენელთა სამიზნეშია, რენზინგი წასვლით იმუქრება, სანტა კრუსს უშვებენ...

"ბაიერნის" შესახებ იმდენი საინტერესო ინფორმაციაა, რომ აღარ ვიცით, რომელი ერთით დავიწყოთ. ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს რეკორდმაისტერის ფანებისთვის გულდასაწყვეტი ალბათ მაინც ის გახლავთ, რომ უეფას სადისციპლინო კომისიამ მარკ ვან ბომელს ჩემპიონთა ლიგაში ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველი მიუნხენურ კლუბს მეოთხედფინალში, "მილანთან" ორივე შეხვედრაში დააკლდება. ბავარიული კლუბის ბოსები შოკირებულები არიან, საჩივრის შეტანას აპირებენ და იმედოვნებენ, რომ უეფა ვან ბომელს სასჯელს შეუმსუბუქებს და "როსონერისთან" განმეორებით შეხვედრაში მაინც დართავს თამაშის ნებას. ამასობაში ბავარიელთა სათადარიგო მეკარე მიხაელ რენზინგმა უკმაყოფილება ვერ დამალა იმით, რომ გუნდის ბოსები ოლივერ კანს კონტრაქტის გაგრძელებას სთავაზობენ. ინგლისური პრესა კი ავრცელებს ინფორმაციას, რომ რეკორდმაისტერი არსენალელი დენილსონითაა დაინტერესებული. მივყვეთ თანმიმდევრობით.

### რუმენიგე: ეს უსამართლობაა, აპელაციას შევიტანთ!

"ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ მარკ ვან ბომელის** სასჯელი უსასტიკეს გადაწყვეტილებად შეაფასა და არ დამალა, რომ უეფას სადისციპლინო კომისიის განაჩენით შოკირებულია. რუმენიგე ამბობს, რომ ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას ელოდა და რომ ჰოლანდიელის ორი მატჩით დასჯა უსამართლობაა. ვან ბომელი რეკორდმაისტერის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა და თუ ის "მილანთან" ორივე მატჩს გამოტოვებს, ეს "ბაიერნისთვის" უდიდესი დანაკლისი იქნება. სწორედ ამიტომ, ბავარიული გიგანტის ბოსები უეფაში აპელაციას შეიტანენ და სასჯელის შემსუბუქებას მოითხოვენ. თუმცა იმის შანსი, რომ უეფამ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ძალიან მცირეა.

როგორც იცით, ვან ბომელი "რეალთან" განმეორებით შეხვედრაში მოედნიდან სლოვაკმა არბიტრმა **ლუბოშ მიხელმა** გააძევა. ეს მატჩის დასკვნით პერიოდში მოხდა: სანამ **რუუდ ვან ნისტელროი** პენალტს შეასრულებდა, ჰოლანდიელი მადრიდელთა ნახევარმცველ **მაჰამადუ დიარასთან** წაკინკლავდა, რის გამოც მიხელმა მას მეორე ყვითელი და, შესაბამისად, წითელი ბარათიც აუფრიალა. სხვათა შორის, მიხელმა მარკთან ერთად დიარაც გააძევა. სხვა დროს უეფა ამის გამო ნებისმიერ ფეხბურთელს მხოლოდ ერთი მატჩით დასჯიდა, მაგრამ ვან ბომელი განსაკუთრებული შემთხვევაა. გეხსომებათ, ჰოლანდიელს "რეალთან" პირველი მატჩის შემდეგაც დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა, რადგან მან "სანტიაგო ბერნაბეუზე" გატანილი გოლის შემდეგ უხამსი ჟესტი გააკეთა. მაგრამ უეფამ ექსბარსელონელი ნიდერლანდი მაშინ დაინდო და მხოლოდ პირობითი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ხოლო, რაკი ჰოლანდიელი მეორე მატჩშიც გამოირჩა არასპორტული საქციელით და ჭკუა ვერ ისწავლა, ახლა "მილანთან" ვერცერთ შეხვედრაში ველარ მიიღებს მონაწილეობას. *"გაოგნებულები ვართ, ეს ნამეტანია. ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჩვენთვის მიულებელია. აუცილებლად გავასაჩივრებთ,"* - აცხადებს რუმენიგე.

სხვათა შორის, პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** "მილანთან" დაპირისპირებას ოპტიმისტურად უყურებს. კაიზერი მიიჩნევს, რომ "ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის მოგების უფრო დიდი შანსი აქვს, ვიდრე გერმანიის ჩემპიონატის მოგებისა. *"მილანს" დიდ პატივს ვცემ, მაგრამ გუნდი, რომელმაც "რეალი" გამოაგდო, არც "მილანს" უნდა უფრთხოდეს. ვფიქრობ, რომ ჩემპიონთა ლიგას უფრო მოვიგებთ, ვიდრე ბუნდესლიგას,"* - წერს ბეკენბაუერი "ბილდში" გამოქვეყნებულ წერილში.

### არსენალის ტალანტი ბაიერნში?

ინგლისური გამოცემა "დეილი მირორი" გვამცნობს, რომ ლონდონის "არსენალის" 19 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი **დენილსონი** "ბაიერნის" ბოსების სასურველ ფეხბურთელთა სიაში ფიგურირებს. იგივე გაზეთი წერს, რომ ბრაზილიის 19-წლამდელთა ნაკრების კაპიტნით "ბარსელონა" და "რეალიც" არიან დაინტერესებული. დენილსონი ცენტრალური ნახევარმცველია და ის "მეთოფეებში" სექტემბერში "სან პაულოდან" გადავიდა. ბრაზილიელ ტალანტს ლონდონურ გრანდთან 4 წლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. მიუხედავად იმისა, რომ "არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერი** მას საკმაოდ იშვიათად ათამაშებს, დენილსონი უდიდეს ტალანტად მიიჩნევა.

### რენზინგი: თუ კანი კონტრაქტს გააგრძელებს, წავალ!

გუშინდელ ნომერში ვიტყობინებოდით, რომ რუმენიგემ **ოლივერ კანს** კონტრაქტის ნაადრევად გაგრძელება შესთავაზა და აღნიშნა, რომ მისი აზრით, "ტიტანმა" კარიერა ჯერ არ უნდა დაასრულოს. არადა, 37 წლის ოლის, რომელიც ივლისში 38 წლის ხდება, რეკორდმაისტერთან ხელშეკრულება ისედაც 2008 წლის ივნისამდე აკავშირებს. მიუხედავად ამისა, ბავარიული გრანდის ვიცე-პრეზიდენტი მზადაა, კანს ახალი ხელშეკრულება ახლავე გაუფორმოს. გუშინვე ვივარაუდეთ, რომ ეს ყველაფერი ძალიან არ მოეწონებოდა "ბაიერნის" მეორე მეკარე **მიხაელ რენზინგს**, რომელიც უკვე ძალიან დიდი ხანია, კანის პენსიაზე გასვლას და თავის შანსს ელის. ასეც მოხდა: რენზინგი დაუფარავად აცხადებს, თუ 2008 წლიდან პირველი მეკარე არ ვიქნები, გუნდიდან ახლავე წავალო.

რენზინგი "ბაიერნში" 16 წლიდან ირიცხება, თავიდან რეკორდმაისტერის ბავშვთა გუნდის კარის დარაჯი იყო, საიდანაც ჯერ მოყვარულების, შემდეგ კი ძირითად გუნდში მოხვდა (ბუნდესლიგაში ჩატარებული აქვს 12 მატჩი). ახლა კი 22 წლის მეკარეს მოთმინების ფიალა აევსო, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი - მიუხედავად იმისა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაში ძალიან იშვიათად უწევს, მიხაელი გერმანიაში უკვე ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერად. ერთადერთი, ვინც მას ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენაში ხელს უშლის სწორედ კანია. რენზინგი ფიქრობდა, რომ ამ სეზონიდან "ბაიერნის" პირველი მეკარე გახდებოდა, მაგრამ კანმა კარიერა არ დაასრულა და მასაც სათადარიგო კიპერის სტატუსთან შეგუება მოუხდა. როცა გაირკვა, რომ ოლი ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას არ აპირებდა, რუმენიგემ რენზინგს პირობა მისცა, 2008 წლიდან ჩვენი პირველი მეკარე შენ იქნებიო. ახლა კი კალე კანს კარიერის 40 წლამდე გაგრძელებას ურჩევს, რის გამოც რენზინგი წყობიდან გამოვიდა.

*"დღემდე ჩემთვის მხოლოდ "ბაიერნი" არსებობდა და სხვა გუნდში გადასვლაზე არ ვფიქრობდი, მაგრამ ამიერიდან მზად ვარ, ნებისმიერ კლუბთან ვაწარმოო მოლაპარაკება. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ სურს რუმენიგეს დაპირების შესრულება. ერთი წლის წინ მან მითხრა, რომ 2008/2009 წლების სეზონიდან პირველი მეკარე გავხდებოდი, რადგან კანს სწორედ 2008 წლის ზაფხულში უნდა კარიერის დამთავრება. თუკი რუმენიგეს ჩემთვის დანაპირების შესრულება არ სურს, მაშინ "ბაიერნიდან" წავალ,"* - ამბობს რენზინგი "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.



ვან ბომელს აძევებენ

22 წლის მეკარემ, რომელიც გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების კარსაც იცავს ხოლმე, დღემდე რეკორდმაისტერის მაისურით მხოლოდ 17 ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. მიმდინარე სეზონში კი ორჯერ იდგა ბავარიული გრანდის კარში - ორივეჯერ გერმანიის თასზე და ისიც იმის გამო, რომ კანი ტრავმირებული იყო. *"თამაში მინდა! ოდესმე ჩემი მოთმინების ფიალაც აივსება!"* - განრისხებულია ახალგაზრდა მეკარე.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა კანის გამო "ბაიერნის" სათადარიგო მეკარე წასვლაზე ფიქრობს და უკმაყოფილოა. თავის დროზე მიუნხენიდან აბარგება მოუხდათ **სვენ შოიერს** (დღეს 36 წლისაა, კარიერა დაამთავრა) და **შტეფან ვესელსს** (28 წლის, დღესდღეობით "კიოლნის" ღირსებას იცავს). არადა, ვესელსიც უნიჭიერეს გოლკიპერად მიიჩნეოდა. გაიზიარებს თუ არა მის ბედს რენზინგიც? ფაქტი ის გახლავთ, რომ მისი პოტენციალი ზედმეტად დიდია იმისათვის, რომ ბუნდესლიგაში სათადარიგოთა სკამი ხეხოს...

### სანტა კრუსს შეუძლია წავიდეს!

ცოტა ხნის წინ ბავარიელთა პარაგვაელმა თავდამსხმელმა **როკე სანტა კრუსმა** უკმაყოფილება ვერ დამალა იმის გამო, რომ მიუნხენურ კლუბში თამაში იშვიათად უხდება და "ბაიერნის" დატოვების სურვილი გამოთქვა. რუმენიგეს არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ სანტა კრუსი გაუშვას. *"მეც ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება, როკემ გუნდი გამოიცვალოს და ახლა სხვაგან სცადოს ბედი. მისი მრჩეველი გვეუბნება, რომ სანტა კრუსით რამდენიმე ესპანური კლუბია დაინტერესებული. ძალიან კარგი, ჩვენ როკეს არ დავაკავებთ და მის სანაცვლოდ არც ასტრონომიულ თანხას მოვითხოვთ,"* - ამბობს რუმენიგე. სანტა კრუსს "ბაიერნთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს.

### ბალაკი ეფეს რეკომენდაციას უწევს

"მიუნხენერ აბენდცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში რუმენიგემ თქვა, რომ უკვე ესაუბრა ჰიტცფელდს და ჰკითხა, თუ დარჩენაზე მაინც უარს იტყვი, იქნებ გვირჩიო, ვინ დავნიშნოთ მთავარი მწვრთნელის პოსტზეო. ჯერჯერობით უცნობია, ვის გაუწია რეკომენდაცია "გენერალმა", სამაგიეროდ ცნობილია ექსბაიერნელი **მიხაელ ბალაკის** მოსაზრება.

*"თუ ჰიტცფელდი "ბაიერნში" დარჩენაზე უარს იტყვის, მაშინ მიუნხენური კლუბის შეფებმა დიდხანს არ უნდა იფიქრონ - შტეფან ეფენბერგი რეკორდმაისტერის ღირსეული მწვრთნელი იქნება. ის, რომ ეფეს მწვრთნელად არასდროს უმუშავია, სულაც არ წარმოადგენს პრობლემას. იურგენ კლინსმანიც ასე იყო, მაგრამ ხომ ხედავთ, რაოდენ დიდ წარმატებას მიაღწია მსოფლიოს ჩემპიონატზე. ეფენბერგი "ბაიერნისთვის" უდიდესი ავტორიტეტია, კარგადაა ჩახედული გუნდის საქმეებში და მას ყველა ფეხბურთელი პატივს სცემს. ვფიქრობ, შტეფანი იდეალური ვარიანტი იქნებოდა,"* - აცხადებს ბალაკი გერმანულ პრესასთან საუბარში.



მიხაელ რენზინგი და ოლივერ კანი

**გოტფრიდ ლენცი**

### არმინიის გადარჩენა მიდენდორპს დაევალა

ბილეფელდის "არმინიას" ახალი მწვრთნელი ჰყავს. გუშინ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მე-17 ადგილზე მყოფი გუნდის დამრიგებლად **ერნსტ მიდენდორპი** დაინიშნა (კონტრაქტი 2008 წლამდე), კაცი, რომელიც უკვე ორჯერ (1988-90 და 1994/98 წლებში) წვრთნიდა ბილეფელდურ გუნდს. როგორც იცით, თებერვლის დასაწყისში პოსტიდან გადამდგარი **თომას ფონ ჰეეზენის** შემდეგ "არმინიას" მისი ასისტენტი **ფრანკ გაიდეკი** თავკაცობდა, მაგრამ ამ სპეციალისტის ხელში გუნდმა 4 თამაშიდან 3 წააგო და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე სერიოზულად ემუქრება. სწორედ ამიტომ, გუნდის შეფებმა სასწრაფოდ მოახდინეს რეაგირება და მიდენდორპი მიიწვიეს. ეს უკანასკნელი ბოლოს სამხრეთაფრიკულ კლუბ "კაიზერ ჩიფსს" წვრთნიდა, საიდანაც ცოტა ხნის წინ გაათავისუფლეს. გაიდეკი მისი ასისტენტი იქნება.

### ვან დერ ვაარტს ცოცხალი თავით არ გავყიდით!

სამშაბათის ნომერში **ფრანც ბეკენბაუერის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც "ბაიერნის" პრეზიდენტი ლიად ამბობს, რომ ძალიან მოსწონს "ჰამბურგის" ფლეიმეიქერი **რაფაელ ვან დერ ვაარტი**. ხსენებულ ინტერვიუში კაიზერმა ისიც აღნიშნა, რომ რეკორდმაისტერი ზაფხულში სატრანსფერო ბაზარზე აღარ იძუნწებს და უმაღლესი კლასის მოთამაშეების შეძენას შეეცდება. ბეკენბაუერის ამ ინტერვიუს გუშინ "ჰამბურგის" სპორტული დირექტორი **დიტმარ ბაიერსდორფერი** გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ ვან დერ ვაარტი არ იყიდება.

24 წლის ჰოლანდიელ ფლეიმეიქერს HSV-სთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს, თუმცა მის ხელშეკრულებაში არის ერთი პუნქტი, რომლის თანახმადაც 2009 წლის ზაფხულში მოთამაშეს გუნდის დატოვება სულ რაღაც 1.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუძლია. სწორედ ამიტომ, ჩრდილოგერმანული კლუბის შეფებს ვან დერ ვაართან კონტრაქტის გაგრძელება ახლავე სურთ. *"როგორც კი ბუნდესლიგაში დარჩენას გავინაღდებთ, რაფაელთან მაშინვე დავიწყებთ მოლაპარაკებებს,"* - აცხადებს ბაიერსდორფერი. ვან დერ ვაარტის ხელფასი დღესდღეობით წელიწადში 2 მილიონი ევროა. თუ ის ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს, ცხადია, ხელფასს გაუზრდიან და 3 მილიონს დაუნიშნავენ, რითაც რაფაელი "ჰამბურგისთვის" ყველა დროის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდება.

საქმე გახსნილია

# აგრესორი ციხეში ჩააყუდეს

## სევილიელი ფანი, რომელმაც ხუანდე რამოსი გაიმეტა, სასამართლოს წინაშე წარდგება...

ანდალუსიის პოლიციამ სანაქებოდ იმუშავა. სევილიელმა სამართალდამცველებმა ტიტანური სამუშაო შეასრულეს და **ხუანდე რამოსისთვის** ბოთლის სროლაში ეჭვმიტანილი დააკავეს. მას **ანხელ ჩავეს რუისი** ჰქვია. აღმოჩნდა, რომ 30 წლის კაცი სამოყვარულო გუნდ, "ანდალუსიის" მეკარეა. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი სულაც არ არის, როგორ მოხერხდა მეორე იარუსიდან "სევილიის" მთავარი მწვრთნელისთვის ბოთლის თავში გარტყმა. მეკარეებს ხომ საუცხოო მიზანი აქვთ. მოწმეების დაკითხვის შემდეგ პოლიციას ეჭვი გაუძლიერდა, რომ დანაშაული სწორედ ამ ადამიანმა ჩაიდინა, თუმცა თავად ჩავესი დანაშაულს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ბოთლი მის გვერდით მჯდომმა უცნობმა ახალგაზრდამ ისროლა.

ეჭვმიტანილის პოზიციის მიუხედავად, გამომძიებლები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ. მართალია, სასამართლომ ჩავესი თავდებით გაათავისუფლა, თუმცა ძიება არ შემწყდარა. იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალდება დაუმტკიცდება, ბოროტი ხულიგნობისთვის ოთხი წლით მოუწევს ციხეში ჩაჯდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი იტალიური სკანდალი

# ფოტოშანტაჟი

## როგორ სძალავდნენ პაპარაცები ფულს ჯილარდინოს, ტრეზეგეს, კოკოს, ტოტისა და ადრიანოს...

**იტალიაში** ახალი სკანდალი აქვთ. ამჯერად სკანდალი საფეხბურთო არაა, მაგრამ მასში ბევრი ფეხბურთელია გარეული და ყველა მათგანი, როგორც დაზარალებული მხარე. ცოტა ხნის წინათ ქალაქ პოტენცას პროკრატურამ ფოტოგრაფი, უფრო სწორად კი პაპარაცო ფაბრიციო კორონა დააკავა. კორონას ბრალი ე.წ. VIP პერსონების დაშანტაჟებასა და ფულის გამოძალვაში ედება. იტალიური შოუბიზნესისა და სპორტის წარმომადგენლებს კორონა და მისი ხალხი მაკომპრომეტირებელ ფოტოებს უღებდნენ, მერე კი ემუქრებოდნენ, რომ ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში, ჟურნალებში გამოაქვეყნებდნენ. ბევრ ცნობილ მსახიობთან ერთად პაპარაცოების აღნიშნული ქსელის მსხვერპლად რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი იქცა. აი, ისინი: ალბერტო ჯილარდინო, ფრანჩესკო კოკო, დევიდ ტრეზეგე, ფრანჩესკო ტოტი და ადრიანო. გამოძიება აღნიშნულ საქმეზე გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო, თუმცა აქამდე ის გასაიდუმლოებული იყო და მედიისთვის ცნობილი ამ დღეებში გახდა. პირველად პრესის ფურცლებზე ჯილარდინოს გვარი გამოჩნდა. გასულ წელს პაპარაცოებმა ჯილარდინოს მილანის ერთ-ერთ დისკოთეკაზე ქალთან ერთად ფოტოები გადაუღეს. კორონამ კარგად იცოდა, რომ "მილანის" ფორვარდს საცოლე ჰყავს და სხვა ქალთან ერთად გადაღებული ფოტოების გამოქვეყნებით პრობლემებს შეუქმნიდა. საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ კორონა ჯილარდინოს ტელეფონით დაუკავშირდა, ფოტოების გამოქვეყნებით დაემუქრა და 8 ათასი ევრო გადაახდევინა. ბომონდური ცხოვრების მოყვარულ ფრანჩესკო კოკოს კორონამ და მისმა ხალხმა ფული ორჯერ გამოსძალეს. იტალიელ მცველს მილანის ერთ-ერთ დისკოთეკაზე ფოტო ქალთან ერთად გადაუღეს, შემდეგ კი დაემუქრნენ, რომ კომპიუტერული მანიპულაციით იმ ქალს ფოტოებზე ტრანსსექსუალად წარმოაჩენდნენ. 6 ათასი ევროს სანაცვლოდ კოკომ ფოტოები უკან გამოისყიდა. ზაფხულში, იმ დროს, როცა კოკო "მანჩესტერ სიტიში" გადასვლისთვის ემზადებოდა, პაპარაცოებმა ახალი შანტაჟი მოუწყვეს – დისკოთეკაზე ფოტოები იმ მომენტში გადაუღეს, როცა წელსზევით შიშველი მამაკაცების გარემოცვაში იყო. კორონა "ინტერის" მცველს დაემუქრა, რომ ფოტოებს ინგლისურ გაზეთებში გამოქვეყნებდა და საფეხბურთო კარიერას დაუნგრევდა. ამჯერად იტალიელს 12 ათასი ევროს გადახდა მოუხდა. განსხვავებული იყო კორონას გეგმა ფრანჩესკო ტოტის დასაშანტაჟებლად. "რომას" კაპიტანს პაპარაცო იტალიელი ფოტომოდელის, ფლავია ვენტოს სკანდალური ინტერვიუს გამოქვეყნებით დაემუქრა, სადაც საუბარი ფრანჩესკოსა და ფლავიას ერთი ინტიმური საღამოს დეტალებზე იქნებოდა. დისკოთეკაზე ქალთან ერთად ფარულად გადაღებული ფოტოებით დააშინეს დავიდ ტრეზეგეც და 20 ათასი ევრო ააფცქვნეს. აი, ადრიანოზე კი შანტაჟმა არ გაჭრა. კორონამ ბრაზილიელისგან ერთი ცენტიც ვერ მიიღო. უფრო დაწვრილებით იმის შესახებ, თუ რა და როგორ იყო, ქვემოთ წაიკითხავთ.

გუშინ "გაძეტა დელო სპორტმა" აღნიშნული ფეხბურთელების მიერ გამომძიებლებისთვის მიცემული ჩვენებების ჩანაწერები გამოაქვეყნა. ფრანჩესკო ტოტის მაგივრად პროკურორს ჩვენება მისმა მეგობარმა და ფიზმომზადების მწვრთნელმა, ვიტო სკალამ მისცა.

### ჯილარდინო: კარიერის გამო შემეშინდა"

2006 წლის 30 ოქტომბერს მიცემულ ჩვენებაში ალბერტო ჯილარდინო ადასტურებს, რომ კორონამ შანტაჟით აყიდინა ფოტოები, სადაც ის ერთ გოგოსთან ერთად მილანური დისკოთეკის ავტოსადგომზეა აღბეჭდილი.

**ჯილარდინო**: დიახ, ფოტოები გადამიღეს ერთ გოგოსთან ერთად...

**გამომძიებელი**: პარმაში?

**ჯ**: არა, მილანში.

**გ**: ე.ი. მილანში

**ჯ**: დიახ, დაახლოებით ორი წლის წინათ

**გ**: ფოტოები გადაგიღეს...

**ჯ**: დიახ. დისკოთეკის გარეთ...

**გ**: ამ ფოტოებზე გოგონასთან ერთად იყავით?

**ჯ**: დიახ. ისეთი ფოტოები იყო, რომ... რომ გამოექვეყნებინათ, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენებდნენ. ჩემი საფეხბურთო კარიერის გამო მეშინოდა...

**გ**: შევაჯამოთ: მომდევნო დღეს კორონამ ტელეფონზე დაგირეკათ...

**ჯ**: დიახ.

**გ**: თქვენ ამ დროს გეძინათ, ამიტომ შეტყობინება ავტომოპასუხეზე დაგიტოვათ...

**ჯ**: არა, არა. თვითონ გადავურეკე... და მან ამიხსნა, რომ...

**გ**: მან, ვინ? კორონამ?

**ჯ**: დიახ. მითხრა, ეს რა ამბავი დაატრიალე, დიდ შარში გაეხვიეო... მითხრა, გუშინ ერთმა ფოტოგრაფმა დისკოთეკაზე ფოტოები გადაგიღოო

**გ**: და რა უნდა გაგეკეთებინათ იმისთვის, რომ ეს ფოტოები ჟურნალებში არ გამოქვეყნებულიყო?

**ჯ**: არაფერი, იმ ფოტოგრაფისთვის გარკვეული თანხა უნდა გადამეხადა.

**გ**: გახსოვთ, რა თანხა გადაუხადეთ?

**ჯ**: 10 ათასზე ნაკლები

**გ**: 6-7 ათასი?

**ჯ**: დაახლოებით.

### კოკო: მძიმე პერიოდი მქონდა და მეც გადავიხადე

გამომძიებლისთვის მიცემულ ამ ჩვენებაში ფრანჩესკო კოკო ადასტურებს, რომ კორონას 6 ათასი ევრო გადაუხადა. ფეხბურთელის თქმით, პაპარაცო დაემუქრა, რომ ქალს, რომელთან ერთადაც ფოტოზე იყო აღბეჭდილი, კომპიუტერული მანიპულაციით ტრანსსექსუალად წარმოაჩენდა.

**გამომძიებელი**: ალბათ, წინააღმდეგი არ იქნებით, რომ მომავალში ეს ფოტოები ჩვენ გადმოგვცეთ

**კოკო**: რა თქმა უნდა.

**გ**: რა პოზებში იყავით აღბეჭდილი?

**კ**: ძალიან ნორმალურში, ანუ... იმის თქმა მინდა, რომ კოცნაზე მეტი არაფერი ყოფილა...

**გ**: და მართლა გოგო იყო?

**კ**: დიახ, დიახ. გოგო იყო.

**გ**: გოგო იყო.

**კ**: ამიტომ იყო, ასე რომ გააკეთეს... შემიძლია, ის გოგო მოვიყვანო კიდეც, რომ დავამტკიცო...

**გ**: არა, არა, საჭირო არ არის...

**კ**: მე არც ტრანსსექსუალებთან დავდივარ და არც არავისთან, მაგრამ აუცილებელი ხომ არაა, რომ ყველა ქალი ულამაზესი იყოს... არ ვიცი, მაგრამ ეტყობა, სწორედ ამან უბიძგათ...

**გ**: ანუ? ბრძანეთ, აგვიხსენით, რას გულისხმობთ...

**კ**: არა, იმიტომ, რომ ერთი-ორი ისეთი ფოტო იყო, რომელზეც იძახდნენ: "შეხედე, ტრანსსექსუალს არ ჰგავს? ტრანსსექსუალი გეგონება". ზუსტად ასე იძახდნენ...

**გ**: თუ ვცდები, შემისწორეთ: თქვენ ამბობთ, რომ ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც ამ ბატონებმა ფოტოების შესყიდვაზე დაგიყოლიეს, იყო სწორედ ეს ფაქტი, ანუ...

**კ**: დიახ.

**გ**: ანუ, ამ ფოტოებს გამოაქვეყნებდნენ და კომენტარს გაუკეთებდნენ, რომ კოკო ტრანსსექსუალთან ერთად იყო...

**კ**: დიახ, ზუსტად ასეა...

**გ**: ასე გითხრეს?

**კ**: ზუსტად ასე. უხერხული სათქმელია, მაგრამ ვამბობ, რომ სწორედ ასე იყო. სწორედ ამ მიზეზის გამო შევისყიდე ფოტოები. ცხადია, ისე გადამიღეს, რომ მე არაფერი ვიცოდი. რაკი ცოტა



შანტაჟის მთავარი შემოქმედი ფრანჩესკო კორონა

მძიმე პერიოდი მქონდა და ყველა მხრიდან თავს მესხმოდნენ, გადავწყიტე, რომ ეს მეტისმეტი იქნებოდა და ამიტომ გამოქვეყნების საშუალება არ მომეცა. შემომთავაზეს, რომ ფოტოები გამომესყიდა, თუ გნებავთ, იმასაც გეტყვით, რომ...

**გ**: დიახ, დიახ, თქვენ ყველაფერი უნდა გვითხრათ.

**კ**: ფასი 6 ათასი ევრო იყო... ერთ დღეს მილანის ერთ ბარში შევხვდით, მათი ოფისის ახლოს, და... არაფერი, გადავუხადე ფული და ფოტოები წამოვიღე.

### ტრეზეგე: მითხრეს, საშინელი ფოტოებიაო...

დავიდ ტრეზეგეს დაკითხვა 2006 წლის ოქტომბერში შედგა. "იუვენტუსის" ფრანგი ფორვარდი ჰყვება, რომ ერთ-ერთ დისკოთეკაზე მეგობარ გოგოსთან ერთად ფოტოები გადაუღეს, რის შემდეგაც კორონა პირადად დაუკავშირდა და ფოტოების გამოსყიდვა შესთავაზა სკანდალის თავიდან ასაცილებლად.

**ტრეზეგე**: საღამო დისკოთეკაზე გავატარე და იქაურობა მეგობარ გოგოსთან ერთად დავტოვე...

**გამომძიებელი**: იმ გოგონას იცნობდით?

**ტ**: გოგონას? დიახ, დიახ. დიდი ხნის ნაცნობი იყო. მეორე დღეს ვიღაც ბატონი ტელეფონით დამიკავშირდა და მითხრა, რომ... დისკოთეკის გარეთ ერთი პაპარაცო იყო, რომელმაც ფოტოები გადამიღო...

**გ**: და ვინ იყო ის ბატონი, რომელმაც დაგირეკათ?

**ტ**: ...დამირეკა და მითხრა, რომ ფოტოები თან ჰქონდა და თუ რაღაც თანხის გადახდაზე არ დავეთანხმებოდი... მოკლედ, თუ ფულს არ მივცემდი, შეეძლო, რომ ეს ფოტოები სხვისთვის მიეყიდა...

**გ**: და კორონას ამასთან რა კავშირი აქვს?

**ტ**: ამ ზარის შედეგ უკვე კორონამ დამირეკა. მე მის შესახებ მანამდე არაფერი ვიცოდი. მითხრა, რომ შესაძლებლობა ჰქონდა... როგორც თვითონ მითხრა, ეს პაპარაცი, რომელმაც თავიდან დამირეკა, მასთან მივიდა და ფოტოები მიუტანა... რამდენადაც მივხვდი, კორონა ის პიროვნება იყო, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა ფოტოგრაფებს შორის.

**გ**: და კორონამ რა გითხრათ?

**ტ**: მითხრა, რომ ფოტოები ნახა და შეეძლო, რომ მისი საკუთრება გამხდარიყო, მაგრამ უნდოდა, რომ მე გამომესყიდა.

**გ**: ანუ, ფული უნდოდა.

**ტ**: დიახ, ფული უნდოდა.

**გ**: მაგრამ კორონამ ალბათ ასე გითხრათ: "იცოდე, ფოტოები ვნახე, საშინელი ფოტოებია, დიდ სკანდალში გაეხვევი...".

**ტ**: არა, არაფერი უთქვამს. თუმცა, რაკი დამირეკეს, ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ ფოტოები ცოტა...

**გ**: მაკომპრომეტირებელი იყო.

**ტ**: დიახ, ცოტა მაკომპრომეტირებელი...

**გ**: კორონამ გაჩვენათ ეს ფოტოები?

**ტ**: დიახ, მაჩვენა.

**გ**: მერე რა გითხრათ კორონამ? ჯობია, ეს ფოტოები იყიდო, თორემ პრობლემები გექნებაო?

**ტ**: დიახ...

**გ**: გასაგებია.

**ტ**: მე ასე ვუთხარი, მართლა ასე ვუთხარი: "თუ გინდა, ეგ ფოტოები, გქონდეს...". მიპასუხა: "არა, ჯობია, რომ იყიდო. იცი რატომ? იმიტომ, რომ აქ, იტალიაში დიდ სკანდალში გაგხვევენ". იმ დღეებში ჟურნალებს ადრიანოს ფოტოები ჰქონდათ გამოქვეყნებული. სიმართლე გითხრათ, ადრიანოს ცუდი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მაინც დიდი სკანდალი აგორდა. არ მინდოდა, მსგავს სიტუაციაში ვყოფილიყავი.

**გ**: და ადრიანოს თავისი სკანდალის შესახებ თქვენთვის არაფერი უთქვამს?

**ტ**: არა, ადრიანოს პირადად არც ვიცნობ.

**გ**: რამდენი გადაიხადეთ ფოტოების სანაცვლოდ?

**ტ**: დაახლოებით 20 ათასი ევრო, თუ სწორად მახსოვს.

### ადრიანო: მითხრეს, ამ ფოტოებით დიდ შარში გაეხვევიო

ადრიანო პროკურატურამ 2006 წლის 23 ოქტომბერს დაკითხა. "ინტერის" ფორვარდს ფოტოები რამდენიმე გოგოსთან ერთად ერთ-ერთ წვეულებაზე გადაუღეს, მერე კი კორონას გადასცეს. კორონამ ფულის აღება "ინტერისგანაც" სცადა და კლუბის ერთ-ერთ დირექტორს, სტეფანო ფილუკის დაუკავშირდა. მაგრამ შანტაჟის გეგმა ჩავარდა: ინტრიგანმა პაპარაცომ ფული ვერც ადრიანოსგან და ვერც "ინტერისგან" მიიღო.

**გამომძიებელი**: თავადაც აღნიშნეთ, რომ სატელეფონო ზარისას კორონამ მსგავსი შინაარსის საუბარი წამოიწყო: "ეს "ინტერისთვის ძალიან მძიმე მომენტია, ცოტა ხნის წინათ სატელეფონო საუბრების ჩანაწერები გამოაქვეყნეს (იგულისხმება კლუბის მხრიდან არბიტრ დე სანკტისზე და ვიერიზე თვალთვალის დაწესება). ადრიანოც კარგად ვერ თამაშობს".

**ადრიანო**: დიახ, ეს ყველაფერი ნამდვილად თქვა და ისიც თქვა, რომ ჩემს ადგილას რომ ყოფილიყო, ამ მომენტში ყველაფერს გააკეთებდა, ფოტოები რომ არ გამოქვეყნებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან დიდი პრობლემები მექნებოდა. ჩემს მეგობარს, მაუროს ელაპარაკა. მაურომ უთხრა: "თუ გინდათ, რომ ფოტოები რომელიმე ჟურნალს მიჰყიდოთ, მიჰყიდეთ, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიყიდით".

**გ**: გასაგებია, მაგრამ მაუროს რომ არ ეჩქარა, პირადად თქვენ იყიდიდით იმ ფოტოებს, ფულს გადაიხდიდით?

**ა**: არა.

**გ**: არა?

**ა**: არა, არა.

### ტოტის ის ქალი უნდა გაეჩერებინა

2006 წლის ნოემბერში მიცემულ ჩვენებაში ტოტის მწვრთნელი და მეგობარი ვიტო სკალა ამბობს, რომ კორონა დაუკავშირდა და შესთავაზა, რომ ფულის სანაცვლოდ აღარ გამოაქვეყნებდა ინტერვიუს ფლავია ვენტოსთან, სადაც ფოტომოდელი ქალი გულახდილად ლაპარაკობდა თავის სენტიმენტალურ ურთიერთობაზე "რომას" კაპიტანთან.

**სკალა**: ...საუბარია 2004/05 სეზონზე, რის შემდეგაც ფრანჩესკომ ცოლი შეირთო, კერძოდ, 2005 წლის ივნისში. იმ პერიოდში გუნდს ცუდი შედეგები ჰქონდა და ფრანჩესკო ძალიან იყო გაღიზიანებული. ერთხელაც გაზეთში ვკითხულობთ ცნობას, თითქოს ფლავია ვენტოსა და ფრანჩესკოს ერთმანეთთან რომანი ჰქონდათ. ფრანჩესკოს რომ ვკითხეთ, მან ასე გვიპასუხა: "ფლავია ვენტო ვიცი ვინც არის, მაგრამ არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. სადმე რესტორნაში ერთი-ორჯერ თუ მეყოლება ნანახი". მომდევნო დღეებში ერთ-ერთი ჟურნალი იგივე ინფორმაციას ავრცელებს. ფრანჩესკოს ისევ ვკითხეთ და მანაც გვიპასუხა, არა, ჩვენ შორის არასდროს არაფერი ყოფილაო. ამის შემდეგ ერთ-ერთ ვებ-საიტზე წავიკითხეთ, რომ ფლავია ვენტოს აგენტი ლელე მორა იყო. მაგრამ მერე ირკვევა, რომ ვენტოს მენეჯერი კორონა იყო. ამიტომ კორონას დავუკავშირდით...

**გამომძიებელი**: რატომ დაუკავშირდით კორონას და არა მორას?

**ს**: გვითხრეს, რომ ფლავია ვენტოს აგენტი კორონა იყო.

**გ**: გასაგებია. ვინ გითხრათ?

**ს**: შოუბიზნესის წარმომადგენლებმა. დავუკავშირდით კორონას, რომელმაც გვითხრა, რომ ფლავია ვენტოსგან ნებართვა ჰქონდა მიღებული ინტერვიუს გამოქვეყნებაზე. ამ ინტერვიუში ვენტო აღნიშნული ისტორიის შესახებ ჰყვებოდა. მალე გამოქვეყნდა კიდეც ეს ინტერვიუ, სადაც ვენტო ამბობს, რომ ერთ საღამოს რომის ერთ რესტორანში ფრანჩესკოს შეხვდა, მეგობრების ერთ წყვილთან ერთად ფლავიას სახლში წავიდნენ და, რომ ფრანჩესკომ... მოკლედ...

**გ**: ფრანჩესკომ რა?

**ს**: რომ აკოცა... და მოკლედ, მთელი სისულელეები. ამის მერე ვენტომ ყველა ტელეარხი მოიარა და ყველგან ამ ეპიზოდის შესახებ ჰყვებოდა... ამჯერად, პირადად დავურეკე კორონას და ვუთხარი: "იცოდე, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ამ ისტორიას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას". და რას მპასუხობს: "მისმინე, ფლავიას იმ ინტერვიუს მეორე ნაწილიც აქვს. შეუძლია, რომ ის ისტორია კიდევ გააგრძელოს. ფულს თუ გადაგვიხდი, აღარ გამოვაქვეყნებთ".

**გ**: გარკვეული პერიოდის შემდეგ კორონას ისევ ურეკავთ და ეუბნებით: "კმარა".

**ს**: დიახ.

**გ**: კორონა გპასუხობთ: "ჰო, კმარა, მაგრამ სხვა ინტერვიუც მაქვს".

**ს**: დიახ.

**გ**: მერე სიტუაციას გისხნით, ანუ გეუბნებათ: "ტოტი ოჯახის შესაქმნელად ემზადება, ეს ინტერვიუ თუ გამოქვეყნდა...".

**ს**: მე ვუპასუხე, მათ შორის არაფერი ყოფილა-თქო. ესეც არ იყოს, ილარი... ილარი ფეხმძიმედ იყო, ამიტომ ჩვენ ყველანი, პირველ რიგში, ილარის გამო ვწუხდით, არ უნდა დაგვეშვა, რომ მას სანერვიულო ჰქონოდა. ეს ყველაფერი კორონას ვუთხარი.

**გ**: რა გიპასუხათ?

**ს**: მითხრა, რომ როგორც მენეჯერი ვენტოს დაელაპარაკებოდა და ჩემს ნათქვამს გადასცემდა. მაგრამ ამასობაში ის ტელევიზიებში სიარულს აგრძელებდა და ყველა გადაცემაში ამ ისტორიას ჰყვებოდა. ისევ დავურეკეთ და ვუთხარით: "ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რაღაც უნდა ვიღონოთ, მით უმეტეს, რომ ყველაფერი ტყუილი და გამოგონილია. ფრანჩესკოს ცილს სწამებთ, შეურაცხყოფას აყენებთ". ამ დროს ფრანჩესკო "რომა"-"სიენის" შეხვედრაში გააძევეს და 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ... ხომ იცით, ფეხბურთელები ერთმანეთს აგინებენ ხოლმე, ვიღაცამ ფეხმძიმე მეუღლეზე რაღაც უთხრა და... ასე რომ, ამ სიტუაციის გამო განსაკუთრებულად გაღიზიანებული იყო. წერტილი უნდა დაგვესვა ყველაფრისთვის. ამიტომ ავდექით და კორონას ფული გადავიხადეთ იმისთვის, რომ ის ქალი ერთხელ და სამუდამოდ გაეჩუმებინა.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



ატლანტამ ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო

ქართველები NBA-ში

# გვჭირდება თუ არა ჯონსონი?

არაჩვეულებრივი პერიოდი აქვს "ატლანტა ჰოქსს", რომელსაც კვლავაც არ ჰყოლია **ჯო ჯონსონი**, მაგრამ ზედიზედ მეოთხე მოგებით ჯორჯიელებმა კიდევ უფრო გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

სტაბილურობა დაიბრუნა **ზაზა ფაჩულიამაც**, ვისაც ნაღდად წაადგა **ლორენცენ რაიტის** იძულებითი უქმობა. იქამდე, სანამ რაიტი ნატკენ ზურგს მოიშუშებს, საქართველოს ნაკრების ლიდერს ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს და თუ **მაიკ ვუდსონს** ჯერ კიდევ ახსოვს, რომ სეზონი შესაძლოა ფლეი ოფითაც გაგრძელდეს, მაშინ მან თუნდაც ლორენცენის ფეხზე დადგომის მერეც არ უნდა შეუმციროს სათამაშო დრო ჩვენს თანამემამულეს.

"ატლანტა" მასსავით კარგ ფორმაში მყოფ "ფილადელფიას" შეხვდა. "ჰოქსის" მეტოქეს ამ მატჩამდე ზედიზედ 7 გამარჯვება მოეპოვებინა და მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელი "ჰოქსი" იყო, გამარჯვებულის გამოცნობა რთული გახლდათ. შეხვედრა ლიგის ორი ამომავალი ვარსკვლავის, "ატლანტის" **ჯოშ სმიტისა** და "ფილადელფიის" **ანდრე იგუოდალას** პრინციპულ დაპირისპირებადაც უნდა ქცეულიყო.

უკეთ სმიტმა ითამაშა, რომელიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში არაჩვეულებრივია. ჯოში ამჯერადაც ბრწყინავდა და 17 მოხსნით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა. 20-დან 11 ტყორცნის ზუსტად შესრულებით, სმიტმა მასპინძელთა უპირატესობა განაპირობა, დანარჩენებმა კი მას გადაღლილი მეტოქის ნაქცევაში შეუწყვეს ხელი.

ბრწყინვალე პროცენტული მაჩვენებლით ისროლა ბურთი ფაჩულიამ. ზაზამ თამაშიდან-8-დან 6, საჯარიმოს ხაზიდან კი სამივე ტყორცნა გამოიყენა და 26 წუთში ორმაგი დუბლის გამოჭედვაც მოასწრო. "ფილადელფიასთან" ნაჩვენები შედეგით ფაჩულიას საშუალო სტატისტიკური მონაგარი დამრგვალდა და "ბოსტონთან" შეხვედრას ზაზა ზუსტად 12 ქულითა და 7 მოხსნით შეხვდება.

კვლავ არ იყო **ჯო ჯონსონი**, თუმცა მის გარეშე დარჩენილ გუნდს თითქოსდა, ეს აკლდაო. დანარჩენებმა ამოისუნთქეს, ვუდსონმა სათამაშო დრო რაციონალურად გადაანაწილა და ამით პირველ რიგში, გუნდი იგებს. შემდეგი, "ბოსტონთან" შეხვედრის მოგებაც რეალურია, ფაჩულიას კი ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან ძლიერი თანაამპლუელის, **ელ ჯეფერსონის** წინააღმდეგ თამაში მოუწევს. ბოლო ათ მატჩში ჯეფერსონი საშუალოდ 20 ქულასა და 12.3 მოხსნას უყრის თავს.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ატლანტა-ფილადელფია 104:92**

31:22, 27:21, 28:21, 18:28

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (37 წთ. 26 ქ. 17 მ. 5 პ. 4 ჩ. 3 დ), **ზაზა ფაჩულია (26 წუთი, 15 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება, 2 შეცდომა, 3 ფოლი),** ჩილდრესი (41 წთ. 15 ქ. 4 მ. 3 პ. 1 ჩ), მერვინ უილიამსი (37 წთ. 15 ქ. 5 მ. 2 პ), ე. ჯონსონი (29 წთ. 10 ქ. 8 პ. 1 ჩ) - ლიუ (19 წთ. 10 ქ. 2 პ. 1 მ), ს. სტაუდმაიერი (19 წთ. 9 ქ), შელდენ უილიამსი (13 წთ. 3 ქ. 8 მ), ს. ჯოუნსი (14 წთ. 2 ქ. 2 მ. 1 პ), აივი, ბატისტა.

**ფილადელფია:** იგუოდალა (32 წთ. 18 ქ. 6 მ. 4 ჩ. 3 პ), ა. მილერი (27 წთ. 10 ქ. 4 პ. 3 მ), დალამბერი (26 წთ. 7 ქ. 6 მ. 3 დ. 2 პ), ს. ჰანტერი (18 წთ. 5 ქ. 2 მ. 1 დ), უ. გრინი (22 წთ. 2 ქ) - კარნი (17 წთ. 15 ქ. 3 მ. 2 ჩ. 2 დ), ლ. უილიამსი (20 წთ. 13 ქ. 4 პ. 2 მ. 1 ჩ), კორვერი (24 წთ. 13 ქ. 1 მ. 1 პ), ოლი (11 წთ. 6 ქ. 2 მ), ბ. ჯოუნსი (7 წთ. 2 ქ. 2 მ. 1 პ. 1 ჩ), ჯო სმიტი (28 წთ. უქულოდ, 6 მ. 2 ჩ. 1 პ), ამუნდსონი.

| | |
|---|---|
| **I მეოთხედი** | |
| 11:41 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 11:23 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:45 | პასი: 1 ე. ჯონსონი, 2 ქ. 2:2) |
| 08:18 | მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2) |
| 06:29 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (17:8) |
| 06:29 | ფაჩულიაზე უ. გრინი დაჯარიმდა |
| 06:29 | საჯარიმო: 3 ქ (18:8) |
| 06:12 | მოხსნა: 3 (შეტ: 0, დაც: 3) |
| 05:52 | ფოლი: 1 |
| 04:18 | ორქულიანი ტყორცნა: 5 ქ (22:10) |
| 02:51 | მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3) |
| 01:57 | მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3) |
| 01:55 | შეცდომა: 1 (იგუოდალამ ჩაუჭრა) |
| 01:49 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |
| **II მეოთხედი** | |
| 07:56 | ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა |
| 07:54 | მოხსნა: 6 (შეტ: 2, დაც: 4) |
| 06:51 | ორქულიანი ტყორცნა: 7 ქ (43:29) |
| 04:50 | ფოლი: 2 (იგუოდალაზე დაჯარიმდა) |
| 04:00 | ორქულიანი ტყორცნა: 9 ქ (52:37) |
| 03:26 | ფოლი: 3 (შეტევაში) |
| 03:26 | შეცდომა: 2 (ფოლი შეტევაში) |
| 03:26 | ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა |
| **III მეოთხედი** | |
| 12:00 | ფაჩულიამ ს. ჯოუნსი შეცვალა |
| 11:39 | ორქულიანი: ს. ჰანტერმა დაუფარა |
| 10:10 | მოხსნა: 7 (შეტ: 2, დაც: 5) |
| 09:50 | ორქულიანი ტყორცნა: 11 ქ (62:47) |
| 08:07 | პასი: 2 (ჩილდრესი, 2 ქ. 68:50) |
| 07:48 | მოხსნა: 8 (შეტ: 2, დაც: 6) |
| 07:34 | ფაჩულიაზე დალამბერი დაჯარიმდა |
| 07:34 | საჯარიმოები: 2/2 (13 ქ. 70:50) |
| 06:38 | მოხსნა: 9 (შეტ: 2, დაც: 7) |
| 05:56 | ორქულიანი ტყორცნა: 15 ქ (74:50) |
| 05:17 | მოხსნა: 10 (შეტ: 3, დაც: 7) |
| 02:18 | ფაჩულია ჩილდრესმა შეცვალა |
| **IV მეოთხედი** | |
| 02:41 | ფაჩულიამ ს. სტაუდმაიერი შეცვალა |
| 01:32 | დაფარება: 1 (ამუნდსონს დაუფარა) |
| 00:56 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |

**ზაზა ფაჩულია:** 62 მატჩი (37 სასტარტოში), 12.0 (741) ქულა, 7.0 (432) მოხსნა, 1.4 (89) პასი, 1.0 (59) ჩაჭრა, 0.5 (32) დაფარება, 2.15 (133) შეცდომა, 3.7 (229) ფოლი; **ორმაგი დუბლები:** 11 (46-ე ადგილი ლიგაში); **შეტევაში მოხსნები:** 177 (16); **შეტევაში საშუალო მოხსნები:** 2.9 (15); **ზუსტი საჯარიმოები:** 261 (28)

**ატლანტა ჰოქსი:** 65 მატჩი, 26 მოგება, 39 წაგება, IV ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, XI ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში;

**მომდევნო მატჩი:** ბოსტონი-ატლანტა (14 მარტი).

ბალტიის თასი

# მეოთხე წაგება

ბალტიის ლიგაზე 9 ტურის შემდეგ II ჯგუფს უდანაკარგოდ ლიდერობდა **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკი". სწორედ მაშინ ამ ტურნირის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა გამოკითხვა: "როკი" ჯგუფურ ტურნირს წაუგებლად ჩაამთავრებს, თუ არაო...

მას მერე ბალტიელთა ლიგაში ოთხი ტური გაიმართა და "ტარტუმ" ოთხივე მატჩი წააგო. ბოლო შეხვედრაში ცინცაძის მეტოქე იყო ესტონური "კალევი", რომელთანაც "როკს" ამ სეზონში სამი მატჩი ჰქონდა მოგებული. პირველი ტაიმის 25:22 მოგების შემდეგ, როგორც ჩანს, ტარტუელები დამშვიდნენ - "კალევს" მეოთხედაც დავამარცხებთო, მაგრამ მეორე ათწუთეულში მეტოქემ მაღალ დონეზე ითამაშა, 28:19 მოიგო და როგორც შემდეგ გაირკვა, გამარჯვებულის ბედიც გადაწყვიტა. მეორე ტაიმში როკერებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც 71:77 დამარცხდნენ.

გიორგი ცინცაძემ მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, მოედანზე 20 წუთი დაჰყო, 3-3 ორქულიანი და საჯარიმო ჩააგდო და 9 ქულა ჩაიწერა, რასაც 3 მოხსნა და 2-2 პასი-ჩაჭრა მიამატა. მარგი ქმედების კოეფიციენტის (9) მიხედვით გიორგი თანაგუნდელთა შორის მესამე იყო, მხოლოდ **ვიისკსა** (16 ქულა) და **ტეინს** (11 ქულა) ჩამორჩა.

ლიტვის "ნეპტუნასის" მწვრთნელი **რობერტას კუნციაიტისი სერგო ათუაშვილს** მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში ათამაშებს - ზედიზედ მეორე ტურია, ქართველი მოედანზე 7 წუთს ატარებს და კარგადაც გამოიყურება. სერგომ დროის მცირე მონაკვეთში 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, ზედ ორი საჯარიმო მიაყოლა და 6 ქულას მოუყარა თავი. "დესერტი" მწირი გამოდგა - 1 მოხსნა. ათუაშვილის "ნეპტუნასმა" საკუთარ კედლებში თანამემამულე "ატლეტასი" იოლად დაამარცხა - 86:64.

კედაინაიშიც ლიტვური დერბი შედგა: **ტატო ვაშაკიძის** "ნევეჟისმა" "საკალის" სძლია - 89:80. ქართველმა გამთამაშებელმა სერგოზე ნაკლები, 6 წუთი ითამაშა, თუმცა თავი არც მას შეურცხვენია - 2-2 ქულა-პასი და 1 ჩაჭრა გააკეთა. შეგახსენებთ, რომ ფლეი ოფში ორი საუკეთესო გადის.

ბალტიის თასი. II ჯგუფი. 13 ტურის შემდეგ. 1. **როკი (ესტონეთი)-9 მოგება,** 2. ლიეპაია (ლატვია)-9 / 3. კალევი (ესტონეთი)-8, **4. ნევეჟისი (ლიტვა)-8, 5. ნეპტუნასი (ლიტვა)-5, 6.** საკალაი (ლიტვა)-4, 7. პანევეჟისი (ლიტვა)-3, 8. ატლეტასი (ლიტვა)-2.



გიორგი ცინცაძე (მარჯვნივ)

# 24, 14 და მიწვევა მონტეპასკისგან

საქართველოს კადეტთა ნაკრების წევრი **ნიკა მეტრეველი** ახლახან დასრულებულ "კოპა კარნავალეზე" ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ დაასახელეს და თან საუკეთესო მძიმე ფორვარდის პრიზი გადასცეს.

ლივორნოში გამართულ 18-წლამდელთა ტურნირში ნიკას "რიმინი კრაბსმა" ოთხი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი წააგო - სიენას "მონტეპასკისთან" 59:66. ამ შეხვედრაში ქართველი ფორვარდი თანაგუნდელებს 11 ქულით შეეწია. რიმინელებმა ჯგუფში დანარჩენი ორი შეხვედრა უკეთესად ჩაატარეს, "რომას" 71:63 აჯობეს, ხოლო "ლივორნოს" - 78:72. რომაელებთან მეტრეველმა 10 ქულას მოუყარა თავი, ხოლო ლივორნოელებთან - 21. სიენელებთან მარცხი საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ "რიმინი კრაბსი" ფინალს მიღმა დარჩენილიყო. ფინალიცა და ტურნირიც "მონტეპასკიმ" მოიგო, ხოლო ბრინჯაოს მედლები ნიკას თანაგუნდელებმა "ბოლონიის" ვირტუსს არ დაუთმეს - 75:60 დაამარცხეს. ეს მეტრეველისთვის ტურნირის საუკეთესო მატჩი გამოდგა - 24 ქულას 14 მოხსნა შეუწყვილა.

ქართველის კარგი თამაში მხედველობიდან არ გამორჩენიათ სიენელებს, რომლებმაც ნიკა "მონტეპასკიში" მიიპატიჟეს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ მეტრეველი გაისად სიენური კლუბის ახალგაზრდებს შეუერთდება. თუმცა, ისიც შევიტყვეთ, რომ ნიკა "მონტეპასკის" ამ სეზონშიც დაეხმარება - ევროლიგის გუნდების მონაწილეობით აპრილში გასამართ საერთაშორისო შეჯიბრებაში.

ტურნირის დასრულებისთანავე "რიმინის" დაუბრუნდება და სეზონს იქ ჩაამთავრებს. შემდეგ კი საქართველოს კადეტთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი ელის, რომელიც ივლისის ბოლოს საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე გაიმართება.

## ხელბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი. U-21

# სამი მატჩი დანიაში

ევროპის ხელბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა 21-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის კალენდარი. როგორც იცით, ევროპული ზონის 8 შესარჩევი ქვეჯგუფიდან, ერთ-ერთის მასპინძლობა თბილისს დაეკისრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო ესოდენ დიდ პატივზე უარის თქმა, მოგვიხდა. მასპინძლობის უფლება დანიელებს გადაულოცეს.

საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე ჯგუფში, დანიელებსა და ქართველებთან ერთად, იმყოფებიან უკრაინელები და ლიტველები. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართება 13-26 აგვისტოს, მაკედონიაში, სადაც ჩვენი ჯგუფის საუკეთესო ორი გუნდი, ყოველგვარი ფლეი ოფის გარეშე მოხვდება.

სხვათა შორის, ანალოგიურ ტურნირზე, ჩვენმა 21-წლამდელებმა ბოლოს 2005 წელს, ითამაშეს პოლონეთში. მაშინ, საქართველოს ნაკრებმა სამივე მატჩი წააგო – პოლონეთთან (18:27), საფრანგეთთან (22:33) და რუსეთთან (29:36), მსოფლიო ჩემპიონატზე კი გავიდნენ მასპინძლები და ფრანგები.

მართალია, ახლა ასეთ "სიკვდილის ჯგუფში" აღარ ვიქნებით, მაგრამ ჩვენს შანსებს ის ფაქტი ამცირებს, რომ მასპინძლობაზე უარი ვთქვით. გასვლით შეხვედრებში წარუმატებლობა კი კარგა ხანია, ჩვენი ხელბურთის აქილევსის ქუსლია. არადა, თბილისში რომ გვეთამაშა, შესაძლოა, ქართული ხელბურთის ისტორიაში პირველად, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის შანსი გაგვჩენოდა. მით უმეტეს, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში ეროვნული გუნდის რამდენიმე ხელბურთელი თამაშობს.

გაგაცნობთ ჩვენი ჯგუფის განრიგს.

**6 აპრილი. კოლდინგი**
საქართველო-ლიტვა
დანია-უკრაინა

**7 აპრილი. ვოიენსი**
დანია-საქართველო
უკრაინა-ლიტვა

**8 აპრილი. ვეილი**
საქართველო-უკრაინა
დანია-ლიტვა

**კობა ხატისაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

## საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები

# ცეცხლი დაინთო!



გია გიორგაძე ჯობავას დაუზავდა, მერაბ გაგუნაშვილმა არუთინიანს მოუგო

ცეცხლის დანთებით კაცობრიობის ყველაზე დიდი სპორტული თამაშები - ოლიმპიადები, იწყება, თუმცა ამ ტერმინს ხშირად იმ შემთხვევაშიც ვხმარობთ, როცა სპორტულ სარბიელზე ნამდვილი ბრძოლები გაიმართება. მოჭადრაკე ქალები გუშინ კაცებმა ჩაანაცვლეს და აქაც თავიდანვე ვიცოდით, რომ უკომპრომისო შეხვედრების მხილველნი გავხდებოდით. ჰოდა, ჩატარდა პირველი ტური და დამწვრის სუნიც დადგა - ნაღდად დაინთო საჭადრაკო კოცონი!

თეთრებით მოთამაშე **ბაადურ ჯობავამ გია გიორგაძეს** ვერ მოუგო - ყაიმი. გიორგაძე ძალიან მაღალი კლასის მოჭადრაკეა, მაგრამ წლებია, აქტიურად ჭადრაკს აღარ თამაშობს და ამიტომ ფავორიტად ამ წყვილში ჯობავა ითვლებოდა. ბაადურს ეს სტატუსი არაფრად წაადგა და მხოლოდ ყაიმს გამორჩა, თან ოდნავ უარეს პოზიციაში...

თუ გიორგაძის ყაიმი მაინც მოსალოდნელი იყო, ყაჭეიშვილის დაზავება 18 წლის **შოთა აზალაძესთან** მოულოდნელობად უნდა ჩაითვალოს. თუმცა უკვე ბევრჯერ ნათქვამის გამეორება გვიწევს - ახალგაზრდებიც საკმაოდ მაღალ დონეზე თამაშობენ და დროა, მათ წარმატებებს გაფართოებული თვალებით მზერა მოვაშოროთ.

მართალია მეორე 18 წლის მოჭადრაკემ, **გაიოზ ნიგალიძემ** შავებით მარცხი განიცადა **ლევან აროშიძესთან**, მაგრამ მჯერა, მომდევნო ტურებში ისიც გამოიღებს ხელს.

**ლევან ფანცულაიას** კი მცირე კრიზისი აქვს - ახლახან ინდოეთიდან დაბრუნდა, სადაც საერთაშორისო ტურნირში ითამაშა. აღმოჩნდა, რომ ლევანი კალკუტაში მოწამლულა, რის გამოც ტურნირს გამოეთიშა. როგორც ჩანს, ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ არის და ამ მიზეზით ვერ შეძლო სრული კონცენტრაცია - **მიხეილ მჭედლიშვილთან** დამარცხდა თეთრებით. აქ გასაკვირი არაფერია - მჭედლიშვილი ძლიერი დიდოსტატია და, როგორც წესი, საქართველოს ჩემპიონატებს ძალიან კარგად თამაშობს.

რამდენიმე დღის წინ საფრანგეთიდან დაბრუნდნენ **დავით არუთინიანი** და **მერაბ გაგუნაშვილი**. მათაც საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა, სადაც არუთინიანმა მეოთხე ადგილი დაიკავა 9-დან 7 ქულით, გაგუნაშვილი კი 6 ქულით ცხრილის შუაში დარჩა. ტურნირში ძალიან მრავლად იყვნენ ძლიერი დიდოსტატები, ამიტომ არუთინიანის წარმატება მნიშვნელოვანია. საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურში არუთინიანი გაგუნაშვილს დაუპირისპირდა თეთრებით და ალბათ წარმატებაზეც ფიქრობდა, მაგრამ მერაბმა ყველა იმედი გადაუწურა და დაამარცხა აღმავლობის გზაზე მდგომი დავითი.

**პარმენ გელაზონია** თეთრებით ბევრს ეცადა **თამაზ გელაშვილისთვის** პრობლემები შეექმნა, მაგრამ არ გამოუვიდა - გამოცდილმა დიდოსტატმა ზუსტად აულო ალღო თეთრების შეტევას, ჯერ გააუვნებლა, შემდეგ კონტრშეტევაზე გადავიდა და გაიმარჯვა.

**პირველი ტური:** ლევან ფანცულაია (2612) - მიხეილ მჭედლიშვილი (2583) 0:1; ბაადურ ჯობავა (2650) - გია გიორგაძე (2610) 0.5:0.5; ლევან აროშიძე (2531) - გაიოზ ნიგალიძე (2224) 1:0; პარმენ გელაზონია (2268) - თამაზ გელაშვილი (2612) 0:1; შოთა აზალაძე (2332) - გიორგი ყაჭეიშვილი (2587) 0.5:0.5; დავით არუთინიანი (2552) - მერაბ გაგუნაშვილი (2611) 0:1

**მეორე ტურში:** ფანცულაია-აზალაძე, მჭედლიშვილი-გაგუნაშვილი, ყაჭეიშვილი-აროშიძე, ნიგალიძე-გელაზონია, გელაშვილი-ჯობავა, გიორგაძე-არუთინიანი.

**ზვიად შათირიშვილი**

სუმო

# პირველი წაგება

გუშინ ოსაკას ბაშოზე შვიდი დაუმარცხებელი რიკიშიდან წაგების სიმწარე ხუთმა იგემა. სამწუხაროდ, მათ შორისაა აღმოსავლეთის მეშვიდე მაეგაშირა **კოკაი (ლევან ცაგურია)**. ქართველმა მერვე მაეგაშირა **ტამანოშიმასთან** წააგო. კოკაიმ დაჯახებისას აშკარად დააგვიანა და ტამანოშიმამ უსწრაფესად გაიყვანა მეტოქე დოჰიოდან. ქართველს ბაშოზე 3-1 ბალანსი აქვს. დღეს ლევანის მეტოქე მეხუთე მაეგაშირა **ჰომაშოა**. ბაშოს ოძეკი **ტოჩიაძუმა** და მე-11 მაეგაშირა **კაკურიუ** ლიდერობენ 4-4 გამარჯვებით. არადა ტოჩიაძუმა ტურნირის დაწყების წინ აცხადებდა, რომ თუ პირველ ხუთ ბრძოლაში ორ გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა, სპორტიდან წავიდოდა.

მაკუშიტას დივიზიონში კვლავ დამარცხდა რანგით 35-ე ნომერი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**, ჩვენმა თანამემამულემ ამჯერად **იამასაკისთან** დათმო. გაგამარუს 0-2 ბალანსი აქვს. შეგახსენებთ, რომ იანვრის ბაშო გაგამარუმ უარყოფითი ბალანსით დაასრულა. ახლა მას მხოლოდ ერთი წაგების უფლება დარჩა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჰარუ ბაშო**

**მარტის სუპერტურნირი**

ოსაკა, 11-25 მარტი

IV დღე: კოკაი - ტამანოშიმა 0:1 (იორიკირი, 0,2 წ.), ასაშორიუ - ტოიონოშიმა 1:0, კოტოშოგიკუ - კაიო 1:0, ტოჩიაძუმა - კოტომიცუკი 1:0, ჩიოტაიკაი - კისენოსატო 1:0, ჰაკუჰო - ამა 1:0, კიოკუტენჰო - კოტოოშუ 1:0, ასასეკირიუ - ტოკიტენკუ 1:0, მიაბიამა - კასუგაო 1:0, ჰომაშო - ტაკეკაძე 1:0, ფუტენო - ტამაკასუგა 1:0, ამინიშიკი - კაკიძოე 1:0, ტაკამისაკარი - როჰო 1:0, ტოჩინონადა - დეჯიმა 1:0, ივაკიამა - ტოკიცუუმი 1:0, კაკურიუ - კასუგანიშიკი 1:0, ტოსანოუმი - იოშიკაძე 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 4-0: ტოჩიაძუმა (ოძეკი), კაკურიუ (მ 11); 3-1: კოტომიცუკი (სეკივაკე), ჩიოტაიკაი (ოძეკი), ჰაკუჰო (ოძეკი), ტოიონოშიმა (მ 1), კოკაი (მ 7), ტამანოშიმა (მ 8), დეჯიმა (მ 8), ტოჩინონადა (მ 9), ტოსანოუმი (მ 14), ტოჩიოძანი (მ 14), შიმოტორი (მ 15)

V დღე: კოკაი - ჰომაშო, ასაშორიუ - ამა, ტოჩიაძუმა - მიაბიამა, ჩიოტაიკაი - კოტოშოგიკუ, ჰაკუჰო - ასასეკირიუ, კოტოოშუ - ფუტენო, კაიო - ტოიონოშიმა, კოტომიცუკი - ტოკიტენკუ, კისენოსატო - ტაკეკაძე, კასუგაო - კიოკუტენჰო, ტამაკასუგა - როჰო, კაკურიუ - ტამანოშიმა.



ჩოგბურთი

# ტატიშვილი მაიამიში მესამედაც დაპატიჟეს



17 წლის **ანა ტატიშვილი** მაიამიში "ნასდაქ ოუფენში" მიიღებს მონაწილეობას. გუშინ ტურნირის ორგანიზატორებმა ქართველს "უაილდ ქარდი" უბოძეს. მაიამის ტურნირი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია WTA-ს ასპარეზზე, ქალთა შეჯიბრების საპრიზო ფონდი 3.45 მილიონი დოლარია. მოგეხსენებათ, ანა მაიამისთან ახლოს, ბოკა-რატონის საჩოგბურთო აკადემიაში ვარჯიშობს, რომლის ხელმძღვანელიც **ქრის ევერტია**. უკვე მესამე წელია, ნიჭიერი ქართველი "ნასდაქის" "უაილდ ქარდს" იღებს. ანა ამჟამად მსოფლიოს 269-ე ჩოგანია. პირველად მან 15 წლის ასაკში იასპარეზა მაიამიში, მაშინ მან პირველ წრეში ესპანელ **არანჩა პარა-სანტონიასთან** წააგო სამ სეტში, თუმცა მეორე სეტის 6:0 მოგების შემდეგ სპეციალისტები აალაპარაკა. შარშან ტატიშვილმა უკვე სენსაცია გამოაცხო, როცა პირველ წრეში ინდოელი **სანია მირზა** დაამარცხა - 7:6, 1:6, 7:6. შემდეგ ანა მეორე წრეში **ანა რუს ელენა დემენტიევასთან** დამარცხდა - 3:6, 1:6. "ნასდაქ სონი ერიქსონ ოუფენი" "გრენდონ პარკში" სტარტს 21 მარტს აიღებს.

# ძირითადში ვეღარ იმარჯვა

17 წლის **მანანა შაფაქიძე** ისრაელში რამათ-ჰაშარონის ტურნირში (10 ათასი) თამაშობდა. ქართველმა ძირითად ბადეში გასვლა სამი საკვალიფიკაციო მატჩის მოგებით შეძლო. მთავარი ტურნირის პირველ წრეში მანანა შაფაქიძე მე-7 ნომრად განთესილ თურქ **კაგლა ბუიუქაქჩაის** (604) შეხვდა და ორ სეტში დამარცხდა - 3:6, 3:6. შაფაქიძე მსოფლიოს 880-ე ჩოგანია. შაფაქიძისა და ამერიკელი **მარინ ნიზრის** წყვილი ძირითადი ტურნირის პირველივე ეტაპზე დამარცხდა წყვილთა თანრიგში. ჩვენთვის მოულოდნელად, ეგვიპტის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი), 16 წლის **მარიამ კუპრეიშვილი** აღმოვაჩინეთ, რომელიც ტურნირის საკვალიფიკაციოში "უაილდ ქარდით" მიიწვიეს. კუპრეიშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი რუს **ნადეჟდა სამოილოსთან** დამარცხდა - 1:6, 1:6. ეს მარიამის სადებიუტო მატჩი არ იყო დიდებში, ნოემბერში მან ქაიროს სამი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ითამაშა.

16 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** კი ბრაზილიაში პირველი კატეგორიის ახალგაზრდულ ტურნირ "ბანან ბოულზე" თამაშობს. მსოფლიოს ახალგაზრდულ კლასიფიკაციაში ლაზარემ ოდნავ დათმო პოზიციები და ახლა 49-ე ჩოგანია. ბრაზილიაში ის მე-15 ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში ქართველმა ვენესუელელ **ლუის დავიდ მარტინესს** (104) მოუგო - 6:4, 6:2. მეორე წრეში ლაზარე რუს **ალექსეი გრიგორიევს** (131) შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა

## მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი

# ორი რუსი, უკრაინელი და საფრანგეთი

გუშინ იზმირში დაიწყო მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატი. მას ძალიან ბევრი წამყვანი ნაკრები თუ ცალკეული მშვილდოსანი აკლია - ეს შეჯიბრება არაოლიმპიურ დისციპლინაში ტარდება და ამიტომ არიდებენ თავს. თურქეთში საერთოდ არ ჩასულან ისეთი გამორჩეული გუნდები, როგორიცაა სამხრეთი კორეა და ჩინეთი. იზმირში საქართველოდან მხოლოდ ქალები ასპარეზობენ - უფროსებშიც და ახალგაზრდებშიც, თუმცა ლიდერი ქალთა ნაკრებსაც აკლია - **ქრისტინე ესებუა** არ გამოდის.

ქალთა ტურნირში 43 მონაწილეა და საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ ჩვენებურთაგან საუკეთესო **ხათუნა ნარიმანიძეა** - 578 ქულით მე-11. 566 ქულით 21-ეა **ასმათ დიასამიძე**, ხოლო **ოლგა ლადიგინა** 553-ით - 36-ეზე გავიდა და ფლეი ოფში ბოლო ადგილით მოხვდა. ფლეი ოფში იგი საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულ რუს **მიროსლავა დაგბაევას** შეხვდება, ნარიმანიძე ასევე რუს **ნადეჟდა ბადმასირენოვას** გაეჯიბრება, დიასამიძე - უკრაინელ **ვიქტორია კოვალს**. ამათგან პირველი ეტაპის დაძლევა ლადიგინას თუ გაუჭირდება, სხვებს კი შემდეგ წრეში გასვლა ნამდვილად ძალუძთ. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ფლეი ოფები დღეს გაიმართება, მაგრამ გამოვლინდებიან მხოლოდ მედლებისთვის მებრძოლი წყვილები, დასკვნითი შეჯიბრება კი ბოლო დღეს - 17 მარტსაა დანიშნული.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენები 1697 ქულით მერვეზე გავიდნენ და ფლეი ოფში 1718-ქულიან ფრანგებს ხვდებიან. ფრანგთაგან საუკეთესო მათი 19 წლის ლიდერი, ზამთრის მსოფლიო პირველობის 2003 წლის ჩემპიონი **ბერანჟერ შიუა**, რომელმაც საკვალიფიკაციოში 584 ქულა დააგროვა. გუნდური პირველობა დღესვე დასრულდება.

გოგოებში ნარიმანიძის მოსწავლემ - **ნათია ცინცაძემ** იასპარეზა. ორი სერიის შემდეგ იგი თითქოს ურიგოდ არ მიდიოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბოლო, მეორმოცე ადგილზე გავიდა 496 ქულით. ამდენივე ქულა კიდევ ორმა მონაწილემ დააგროვა, თუმცა ეს სამეული საგრძნობლად ჩამორჩა დანარჩენებს. ისიც ალსანიშნავია, რომ ცინცაძე პირველად ისროდა უცხოეთში.

**ირაკლი თავაძე**

თარიღი



15 მარტი, 1948 - დაიბადა ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭ დაობა), 1972 წლის მიუნხენის და 1976 წლის მონრეალის ოლიმპ რი თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი: ოთხჯ თავისუფალ ჭიდაობაში (1971, 73, 74, 75), ერთხელ - სამბოში (19 მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1978), მსოფლიოს სის მფლობელი (1973), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1974, 76, სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი (1971), სსრკ ორგზის ჩემ ონი (1973, 74), ორგზის მეორე (1969, 80) და მესამე (1977) პრიზიო ერთადერთი მოჭიდავე მსოფლიოში, რომელმაც ჩემპიონობა მ პოვა სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში (ოლიმპიური და მსო ლიო ჩემპიონი იყო 82 და 90 კგ, ევროპის ჩემპიონი - 100 კგ წონა სსრკ წლის საუკეთესო სპორტსმენი (1973). სამჯერ დასახელდა ქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად (1971, 73, 74), საქარ ველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ბრინჯაოს პრიზ რი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების, ვახტა გორგასლის II ხარისხის, სოკ-ისა და ფილა-ს ორდენების კავალე

15 მარტი, 1903 - დაიბადა ნერსეს აკოფოვი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მწვრთნ ლი. მისი აღზრდილები არიან ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი რომ რურუა და ოლიმპიადის პრიზიორი რომან ძნელაძე. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.

15 მარტი, 1976 - დაიბადა მირიან გიორგაძე, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (120 კგ.). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2005), მსოფლიოს თასის მფლობელი პირად და გუნდურ შეჯიბრებებში (2004). 2000 წლის სიდნეის (XX ადგილი) და 2004 წლის ათენის (XV ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებსა (1995) და ჭაბუკებში (1992). ბულგარეთის, ირანისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. 1996 წელს გამოდიოდა რუსეთის სახელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მძლეოსნობა**

# ნუ მოიძულებთ დედოფალს!



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გარეთ თბილოდა, მზე ანათებდა, დიმიტრი იოსელიანის სახელობის მძლეოსნობის მანეჟში კი, სადაც საქართველოს მოსწავლეთა ზამთრის ღია ჩემპიონატი ჩატარდა, მძლეოსნობაში 1990-94 წლებში დაბადებულთა შორის, საკმაოდ ციოდა, ბნელოდა და მანეჟის სარბენი ბილიკებიც ალაგ-ალაგ დაზიანებული იყო. მიუხედავად ამისა, შეჯიბრების მომწყობებმა - განათლების სამინისტროს რობერტ შავლაყაძის სახელობის მძლეოსნობის ოლიმპიური რეზერვების სკოლამ (დირექტორი **რეზო ოდიშარია**) და მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი **ყარამან საბანაშვილი**) ყველა პირობა შეუქმნა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თავმოყრილ 350-მდე სპორტსმენს.

ვიდრე შედეგებს გაგაცნობდეთ, ვიტყვით, რომ რეგიონებიდან ჩამოსული სპეციალისტები წუხან იმ უყურადღებობაზე, რასაც "სპორტის დედოფლისადმი" ადგილებზე იჩენენ.

ზემო სვანეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **რეზო ბუკიამ** აღნიშნა, რომ მის რეგიონში ხელმძღვანელი მუშაკები მძლეოსნობის განვითარებისთვის ნაკლებად ზრუნავენ. ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონს აღარ გააჩნია სარბენი ბილიკი. არადა, აქ აღიზარდნენ ჭაბუკებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თარჯბენში **ჯემალ სხულუხია**, ევროპის ჩემპიონი ახალგარდებში 1500 მეტრზე მორბენალი **იური ცანავა**.

ეხლა კი გამოჩნდნენ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მაძიებლები **ზურაბ გიგაია** (ბირთვის კვრა) და **თენგიზ ღვინჯილია** (400 და 800 მ). მაგრამ აკლიათ ხელშეწყობა. ანალოგიური ვითარებაა მძლეოსნობაში თიანეთის რაიონშიც, სადაც ნაყოფიერად მუშაობს წარსულში ცნობილი სპორტსმენი **ლელა გელაშვილი**. თურმე თიანეთშიც მოაშორეს სტადიონს სარბენი ბილიკები, სპორტდარბაზი კი ავარიულია.

**ომარ ჩხაიძე**

**ჭაბუკები**

**თარჯბენი 60 მ**

1. ბესო ხუსკივაძე (თბილისი)-9.0
2. ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი)-9.2
3. დათო მორჩიაშვილი (წყალტუბო)-9.5

**სიმაღლეზე ხტომა**

1 ზურაბ გოგოჭური (გარდაბანი)-175
2. ანტონ კამენსკი (ქარელი)-140
3. მამუკა მანდარია (ქარელი)-130

**რბენა 60 მ**

1. გიორგი დალუნაშვილი (თბილისი)-7.2
2. ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი)-7.3
3. აჩიკო არველაძე (აჭარა)-7.3

**სამხტომი**

1. ვახტანგ ჯინჭველაშვილი (ქუთაისი)-13.81
2. გოჩა დინგაშვილი (ქუთაისი)-12.90
3. ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი)-11.80

**ბირთვის კვრა**

1. ნიკა ბერაძე (ხარაგაული)-16.03
2. გიორგი ქევხიშვილი (გარდაბანი)-11.70
3. აკაკი სვანიძე (ოზურგეთი)-10.55

**რბენა 400 მ**

1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე)-50.4
2. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალციხე)-53.0
3. ტარიელ ქვანია (ზუგდიდი)-53.4

**სიგრძეზე ხტომა**

1. გოჩა დინგაშვილი (ქუთაისი)-5.84
2. გოჩა კენჭიაშვილი (თბილისი)-5.64
3. თენგო ხუსკივაძე (თბილისი)-5.50

**რბენა 3000 მ**

1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე)-8.53.3
2. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე)-9.42.4
3. ალიკ მამედოვი (თბილისი)-9.56.1

**რბენა 800 მ**

1. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალც.)-2*02.3
2. ვლადიმერ ძურძუკი (თბილისი)-2.06.8
3. ტარიელ ქვანია (ზუგდიდი)-2.07.3

**რბენა 200 მ**

1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე)-22.7
2. ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი)-24.7
3. გიორგი დალუნაშვილი (თბილისი)-24.8

**გოგონები**

**თარჯბენი 60 მ**

1. ანა კაშია (ქუთაისი)-10.0
2. რიტა ფუთურიძე (ქუთაისი)-10.5

**ბირთვის კვრა**

1. სალომე ჩიგიშვილი (თიანეთი)-10.76
2. ქეთინო ლომიძე (ქარელი)-7.76
3. ლიკა ყიფშიძე (ქარელი)-7.18

**სამხტომი**

1. ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი)-11.12

**რბენა 400 მ**

1. გაიანე უსტიანი (ახალციხე)-1.00.7
2. ირინა ლაზავაია (თბილისი)-1.03.3
3. ბელა ბალიაშვილი (მარტვილი)-1.04.3

**რბენა 60 მ**

1. სოფო გაფრინდაშვილი (თბილისი)-8.0
2. ანაა კაშია (ქუთაისი)-8.1
3. მარინა აბშილავა (ზუგდიდი)-8.2

**რბენა 1500 მ**

1. ნინო ჩუბინაშვილი (თბილისი)-5.15.5
2. მაკა შარაშენიძე (ვანი)-5.18.7
3. ნინო გველესიანი (ჭიათურა)-5.21.0

**სიგრძეზე ხტომა**

1. მარინა აბშილავა (ზუგდიდი)-4.92
2. რიტა ფუთურიძე (ქუთაისი)-4.85
3. თამარ თოდუა (თბილისი)-4.59

**რბენა 800 მ**

1. გაიანე უსტიანი (ახალციხე)-2.22.5
2. სოფიკო ჩილინგარაშვილი (ახალც.)-2.31.1
3. ნინო გველესიანი (ჭიათურა)-2.34.9

**რბენა 200 მ**

1. სოფო გაფრინდაშვილი (თბილისი)-27.4
2. ირინე ლოზოვაია (თბილისი)-28.0
3. ეკა ბუდანოვა (აჭარა)-28.3

**რბენა 3000 მ**

1. მაკა შარაშენიძე (ვანი)-11.43.8
2. თეონა ხაჩიძე (ახალციხე)-11.59.0
3. ნესტან ირემაძე (ჭიათურა)-12.28.9

**პროფესიული კრივი**

სარეიტინგო ორთაბრძოლები

# პირველი ქამარი მფლობელს ელის

**საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაცია დღეს განსაკუთრებული მოვლენის წინაშე დადგება. 17 საათიდან, ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში, მორიგი პროფესიული ორთაბრძოლები შედგება, საიდანაც ორი ჩხუბი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. კონკრეტულად, ჯერ შედგება ქალების პირველი ოფიციალური სარეიტინგო ბრძოლა, დღის დამაგვირგვინებელ შეხვედრაში კი პირველი ქართული ქამარი გათამაშდება.**

**გუშინ, პროფესიული კრივის ფედერაციამ ამ საკითხებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია და ქამრის პრეზენტაცია გამართა. საქართველოს ქამრები ნამდვილად თვალწარმტაცია - შავი ტყავისგან დამზადებული, მოოქროვილი და ეროვნული სიმბოლიკებით გაწყობილი.**

გიორგი კანდელაკი, **პროფესიული კრივის ასოციაციის პრეზიდენტი:** - ქართული კრივის ისტორიაში პირველად, ხვალ საქართველოს ქამარი გათამაშდება. ამ ტიტულისთვის იბრძოლებენ ზემძიმე წონითი კატეგორიის მოკრივეები - ვლადიმერ ჭანტურია და დავით გეგეშიძე. ისიც პირველად მოხდება, რომ 10-რაუნდიან შეხვედრას ჩავატარებთ - აქამდე რვარაუნდიან ჩხუბზე მეტი არ გაგვიმართავს. სულ 7 წონითი კატეგორიაა და, შესაბამისად, ამდენივე ქამარი გათამაშდება. თითოეული საქამრე ბრძოლა ათრაუნდიანი იქნება. ქამრის მფლობელებმა ტიტული სამ თვეში ერთხელ აუცილებლად უნდა დაიცვან. ის მოკრივეები კი, რომლებიც ტიტულს ხუთჯერ დაიცავენ, ქამრები სამუდამო მფლობელობაში გადაეცემათ.

სხვათა შორის, ახლახან, გეგეშიძე გერმანიაში გავუშვით შეკრებაზე, მასპინძლებსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანას მოეწონათ და კონტრაქტზე ჩამოუგდეს საუბარი. ასევე, მოთხოვნაა ჭანტურიაზეც. თუმცა, ჯერჯერობით, მათ გაშვებაზე თავი შევიკავეთ, რადგან გვინდოდა, პირველი ქამრისთვის ერთმანეთისთვის გვეჩხუბებინა. მომავალში კი თავად მოკრივეებზეა დამოკიდებული, ქამრის დაცვას ამჯობინებენ თუ უცხოეთში სარფიან კონტრაქტებს.

ხვალ, ასევე პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც ოფიციალურ სარეიტინგო ბრძოლაში, ქალებს ვაჩხუბებთ. 55 კილოგრამში, ერთმანეთს შეხვდებიან ფიქრია მენთეშაშვილი და მარიკა ლომინაშვილი. მათ შორის გამარჯვებულს, საფრანგეთში ვუშვებთ სარეიტინგო ბრძოლის ჩასატარებლად.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ძმები - შალვა და ლევან ჯომარდაშვილები, 16 აპრილს, ლას-ვეგასში ჩაატარებენ სარეიტინგო ბრძოლებს. მათ ამერიკაში 10-10 ჩხუბი უნდა გამართონ.

ვლადიმერ ჭანტურია: - ხვალ გრანდიოზული დღე იქნება, რისთვისაც მთელი სულითა და გულით ვემზადები. საკმაოდ ძლიერი მეტოქე მეყოლება - დავით გეგეშიძეს სამოყვარულო კრივში ჩემსავით კარგი შედეგები ჰქონდა. თუმცა, პროფესიული კრივი სულ სხვა დონეა. მოგება, რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, მაგრამ ვიცი, რომ ეს იოლი ნამდვილად არ იქნება. დანარჩენი კი უშუალოდ რინგზე გამოჩნდება.

დავით გეგეშიძე: - ბედნიერი ვარ, რომ ხვალ, პირველი ქართული ქამრისთვის ვიბრძოლებ და ამით ჭანტურიასთან ერთად, ჩვენი პროფესიული კრივის ისტორიაში შევალ. რა თქმა უნდა, უძლიერესი მეტოქე მყავს, მაგრამ როგორც მას, მეც ძალიან მინდა გამარჯვება და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

ახლახან გერმანიაში გავიარე 17-დღიანი შეკრება, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. იდეალურ პირობებში ვვარჯიშობდი გერმანიის საუკეთესო კლუბ "ზაუერლანდში". იქვე, ჩემს გვერდით ემზადებოდა გერმანიის 2006 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული არტურ აბრაჰამიანი და მისი მწვრთნელი ვაგნერი. ვნახე ვალუევიც. მოკლედ, სულ მსოფლიოს ჩემპიონებისა და ოლიმპიური პრიზიორების გარემოცვაში ვიმყოფებოდი. გერმანელები მეც დამაკვირდნენ, სხვა ქართველების მონაცემებსაც გადახედეს და მითხრეს, რომ ყველა მოვეწონეთ - მალე კონტრაქტებზეც დაგელაპარაკებითო.

**კობა ხატისაშვილი**

**დღეს**

**ქალები. 55 კგ. 4 რაუნდი**

ფიქრია მენთეშაშვილი (დედოფლისწყარო) - მარიკა ლომინაშვილი (თბილისი)

**ვაჟები. 54 კგ. 4 რაუნდი**

დავით კვარაცხელია (გორი) - კახაბერ ტოკლიკიშვილი (დედოფლისწყარო)

**66 კგ. 4 რაუნდი**

მიხეილ ხუციშვილი (ვარიანი) - ავთანდილ შუკაკიძე (ფოთი)

**66 კგ. 6 რაუნდი**

ალექსანდრე ბენიძე (სოხუმი) - დავით ქადაგიძე (დედოფლისწყარო)

**+90 კგ. 10 რაუნდი**

დავით გეგეშიძე (თბილისი) - ვლადიმერ ჭანტურია (ფოთი)

**რაგბი. U 19**

# აჭარიდან ირლანდიისკენ

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ბათუმში გადია ათდღიან შეკრებას, რის შემდეგაც, ირლანდიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება. გთავაზობთ მინი ინტერვიუს გუნდის მთავარ მწვრთნელთან გია ღლონტთან.**

**- რატომ, მაინც და მაინც, ბათუმი, აქ ხომ რაგბისგან ფაქტობრივად მარტო მოგონება დარჩა?**

- სამწუხაროა, რომ ასე მოხდა. მიუხედავად ამისა, ბათუმში არის იმის პირობები, რომ შეკრება გავიაროთ. ანგისის სტადიონზე ვვარჯიშობთ. გუნდში გვყავს ერთი ქობულეთელი მორაგბე, ქათამაძე, რომელიც ირლანდიაში ჩვენთან ერთად წამოვა.

**- ნაკრებში რა სიტუაციაა?**

- ბიჭები ბრძოლისთვის არიან განწყობილნი. ამჟამად B ჯგუფში ვართ და მთავარი მიზანი A ჯგუფში გადასვლაა. შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ. მთავარია, ეს დღეები ნაყოფიერად გამოვიყენოთ და არ გაგვიწვიმდეს.

**- ირლანდია ხომ წვიმის ქვეყანაა და ეს არ უნდა გაშინებდეთ?**



გია ღლონტი ჭაბუკთა ნაკრების ვარჯიშზე

- იქ სტადიონები ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, წვიმა ვერაფერს აკლებს.

**- გუნდს ტრავმის გამო ვინმე ხომ არ გამოაკლდათ?**

- არა, მადლობა ღმერთს, სერიოზული არაფერია. მიკროტრავმები არის, მაგრამ ისეთი არა, რომ ვინმე ამის გამო დაგვაკლდეს.

**- ბათუმელებთან ერთ სპარინგ მატჩს არ გამართავთ?**

- 16 ან17 მარტს ვგეგმავთ. შეკრებას 19 მარტს ვასრულებთ, 24 მარტს კი გეზს ირლანდიისკენ ავიღებთ.

**- მეტოქეები?**

- ჯგუფში - რუმინეთი, ზიმბაბვე და რუსეთი. მერე ბრძოლა ფლეი ოფში გრძელდება და A ჯგუფის საგზურს მხოლოდ გამარჯვებული იღებს. მიზნის შესრულება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ არაფერს დავიშურებთ.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

გურამ ტურაშვილის ფოტო

**თავისუფალი ჭიდაობა**

# ზარიბეგ ბერიაშვილის პრიზზე

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია ტრადიციულად მართავს გამოჩენილი მოჭიდავის, საბჭოთა კავშირის ექვსგზის, ევროპის არაერთგზისა და 1969 წლის მსოფლიოს ჩემპიონის **ზარიბეგ ბერიაშვილის** სახელობის ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრება, დილმის ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის სპორტულ დარბაზში მოეწყო და მონაწილეობდა 1990-91-92 წლებში დაბადებული 250 კადეტი მოჭიდავე.

წონითი კატეგორიების მიხედვით წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს: **ზურაბ იაკობიშვილი** (ყვარელი), **გიორგი კაციტაძე** (რუსთავი), **ვლადიმერ ხინჩაგაშვილი** (გორი), **ვასილ მამულაშვილი** (საგარეჯო), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (გორი), **კონსტანტინე მაისურაძე** (გორი), **რევაზ ჯანელიძე** ("მართვე"), **ოთარ ურატაძე** (ქუთაისი), **გიორგი ჩიტაშვილი** (ყვარელი), **მანუჩარ მაისურაძე** ("შევარდენი").

ზარიბეგ ბერიაშვილმა, თავისი სახელობის პრიზი 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ ქუთაისელ მოჭიდავეს **ოთარ ურატაძეს** გადასცა. ყველაზე ტექნიკურ ფალავნად საგარეჯოელი **ვასილ მამულაშვილი** დასახელდა.

*"ივნისის პირველ დეკადაში ჩვენი გუნდი კონტინენტის 2007 წლის პირად-გუნდურ ჩემპიონატში გამოვა ვარშავაში"* - გვითხრა კადეტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა და ტურნირის მთავარმა მსაჯმა **თამაზ ბენდიანიშვილმა**.

**შალვა ქირია**

## ჩოგბურთი



მარია შარაპოვა

ტურნირები

# შარაპოვას გააგდეს

ინდიან ველსის ტურნირი მსოფლიოს პირველი ჩოგნების გარეშე დარჩა - მეოთხე წრეში მას რუსი **მარია შარაპოვაც** გამოეთიშა, ვისაც სამსეტიან პაექრობაში აჯობა თანამემამულე **ვერა ზვონარევამ**.

პირველი სეტი შარაპოვამ მოიგო და მეორეშიც ის ბრეიკით იყო წინ, მაგრამ მოულოდნელად, თამაშის სადავეები გაუშვა ხელიდან და ტურნირს დაემშვიდობა. **როჯერ ფედერერის** მსგავსად, ვერც შარაპოვამ შეძლო შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა. ზვონარევა კი მეოთხედფინალში ჩინელ **ნა ლის** დაუპირისპირდება, ვინც ორსეტიან პაექრობაში აჯობა სერბ **ელენა იანკოვიჩს**.

ზვონარევამ თამაშში გარდატეხა მეორე სეტის მეცხრე გეიმში შეიტანა. შარაპოვა 5:3-ს იგებდა და მატჩზე აწოდებდა. სწორედ ეს, გადამწყვეტი გეიმი მოიგო ზვონარევამ, რის შემდეგაც ზედიზედ კიდევ ექვსი გეიმის მოგება შეძლო და გადამწყვეტ სეტში 4:0 დაწინაურდა. შარაპოვამ თამაშის გადარჩენა სცადა, მაგრამ ინიციატივის დაბრუნება ალარ გამოუვიდა.

*"უცნაურია, სანამ მატჩ პოინტამდე მივიდოდი, შეცდომებს თითქმის არ ვუშვებდი. მაგრამ მერე თამაში ამერია და არაფერი გამომდიოდა. განსაკუთრებით კი პირველი მოწოდებით ვარ უკმაყოფილო. როცა ის არ გამოგდის, მეტოქეს ინიციატივას აძლევ. მე რომ თამაში ამერია, მან პირიქით, გამოასწორა და ბოლო სეტში თითქმის ალარ უშვებდა შეცდომებს"*, - განაცხადა შარაპოვამ, ვინც ამ წაგების წყალობით, ტურნირის დასრულების შემდეგ, მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსს ბელგიელ **ჟუსტინ ანენს** დაუთმობს.

შარაპოვას მსგავსად, ტურნირს ნაადრევად დაემშვიდობა კიდევ რამდენიმე ფავორიტი. მათ შორის, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**, სერბი **ანა ივანოვიჩი** და რუსები - **ნადია პეტროვა** და **ანა ჩაკვეტაძე**.

კაცების ტურნირს ფავორიტები ალარ დაჰკლებია. ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** იოლად აჯობა თანამემამულე **ხუან კარლოს ფერეროს**, ამერიკელმა **ენდი როდიკმა** კი დაძაბულ პაექრობაში დაამარცხა ფრანგი **რიშარ გასკე**.

სხვათა შორის, ნადალს ფერეროსთან თავისი ბოლო შეხვედრა წაგებული ჰქონდა (შარშან ცინცინატის მასტერსზე), მაგრამ ამჯერად კორტზე სრულად დომინირებდა და მეტოქეს ორივე სეტში მხოლოდ თითო გეიმი დაუთმო. ის კმაყოფილი დარჩა თავისი თამაშით - მართალია, ხუან კარლოსმა ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ თითქმის არ ვცდებოდი და მოწოდებაც კარგი მქონდაო.

შეგახსენებთ, რომ ნადალს, რაც მეორედ მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა, მას შემდეგ ტურნირი არ მოუგია. მაგრამ ახლა, როცა ფედერერი ტურნირზე ალარაა, კარგი შანსი აქვს, მასტერსის სერიის პირველი ამერიკული ტიტული მოიპოვოს.

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 169 600 დოლარი

**1/8 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 22) 6:1, 6:1; **ენდი როდიკი (აშშ, 3)**-რიშარ გასკე (საფ, 15) 7:6 (3), 6:3; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 8)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 10) 2:6, 6:4, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 30)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:4, 6:4.

**WTA**

**Pacific Life Open**

ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ვერა ზვონარევა (რუს, 15)**-მარია შარაპოვა (რუს, 1) 6:4, 5:7, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-აი სუგიამა (იაპ, 16) 6:2, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 14)**-მარტინა ჰინგისი (შვეიც, 3), 6:4, 6:3; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 13)**-ნადია პეტროვა (რუს, 4) 6:2, 1:0 პეტროვას უარი; **ნიკოლ ვაიდიშოვა (სლოვაკ, 6)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 17) 4:6, 6:3, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 12)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 7) 6:3, 7:6 (1); **შაარ პეერი (ისრ, 11)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 8) 6:4, 7:6 (2); **სიბილ ბამერი (ავსტრია, 33)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 10) 6:7 (6), 6:0, 6:3.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ზვონარევა (15)-ნა ლი (12); ჰანტუხოვა (14)-პეერი (11); ბამერი (33)-გოლოვინი (13); ვაიდიშოვა (6)-კუზნეცოვა (2).

## ცურვა

ვარსკვლავი

# დე ბრუინიც წავიდა

ცურვაში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, სპორტული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა სახელოვანმა ჰოლანდიელმა მოცურავე **ინგე დე ბრუინმა**.

დე ბრუინმა ბოლოს ათენის ოლიმპიადაზე იასპარეზა, სადაც 50 მეტრზე თავისუფალ სტილში ოქროს მედალი მოიპოვა. სულ კი მას ოთხი ოლიმპიური ოქროს მედალი აქვს მოპოვებული. ათენური ტრიუმფის შემდეგ, მან განაცხადა, რომ ყველაფერს მიაღწია, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო და არავისთვის არაფერი დარჩა დასამტკიცებელი. თუმცა, სპორტიდან წასვლის გადაწყვეტილება ახლაღა მიიღო.

*"ყველაფერს მივაღწიე და ამიტომ, სჯობს გავჩერდე. ახლა მე 33 წლის ვარ და მიმაჩნია, რომ ჯერაც შემიძლია უმაღლეს დონეზე ასპარეზობა, თუმცა უწინდებურად სწრაფად ველარ ვახერხებ ძალების აღდგენას, რაც ძალიან ძნელად შესაგუებელია"*, - განაცხადა დე ბრუინმა, ვისაც ოლიმპიური ოქროს მედლების გარდა, არაერთხელ აქვს მოგებული მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, რითაც ყველა დროის საუკეთესო ქალ მოცურავეთა შორის დაიმკვიდრა ადგილი.

ერთადერთი ქალი მოცურავე, ვისაც დე ბრუინზე მეტი, ოლიმპიური ოქრო აქვს მოპოვებული, არის უნგრელი **კრისტინა ეგერსეგია**, ვის ანგარიშზეც ხუთი ოლიმპიური ოქრო ირიცხება, რომლებიც მას 1988-1996 წლებში აქვს მოპოვებული.

დე ბრუინმა სიდნეის ოლიმპიადაზე სამი ოქრო (50 და 100 მეტრზე თავისუფალსა და 100 მეტრზე ბატერფლაიში) მოიპოვა, ათენში კი მხოლოდ 50 მეტრზე თავისუფალში შეძლო ტიტულის დაცვა. მას ჰოლანდიის მოცურავეთა ნაკრებმა გარანტია მისცა, რომ პეკინის თამაშებზეც წაიყვანდა, რითაც იმავე ეგერსეგისა და ავსტრალიელ **დონ ფრეიზერის** მიღწევათა გამეორების საშუალება ექნებოდა - ამ ორს ზედიზედ სამ ოლიმპიადაზე, ერთი და იგივე დისტანციაზე ოქრო სამჯერ აქვს მოპოვებული.

*"ეს ძალიან ძნელი იქნებოდა. თანაც, არც იმის გამო ვაპირებ ოლიმპიადაზე წასვლას, რომ სტატისტი ვიყო. მე ყოველთვის იმისთვის ვასპარეზობდი, რომ მომეგო, ახლა კი ვგრძნობ, რომ საკმარისია, რასაც მივაღწიე, ეს კი ნიშნავს, რომ წასვლის დროა"*, - განაცხადა დე ბრუინმა, ვინც საერთაშორისო დებიუტიც 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ესტაფეტაში მოპოვებული ბრინჯაოთი აღნიშნა, თუმცა რვა წელი დასჭირდა, სანამ დიდ ტურნირზე ინდივიდუალურ ოქროს მედალს მოიპოვებდა.



ინგე დე ბრუინი

1996 წელს კი, მას შემდეგ, რაც ატლანტას ოლიმპიადაზე არ წაიყვანეს, სპორტული კარიერის დასრულებაზეც კი ფიქრობდა, მაგრამ მერე მწვრთნელები გამოიცვალა და სრულად შეცვალა საცურაო სტილი.

სხვათა შორის, სიდნეიშივე მან მსოფლიოს სამი რეკორდი გააუმჯობესა, რომლებიც ახლაც კი მას ეკუთვნის. სიდნეის შემდეგ კი, მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონატზე, მან ასევე ოქროს სამი მედალი მოიპოვა (იმავე დისციპლინებში, რაშიც სიდნეის ოლიმპიადაზე), მომდევნო ჩემპიონატზე კი მხოლოდ 50 მეტრზე თავისუფალის ტიტულის დაცვა შეძლო.

## კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**მაიამი-იუტა 88:86**

18:30, 17:18, 25:26, 26:12

**მაიამი:** ჯეისონ უილიამსი (15 ქ), შ. ონილი (13 ქ. 9 მ. 3 პ), ა. უოკერი (13 ქ), ე. ჯოუნსი (12 ქ. 7 მ), ჰასლემი (10 ქ. 10 მ).

**იუტა:** ბუზერი (20 ქ. 13 მ. 5 პ), ოქური (19 ქ. 10 მ. 3 პ), დ. უილიამსი (15 ქ. 8 პ), ჰარპრინგი (12 ქ), გირიჩეკი (10 ქ).

**კლივლენდი-საკრამენ. 124:100**

26:19, 26:32, 35:18, 38:31

**კლივლენდი:** პავლოვიჩი (25 ქ. 6 პ. 2 ჩ), ჰიუზი (25 ქ. 7 პ. 6 მ. 3 ჩ. 2 დ), ილგაუსკასი (19 ქ. 10 მ. 7 პ. 2 დ), ნიუბლი (12 ქ. 7 მ), გუდენი (10 ქ. 10 მ).

**საკრამენტო:** არტესტი (19 ქ. 5 ჩ), კევინ მარტინი (13 ქ. 3 პ), ბიბი (12 ქ. 3 პ. 2 ჩ).

**ატლანტა-ფილადელფია 104:92**

31:22, 27:21, 28:21, 18:28

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (26 ქ. 17 მ. 5 პ. 4 ჩ. 3 დ), ზაზა ფაჩულია (15 ქ. 10 მ. 2 პ. 1 დ), ჩილდრესი (15 ქ), მერვინ უილიამსი (15 ქ. 5 მ), ლიუ (10 ქ), ე. ჯონსონი (10 ქ. 8 პ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (18 ქ. 6 მ. 4 ჩ. 3 პ), კარნი (15 ქ), ლ. უილიამსი (13 ქ), კორვერი (13 ქ), ა. მილერი (10 ქ. 4 პ).

**სან ანტონიო-კლიპერსი 93:84**

21:22, 29:18, 22:21, 21:23

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (25 ქ. 5 მ. 4 პ), დანკანი (19 ქ. 9 მ), ჯინობილი (16 ქ. 7 მ), ფინლი (13 ქ. 4 მ).

**კლიპერსი:** მაგეტი (17 ქ. 9 მ. 5 პ), ბრენდი (16 ქ. 10 მ. 6 პ. 3 დ), ტიმ ტომასი (15 ქ), კამანი (13 ქ. 5 მ. 2 დ), ჰარტი (10 ქ. 3 ჩ).

**მინესოტა-ინდიანა 86:81**

19:20, 16:22, 23:25, 28:14

**მინესოტა:** გარნეტი (30 ქ. 9 მ), ფოიე (16 ქ), მაკკენტსი (12 ქ. 6 პ. 3 ჩ), იარიჩი (11 ქ. 6 პ. 5 მ), კ. სმიტი (8 ქ. 5 მ).

**ინდიანა:** ტინსლი (37 ქ. 6 მ. 6 პ. 4 ჩ), მ. დანლივიიუმცროსი (11 ქ. 6 მ. 3 პ), დ. გრეინჯერი (10 ქ. 6 მ), ფოსტერი (3 ქ. 11 მ).

**ნ. ორლეანი-ნ. ჯერსი 108:112**

25:29, 26:23, 27:30, 30:30

**ნიუ ორლეანი:** პოლი (25 ქ. 12 პ. 6 მ), დევიდ უესტი (24 ქ. 7 მ), დევინ ბრაუნი (13 ქ), მეისონი (12 ქ), ბ. ჯექსონი (12 ქ), ჩენდლერი (6 ქ. 11 მ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (26 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ), ვ. კარტერი (21 ქ. 7 პ), კიდი (18 ქ. 12 პ. 6 მ. 4 ჩ), ნახბარი (12 ქ), ე. ჰაუსი (12 ქ).

**ჩიკაგო-ბოსტონი 95:87**

26:29, 24:18, 25:22, 20:18

**ჩიკაგო:** ტაირუს ტომასი (23 ქ. 9 მ), ბ. უოლასი (19 ქ. 16 მ. 4 პ. 3 დ), დენგი (19 ქ. 6 პ), ჰაინრიხი (15 ქ. 6 მ. 6 პ), გორდონი (11 ქ. 5 მ. 5 პ).

**ბოსტონი:** პირსი (24 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ელ ჯეფერსონი (19 ქ. 8 მ. 3 დ), დელონტე უესტი (19 ქ), პერკინსი (8 ქ. 10 მ. 2 დ).

**დენვერი-პორტლენდი 107:99**

29:19, 26:18, 23:34, 29:28

**დენვერი:** აივერსონი (31 ქ. 10 პ. 6 მ. 5 ჩ), ენტონი (29 ქ. 8 მ. 3 პ), კემბი (14 ქ. 10 მ. 7 დ), ნენე (12 ქ. 6 მ).

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (26 ქ. 8 მ. 2 ჩ), ლ. ოლდრიჯი (24 ქ. 17 მ. 4 დ), როი (16 ქ. 6 მ. 6 პ. 4 ჩ), ჯეკი (13 ქ. 9 პ. 6 მ).

**სიეტლი-დეტროიტი 97:101**

18:26, 29:22, 24:25, 26:28

**სიეტლი:** რ. ალენი (27 ქ. 7 მ. 6 პ), უილკოქსი (21 ქ. 5 მ. 3 ჩ), უოტსონი (16 ქ. 7 პ. 5 მ. 2 ჩ), რ. ლიუისი (13 ქ), პეტრო (10 ქ. 9 მ. 3 პ).

**დეტროიტი:** უებერი (24 ქ. 8 მ. 6 პ. 2 ჩ), პრინსი (18 ქ. 5 მ. 2 ჩ), რ. უოლასი (15 ქ. 3 ჩ. 3 დ), ბილაპსი (14 ქ), რ. ჰამილტონი (10 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ).

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-ოტავა 2:3**

2:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ნიულანდერი-21 (პრუხა-17, იაგრი-56), 2:0 ნიულანდერი-22 (ისბისტერი-1, იაგრი-57), 2:1 სპეცა-28 (ჰიტლი-47, რედენი-28), 2:2 ალფრედსონი-25 (შეფერი-28, მ. ფიშერი-22), 2:3 მეზაროში-7 (სპეცა-45, ჰიტლი-48).

**ნეშვილი-დეტროიტი 2:5**

1:1, 0:1, 1:3

**გოლები:** 0:1 ლანგი-18 (კალდერი-18, ჰუდლერი-6), 1:1 რადულოვი-13 (ლეგვანდი-34, კ. ტიმონენი-39), 1:2 მიოლტბი-4 (დრეიპერი-12, ფილპულა-6), 1:3 ჰუდლერი-12 (კალდერი-19, კრონვალი-20), 2:3 ერატი-16 (შ. უებერი-22, კარია-48), 2:4 კალდერი-11 (ლანგი-27), 2:5 ფილპულა-9 (დაციუკი-53).

**ვანკუვერი-მინესოტა 2:3 (ო)**

2:0, 0:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბულისი-11 (კოუენი-3), 2:0 მ. კუკი-7 (ბ. მორისონი-25, კოუენი-4), 2:1 მ. კოივუ-17 (კარნი-11), 2:2 როლსტონი-28 (ფოსტერი-16), 2:3 ბერნსი-5 (გაბორიკი-18).

**კაროლინა-ფლორიდა 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 სტილმანი-4 (ე. კოული-27, ე. სტაალი-36), 1:1 შტუმპელი-18, 2:1 ს. უოკერი-20 (ლედი-7, ფ. კაბერლე-2), 3:1 ბრინდამორი-22 (ლაროუზი-12, უესლი-9).

**ტორონტო-ტამპა ბეი 3:2**

1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ბ. რიჩარდსი-24 (ლეკავალიე-48), 1:1 კილგერი-11 (უელვუდი-23, ტაკერი-13), 1:2 ბოილი-16 (ბ. რიჩარდსი-40), 2:2 სუნდინი-27 (პონიკაროვსკი-21, ანტროპოვი-12), 3:2 ანტროპოვი-14 (სუნდინი-37, გილი-12).

**მონრეალი-აილენდერსი 5:3**

0:1, 2:2, 3:0

**გოლები:** 0:1 იაშინი-14 (შატანი-25, მ-ა. ბერჟერონი-25), 0:2 რ. სმიტი-33 (ბულიტი), 1:2 ლატენდრესი-14 (რაიდერი-24, ს. კოივუ-40), 2:2 რაიდერი-23 (მარკოვი-35, სურეი-33), 2:3 მ-ა. ბერჟერონი-12 (პარკი-15, რ. სმიტი-26), 3:3 ლატენდრესი-15 (პლეკანეცი-23, კასტსიცინი-4), ჰიგინსი-18 (კასტსიცინი-5, სურეი-34), 3:5 პლეკანეცი-17 (კასტსიცინი-6).

**დალასი-ფილადელფია 3:2**

1:0, 0:0, 2:2

**გოლები:** 1:0 ი. ლეჰტინენი-24 (ი. იოკინენი-28, ჰაგმანი-10), 1:1 პიტკანენი-4 (მ. რიჩარდსი-19, აფანასენკოვი-10), 2:1 ი. იოკინენი-13, 3:1 მოდანო-15 (მიეტინენი-10, კლემი-2), 3:2 აპშოლი-8 (მ. რიჩარდსი-20, ჯ. კარტერი-20).

**სან ხოსე-ჩიკაგო 7:1**

2:0, 1:0, 4:1

**გოლები:** 1:0 გერინი-29 (ერჰოფი-19), 2:0 ბელი-9 (მ. კარლი-25, გერინი-20), 3:0 მ. მიხალეკი-19 (ჯ. ტორნტონი-71), 4:0 ჯ. ტორნტონი-17 (ჰენანი-17, ჩიჩუ-27), 5:0 გრირი-15 (მ. მიხალეკი-29, ჯ. ტორნტონი-72), 6:0 გერინი-30 (მარლო-37, ჰენანი-18), 6:1 ლაპოინტი-12, 7:1 გერინი-31 (ბულიტი).

**პიტსბურგი-ბაფალო 5:4 (ბ)**

1:1, 1:1, 2:2, 0:0

**გოლები:** 0:1 პომინვილი-28 (ჰეხტი-30, ბრიერი-53), 1:1 მელოუნი-15 (გონჩარი-46, კროსბი-73), 2:1 ტელბოტი-10 (ნასრედინი-2, რაიან უიტნი-38), 2:2 კალინინი-6 (დრური-25, რაიანი-2), 3:2 კროსბი-29 (რეკი-40, რაიან უიტნი-39), 4:2 გონჩარი-13 (რაიან უიტნი-40, კროსბი-74), 4:3 ბრიერი-29 (ჰეხტი-31, პომინვილი-28), 4:4 დრური-34 (ბრიერი-54, ჰეხტი-32).

**ბულიტები გაიტანეს:** კრისტენსენი (პიტსბურგი), სტეფორდი (ბაფალო), კროსბი (პიტსბურგი).

ჩოგბურთი

### სმაშნოვა უიმბლდონის შემდეგ წავა

ისრაელის ჩოგბურთის ყოფილი ლიდერი **ანა სმაშნოვა** ამ სეზონის მსვლელობისას აპირებს კარიერის დასრულებას. კერძოდ, სმაშნოვა უიმბლდონის შემდეგ გამოემშვიდობება დიდ ჩოგბურთს.

*"უიმბლდონის შემდეგ ალარ ვაპირებ პროფესიულ ჩოგბურთში დარჩენას, -* განაცხადა 30 წლის ჩოგბურთელმა. *- ცხოვრების ერთი პერიოდი დავასრულე და ახლა შემდეგი ეტაპის ჯერი დგება".*

16-წლიანი კარიერის განმავლობაში, სმაშნოვამ WTA-ს ტურის 12 ტიტული მოიგო. მინსკში დაბადებული ჩოგბურთელი, თავის დროზე ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად და 1991 წელს, იუნიორთა შორის საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო. მისი უმაღლესი მიღწევაა 1993 წელს, WTA-ს კლასიფიკაციაში დაკავებული მე-15 ადგილი.

დოპინგი

### სტალონეს 100-ათასიანი ჯარიმა ემუქრება

ავსტრალიაში, ამერიკელ მსახიობ **სილვესტერ სტალონეს** საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს პირველი სხდომა გაიმართა. ავსტრალიელები სლაის ქვეყანაში 48 კოლოფი აკრძალული პრეპარატების შეტანას ედავებიან. ეს ის პრეპარატებია, რომლებსაც კულტურისტები კუნთების გასაზრდელად იყენებენ. ავსტრალიის კანონების თანახმად, ქვეყანაში ასეთი წამლების შეტანა აკრძალულია.

ეს საქმე მას შემდეგ დაიწყო, რაც გასულ თვეს, სიდნეის აეროპორტში სტალონეს ბარგის გაჩხრეკვისას ზემოხსენებული 48 კოლოფი აღმოაჩინეს. მსახიობის დანაშაული არც ისე სერიოზულია და სტალონეს ნება დართეს, საერთოდ არ დაესწროს სასამართლო პროცესს. მიუხედავად ამისა, "როკის" 100 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობის ჯარიმა მაინც ემუქრება.

თავად სტალონემ ამ ინციდენტის კომენტირებისას განაცხადა, რომ ის არ იცნობდა ქვეყნის კანონებს და თავისი დანაშაულიც აღიარა. თუ რაში სჭირდებოდა ამდენი პრეპარატის ავსტრალიაში შეტანა, ამას სასამართლო გაარკვევს.

კალათბურთი

### მგლებმა გრიფინი მოიშორეს

"მინესოტა ტიმბერვულვზის" ხელმძღვანელობამ ფორვარდ **ედი გრიფინის** თავიდან მოშორება გადაწყვიტა და ეს კალათბურთელი ტრანსფერზე დააყენა.

გრიფინმა წელს, "მგლების" რიგებში სულ 13 მატჩი ჩაატარა და სტატისტიკური მონაცემებიც მოკრძალებული ჰქონდა - 1.4 ქულა და 1.9 მოხსნა.

### ნაითი მეორედ დაისაჯა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა 25 ათასი დოლარით დააჯარიმა "შარლოტის" ფორვარდი **ბრევინ ნაითი**. ამ სასჯელის მიზეზი გახდა ის, რომ "მემფისთან" მატჩში კალათბურთელმა მსაჯებს შეურაცხყოფა მიაყენა და ტექნიკური ფოლის მიღების შემდეგ, მოედნის დატოვება არ ისურვა.

აღსანიშნავია, რომ წელს ეს ბრევინისთვის მეორე სასჯელია. ნოემბერში, "სიეტლთან" მატჩის დროს უდისციპლინო საქციელისთვის ის 10 ათასი დოლარით დაჯარიმდა.

### ლებრონი ერთი მატჩით დაასვენეს

"კლივლენდ კავალიერზის" ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** "საკრამენტოსთან" ბოლო ტურის შეხვედრა გამოტოვა. ლებრონი გუნდის მთავარი მწვრთნელის, **მაიკ ბრაუნის** გადაწყვეტილებით ვერ გავიდა მოედანზე, ვინაიდან ზურგის არეში ტკივილს გრძნობდა.

ჯეიმსი ძალიან გაანაწყენა დამრიგებლის გადაწყვეტილებამ და მატჩის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა. თავად ბრაუნმა განაცხადა, რომ სწორად მოიქცა, ვინაიდან "კლივლენდს" წინ კიდევ ბევრი პრინციპული შეხვედრა ელის.

ფორმულა 1. სეზონის წინ

# ახალბედა გამარჯვებული? ნუ გამორიცხავთ...



ჰეიკი კოვალაინენი

ფორმულა 1-ის ისტორიაში, იტალიელი **ჯანკარლო ბაგეტი** ერთადერთი პილოტია, ვისაც სადებიუტო რბოლა აქვს მოგებული. ბაგეტი 11 წლის წინათ გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი 2007 წლის სეზონის დაწყების წინ, ბევრმა სპეციალისტმა გაიხსენა. რატომ?

იმიტომ, რომ შესაძლოა, ავსტრალიის დიდ პრიზზე, "მელბურნ პარკზე" მისი მიღწევა გაიმეორონ. თანაც, ამის გაკეთება ერთბაშად ორ პილოტს, ორ ახალბედას – ბრიტანელ **ლუის ჰემილტონსა** და ფინელ **ჰეიკი კოვალაინენს** შეუძლია.

ბაგეტიმ თავისი მოულოდნელი გამარჯვება 1961 წელს, რეიმსში, საფრანგეთის დიდ პრიზზე იზეიმა. იტალიელმა ზედ ფინიშის სწორზე, სლიპსტრიმით გაუსწრო ამერიკელ **დენ გარნის** და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. 1950 წლიდან მოყოლებული, რაც ფორმულა 1-ში მსოფლიო ჩემპიონატები ტარდება, ბაგეტის მიღწევა არავის გაუმეორებია.

ბოლო წლებში, "სარბოლო ცირკში" რამდენიმე ისეთი პილოტი გამოჩნდა, რომლებსაც სადებიუტო რბოლის მოგების უნარი ჰქონდათ, მით უმეტეს, ისინი ტოპ-გუნდებში გამოდიოდნენ. მაგრამ ბაგეტის მიღწევის გამეორება მაინც ვერ ხერხდებოდა. ვერცერთმა დებიუტანტმა გამარჯვებისთვის ბრძოლა ვერ შეძლო.

ამ მხრივ, ახალი სეზონი ყველაზე გამორჩეული იქნება, რადგან ჰემილტონიცა ("მაკლარენი") და კოვალაინენიც ("რენო") ჩემპიონობის პრეტენზიის გუნდებში ასპარეზობენ. 18 მარტს თუ ყველაფერი მათ სასარგებლოდ წარიმართა, შესაძლოა, ამ ორიდან ერთი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდეს.

ბოლო დებიუტანტი, ვინც ახლოს იყო სანუკვარ გამარჯვებასთან, კანადელი **ჟაკ ვილნევია** ("უილიამსი"). მან 1996 წელს, ავსტრალიის დიდი პრიზის პოულ პოზიცია მოიგო და რბოლასაც კარგა ხანს ლიდერობდა, მაგრამ ბოლო შვიდ წრეზე მას ბრიტანელმა თანაგუნდელმა **დეიმონ ჰილმა** გაასწრო და გამარჯვებაც მანვე იზეიმა. ჰილი იმ სეზონში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მომდევნო ჩემპიონატი კი ვილნევმა მოიგო.

ვილნევამდეც ბაგეტის მიღწევის გამეორება ოკეანისგაღმელ პილოტს შეეძლო. მისი სახელია **მარიო ანდრეტი**. ვილნევის მსგავსად, მანაც სადებიუტო რბოლა (1968 წელი, აშშ-ის დიდი პრიზი, "უოტკინს გლენი") პოულის მოპოვებით აღნიშნა. თანაც, მეორე ადგილზე დატოვა თანაგუნდელი ("ლოტუსი"), იმ დროს ჯერაც მსოფლიოს ერთგზის ჩემპიონი, ბრიტანელი **გრემ ჰილი** (დეიმონ ჰილის მამა). ანდრეტიმ ის რბოლა ვერ დაასრულა, ჰილი კი სეზონის ბოლოს მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, გერმანელმა **მიხაელ შუმახერმა** თავისი სადებიუტო რბოლა (1991 წელი, ბელგიის დიდი პრიზი, ჯორდანი) პირველივე მოსახვევამდე დაასრულა. არადა, შესანიშნავად იასპარეზა კვალიფიკაციაზე. რაც შეეხება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, ბრაზილიელ **აირტონ სენას**, "ტოულმენ-ჰარტით" მას მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდა. მისი დებიუტი 1984 წელს, ბრაზილიის დიდ პრიზზე (რიო დე ჟანეირუ) შედგა, მაგრამ ფინიშს ვერც მან მიაღწია.

სადებიუტო რბოლის მოგების შანსი არც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ესპანელ **ფერნანდო ალონსოს** ჰქონია, რადგან 2001 წელს ის მაჩანჩალა "მინარდის" ბოლიდით ასპარეზობდა. შესაბამისად, იმ სეზონის საწყისი რბოლა - ავსტრალიის დიდი პრიზი მან მე-12 ადგილზე დაასრულა.

ახლა კი ჩვენს დებიუტანტებსაც მივხედოთ.

შეგახსენებთ, რომ ახალი სეზონიდან, ჩემპიონი ალონსო "მაკლარენში" გადავიდა, მის ადგილს კი "რენოში" კოვალაინენი დაიკავებს. რაც შეეხება ჰემილტონს, ის დიდ პრიზებში თავის კარიერას "მაკლარენში" დაიწყებს, სადაც "ფერარიში" გადასულ ფინელ **კიმი რაიკონენის** ცვლის. ორივე გუნდს საჩემპიონო ამბიციები აქვს. შეგახსენებთ, რომ "რენოს" წინა ორ სეზონში ბადალი არ ჰყავდა, "მაკლარენს" კი შარშან ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ ახლა, წინასასეზონო ტესტებზე ყველაზე სწრაფი ბოლიდი ჰყავს.

თუ მათ სადებიუტო რბოლაზე, ავსტრალიის დიდ პრიზზე რაიმე მოულოდნელობა არ მოხდა, ჰემილტონსაც და კოვალაინენსაც მოგების შანსი თითქმის არ აქვთ, მაგრამ როგორც ფორმულა 1-ის სახელოვანი ბრიტანელი კომენტატორი **მარი უოკერი** ამბობს ხოლმე - ფორმულაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

მაგალითების ჩამოსათვლელად შორს წასვლა არ მოგვიწევს: 2005 წელს, როცა "რენო" ჯერაც არ იყო ჩემპიონი, ავსტრალიის დიდი პრიზი გუნდის მეორე პილოტმა, იტალიელმა **ჯანკარლო ფიზიკელამ** კურიოზულ სიტუაციაში მოიგო. 1999 წელს კი "ალბერტ პარკზე" ყველა "ფერარის" პირველის პილოტის, მიხაელ შუმახერის ტრიუმფს ელოდა, ფინიშის ხაზი პირველმა კი მისმა ირლანდიელმა თანაგუნდელმა **ედი ირვაინმა** გადაკვეთა.

ორივე ახალბედა ძალიან სწრაფია და სპეციალისტები მათ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. უფრო მეტიც, ბევრი თვლის, რომ თუ კოვალაინენი და ფიზიკელა თანაბრად მომზადებულ ბოლიდებს მიიღებენ, უკეთეს ადგილს ფინელი პილოტი დაიკავებს. ამ მხრივ, უარეს პოზიციაშია ჰემილტონი, ვისაც გვერდში მეტად ამბიციური კაცი უდგას. სხვა თუ არაფერი, ალონსომ წინა ორ სეზონში პირველობა არავის დაუთმო, თვით მიხაელ შუმახერსაც კი.

*"ვფიქრობ, ჰეიკისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ. მას ნებისმიერ ვითარებაში შეუძლია მანქანისგან მაქსიმუმის გამოწურვა. ბევრი ამბობს, რომ მას გამოცდილება აკლია. მე კი მჯერა, რომ ასეთი ნიჭის მქონე პილოტებს პირველივე რბოლის კი არა, პირველივე სეზონის მოგებაც კი შეუძლიათ"*, - ამბობს "რენოს" იტალიელი ბოსი **ფლავიო ბრიატორე**.

ამ საკითხზე უფრო თავშეკავებულად მსჯელობს "მაკლარენის" შეფი **რონ დენისი**: *"თუ ჩვენ კონკურენტუნარიანი მანქანა გვეყოლება, მჯერა, რომ ლიუისს რბოლის მოგება შეუძლია. მას გამარჯვება სწყურია და შეუძლია კიდეც გრან-პრის მოგება. თან მეტად ბრძოლისუნარიანია და არასოდეს ნებდება. ეს ის თვისებებია, რომლებიც ჩემპიონებსა და მომავალ ჩემპიონებს ახასიათებთ. მაგრამ მე თუ მკითხავთ, ერთია მოიგო რბოლა და მეორე – აჯობო ალონსოს. ისე კი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. იმას ვგულისხმობ, რომ არ არსებობს პილოტი, რომელიც ყველა რბოლას იგებს. მეორეს მხრივ, ჩვენი მიდგომა ასეთია – ორივე პილოტს ერთნაირად მომზადებული მანქანით ვუზრუნველვყოფთ. და თუ ალონსოს რაიმე გარემოება მოგებაში ხელს შეუშლის, მაშინ მეორეს უნდა ჰქონდეს გამარჯვების საშუალება. ამ ეტაპზე, ის ჩემპიონთან ბრძოლას, ალბათ, ვერ შეძლებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სეზონის მსვლელობისას, ლოკალური წარმატებების შანსი ექნება"*.

და ისევ ბაგეტის შესახებ: მილანელმა პილოტმა ფორმულა 1-ში სულ 21 რბოლაში მიიღო მონაწილეობა (ყველაში "ფერარის" ბოლიდით) და სადებიუტო რბოლის მეტი, სხვა ეტაპი აღარ მოუგია. ფინიშზე გასწრება სალიდერო წრედ თუ არ ჩაეთვლება, ამის გარდა, სულ 7 წრის განმავლობაში ედგა პელოტონს სათავეში. თანაც, რეიმსში ტრიუმფის შემდეგ ის ერთხელაც არ ასულა პოდიუმზე.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ლუის ჰემილტონი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

## ეკლსტოუნს ქულათა დარიცხვის წესი არ მოსწონს

ფორმულა 1-ში 58-ე მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე, "დიდი პრიზის" მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ეკლსტოუნმა** ინტერვიუ მისცა გაზეთ "გაძეტა დელო სპორტს", სადაც განაცხადა, რომ არ მოსწონს ეტაპებზე ქულათა დათვლის სისტემა.

შეგახსენებთ, რომ ქულათა დარიცხვის წესი 2002 წელს შეიცვალა. მაშინ გადაწყდა, რომ ყოველი ეტაპის შემდეგ ქულათა ზონაში არა ექვსი, არამედ რვა პილოტი უნდა შესულიყო, ხოლო გამარჯვებულსა და მეორეადგილოსანს შორის სხვაობა არა ოთხი, არამედ ორი ქულა უნდა ყოფილიყო.

ეკლსტოუნს მიაჩნია, რომ ასეთი მცირე სხვაობა ერთგვარად ჩრდილს აყენებს ეტაპის გამარჯვებულის წარმატებას. სწორედ ამიტომაც, მას მიაჩნია, რომ ქულათა დარიცხვის სისტემა გადახედვას საჭიროებს.

ჯერჯერობით უცნობია, რა ცვლილებები შეიძლება განიცადოს ამ წესმა, რადგან ეკლსტოუნმა ღიად ისიც განაცხადა, რომ ჩემპიონი არა ქულათა რაოდენობით, არამედ ეტაპებზე გამარჯვებების რაოდენობით უნდა ვლინდებოდეს.

## უილიამსმა სპონსორი შეინარჩუნა

ენერგეტიკული სასმელის - Battery-ის მწარმოებელმა ფინურმა კომპანიამ ფორმულა 1-ის გუნდ "უილიამსთან" კონტრაქტი გააგრძელა. მხარეები კმაყოფილნი დარჩნენ შარშანდელი თანამშრომლობით და ამ სეზონშიც გადაწყვიტეს ურთიერთობის გაგრძელება. აღსანიშნავია, რომ მხარეები გულშემატკივრებში ერთობლივ აქციას (Win a Job) მართავენ, რომლის გამარჯვებულიც "უილიამსში" ერთი სარბოლო უიქენდის გატარების უფლებას იგებს.

ჰოკეი

## მოდანოს მე-500 შაიბა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში, "დალას სტარსის" ვეტერანმა ფორვარდმა **მაიკ მოდანომ** კარიერაში მე-500 შაიბა გაიტანა. ეს მოხდა "ფილადელფიასთან" საშინაო მატჩში.

შესაბამისად, 36 წლის ამერიკელი თავდამსხმელი ლიგის მოქმედ ჰოკეისტებს შორის მეშვიდეა, ვინც ამ ზღვარის გადალახვა მოახერხა. მოდანოზე ადრე, 500 შაიბის გატანა შეძლეს **ბრენდან შენეჰანმა** ("რეინჯერსი"), **იარომირ იაგრმა** ("რეინჯერსი"), **პეტერ ბონდრამ** ("ჩიკაგო"), **მატს სუნდინმა** ("ტორონტო"), **ტეემუ სელიანემ** ("ანაჰაიმი") და **მარკ რეკიმ** ("პიტსბურგი").

კალათბურთი

## ბობკეტსი მწვრთნელს შეიცვლის

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ამ სეზონის დასრულების შემდეგ, "შარლოტ ბობკეტსის" მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებს **ბერნი ბიკერსტაფი**. კლუბის ხელმძღვანელთა ამ გადაწყვეტილების შესახებ ჟურნალისტებს, "შარლოტის" ერთ-ერთმა მფლობელმა - ლეგენდარულმა **მაიკლ ჯორდანმა** აცნობა. ამასთან, ჯორდანმა იმედი გამოთქვა, რომ ბიკერსტაფი, რომელიც პარალელურად კლუბში გენერალური მენეჯერის ფუნქციებსაც ასრულებდა, "ბობკეტსის" სისტემაში მუშაობას გააგრძელებს.

ეს სპეციალისტი "შარლოტს" მესამე სეზონია ავარჯიშებს. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 67 მატჩი მოიგო და 161 წააგო. წლევანდელ რეგულარულში "ბობკეტსს" 23 მოგება და 41 წაგება აქვს და ის სამხრეთ-აღმოსავლეთი დივიზიონის ბოლო ადგილზე იმყოფება.

## პანათინაიკოსმა შიშკაუსკასი დაკარგა

სეზონის გადამწყვეტი მატჩების წინ სერიოზული დანაკლისი განიცადა საბერძნეთის "პანათინაიკოსმა". ევროლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა ტრავმის გამო 20 დღით დაკარგა ლიტველი ლეგიონერი **რამუნას შიშკაუსკასი**. ამ ფორვარდს ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის დარჩენილი მატჩებისა და საბერძნეთის თასის ფინალური შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. ტრავმა შიშკაუსკასმა საბერძნეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მიიღო.

ევროლიგის წლევანდელ გათამაშებაში ლიტველმა კალათბურთელმა 16 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 9.6 ქულას აგროვებდა. ის სამქულიანებს 45.3 პროცენტის სიზუსტით ასრულებს.

ცურვა

## ბრაზილიელი დოპინგზე ჩავარდა

ბრაზილიელი მოცურავე **რენატა ბურგოსი** დოპინგის გამოყენების გამო, ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ბრაზილიის ცურვის კონფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ბურგოსმა აკრძალული პრეპარატი - სტანოზოლოლი გამოიყენა.

დოპინგის კვალი მოცურავეს ბრაზილიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ აღმოუჩინეს. თავად 25 წლის მოცურავე ამტკიცებს, რომ მას დოპინგი არ მიუღია და სასამართლოში აპელაციის შეტანასაც აპირებს.

ოლიმპიზმი

## პრაღას ოლიმპიური ამბიციები გაუჩნდა

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღის მერმა **პაველ ბემმა** მუნიციპალიტეტის საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ეს ქალაქი 2016 ან 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე წამოაყენებს საკუთარ კანდიდატურას. ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას 22 მაისს მიიღებენ.

ბემმა აღიარა, რომ 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მოპოვება ძალიან რთული იქნება, ვინაიდან 2012 წლის თამაშები სხვა ევროპულ დედაქალაქში - ლონდონში უნდა გაიმართოს. თუმცა, პრაღის მერს მიაჩნია, რომ საარჩევნო რბოლაში მონაწილეობის მიღება, მის ქალაქს 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლაში დიდ სამსახურს გაუწევს.

ბიატლონი

## გროსი კარიერას ასრულებს

ამ კვირას, რუსეთის ქალაქ ხანტი-მანსიისკში ბიატლონის მსოფლიო თასის ბოლო ეტაპი გაიმართება. ეს სტარტები უკანასკნელი იქნება ლეგენდარული გერმანელი ბიატლონისტისთვის - **რიკო გროსისთვის**.

*"წლევანდელი მსოფლიო თასის მეცხრე ეტაპის შემდეგ ბიატლონს გამოვემშვიდობები"*, - განუცხადა სააგენტო "როიტერს" 36 წლის გროსმა.

# ფეხბურთი


ტოტენჰემი-ბრაგა. მალბრანკის გოლი გამარჯვებისა იყო

## უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

**ლევერკუზენი-ლანსი 3:0 (1:2)**

**ლევერკუზენი:** ადლერი, კალსენ-ბრაკერი, ჟუანი, ბაბიჩი, ბარნეტა (90. შტენმანი), კასტრო, ბარბარესი, როფლესი, შნაიდერი, კისლინგი (79. შვეგლერი), ვორონინი (90. ფრაიერი).

**ლანსი:** იტანჯი, ა. კულიბალი, ჟილე, ჰილტონი, კარიერი, დემონი, [illegible]უ კეიტა, ტიშიე (46. დინდანი), კუზენი (72. ბუხარი), ჟემაა, მონტერუბიო (72. მონე-პაკე).

**გოლები:** 1:0 ვორონინი (36), 2:0 ბარბარესი (55), 3:0 ჟუანი (70)

**გაფრთხილება:** 3-4

**მაყურებელი:** 22 500

**ოსასუნა-რეინჯერსი 1:0 (1:1)**

**ოსასუნა:** რიკარდო, კორალესი, კრუჩაგა, ხავიერ ფლანო, ხოსეჩო, ასპილიკუეტა (66. დავიდ ლოპესი), ხუანლუ (82. ხუანფრანი), ნექუნამი, პუნიალი, რომეო (74. რაულ გარსია), ვებო.

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, ეჰიოგუ, ჰატონი, უეირი, ადამი, ემდანი, მიურეი, რაე (73. ბოიდი), ტომსონი (53. ბერკი), ნოვო, სებო (64. პრშო).

**გოლი:** 1:0 ვებო (71)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 19 126

**ვერდერი-სელტა 2:0 (1:0)**

**ვერდერი:** ვიზე, მერტეზაკერი, ნალდო, შულცი, ვომე, ფრინგსი, ფრიტცი, ვრანიესი (63. ოვომოიელა), დიეგო (75. ბიშოფი), უგო ალმეიდა, ჰანტი (46. შინდლერი).

**სელტა:** ესტებანი, ანხელი (69. ვილა), ლეკი, პლასენტე, ტამასი, იაგო, ჯონათანი, ხორხე (73. კანობიო), ნენე, პაბლო გარსია, გუაირე (35. ხესუს პერერა).

**გოლები:** 1:0 უგო ალმეიდა (48), 2:0 ფრიტცი (61)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 35 278

**ტოტენჰემი-ბრაგა 3:2 (3:2)**

**ტოტენჰემი:** ჩერნი, შიმბონდა, დოუსონი, ჰადლსტოუნი, ლი, სტალტერი, ლენონი (81. გალი), მალბრანკი, სოკორა, ბერბატოვი, კინი (66. დეფო).

**ბრაგა:** პაულო სანტუში, მიგელ ფერნანდესი, ლუიშ ფელიპე, პაულო ჟორჟე, როდრიგესი (40. ნემი), ფრეშო, ამარალი, ანდრესი, ჟოაო პინტუ (74. მაციელი), ვენდერსონი, ზე კარლუში (74. სეზინია).

**გოლები:** 0:1 ჰადლსტოუნი (24-საკ. კარში), 1:1 ბერბატოვი (28), 2:1 ბერბატოვი (42), 2:2 ამარალი (61), 3:2 მალბრანკი (76)

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 33 761

# სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

## შილდმა გაილაღა


რენატე გიოჩლი და დიდიე კუშე

შვეიცარიის სამთო კურორტ ლენცერჰაიდეში ჩატარდა მიმდინარე სამთო-სათხილამურო სეზონის დაშვების ბოლო რბოლები. კაცებში გამარჯვება მოიპოვა ნორვეგიელმა **აკსელ ლუნდ სვინდალმა**, ქალებში კი საუკეთესო იყო ავსტრიელი **მარლის შილდი**.

ამ მოგებით, სვინდალმა საგრძნობლად გაიუმჯობესა პოზიცია აბსოლუტურ კლასიფიკაციაში, სადაც ლიდერობა კვლავ ავსტრიელ **ბენი რაიხის** ხელშია, ვინც რბოლა მე-13 ადგილზე დაასრულა. მეცხრე შედეგი ჰქონდა ამერიკელ **ბოდე მილერს**, ვინც მანამდე დიდი გლობუსის მოპოვების თეორიულ შანსებს კი ინარჩუნებდა, მაგრამ ახლა ეს შანსებიც დაკარგა.

მხოლოდ მეხუთე შედეგს დასჯერდა შვეიცარიელი **დიდიე კუშე**, ვისაც დაშვებაში მცირე გლობუსი უკვე განაღდებული ჰქონდა, აბსოლუტურში კი მეორედან მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

სხვათა შორის, მსოფლიო თასის ბოლო რბოლებში, ქულებს პირველ 15 ადგილზე გასული მოთხილამურეები იღებენ. ეს მაშინ, როცა წინა რბოლებში ქულებს მონინავე 30 კაცი იღებდა.

რბოლა თბილ ამინდში მიმდინარეობდა, რამაც ტრასა მეტისმეტად დაარბილა, ამან კი მოასპარეზეებს ბევრი პრობლემა შეუქმნა. მძიმე ავარია მოუვიდა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, შვეიცარიელ **ბრუნო კერნენს**, ვინც ჰოსპიტალში ვერტმფრენით გადაიყვანეს. კერნენს კისრისა და მუხლების ტრავმა აქვს. გუშინ ვერტმფრენს ორი რეისის შესრულება მოუხდა - მეორე დაზარალებული ფრანგი **პიერ-ემანუელ დალსენი** იყო.

ინციდენტები ქალთა რბოლის დროსაც მოხდა, თუმცა ამჯერად ჰოსპიტალი საჭირო აღარ გახდა. რბოლა კი **რენატე გიოჩლის** გამარჯვებით დასრულდა, ვისაც დაშვებაში ისედაც მოპოვებული ჰქონდა მცირე გლობუსი. რბოლის ნამდვილ გმირად იქცა მისი თანაგუნდელი **მარლის შილდი**, ვისთვისაც დაშვებაში დაკავებული მეორე ადგილი კარიერაში საუკეთესოა.

ამ მეორე ადგილით, შილდმა აბსოლუტურში ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. ჯერ ერთი, 55 ქულას უგებს მეორეზე მყოფ თანამემამულე **ნიკოლ ჰოსპს**. მეორეც, დარჩენილი სამი რბოლიდან ორი მისი სპეციალობაა. მოკლედ, ყველაზე დიდი შანსი იმისა, რომ ხორვატი **იანიცა კოსტელიჩისგან** დიდ გლობუსს გადაიბარებს, სწორედ შილდს აქვს.

რაც შეეხება გიოჩლს, ვინც კარიერაში მსოფლიო თასის 46-ე რბოლა მოიგო, დაშვების გარდა, მცირე გლობუსი უკვე განაღდებული აქვს სუპერგიგანტშიც, აბსოლუტურში ის მესამეზეა და ლიდერს 82 ქულით ჩამორჩება. თუ გაუმართლა, მან შეიძლება გაიმეოროს 2000 წლის მიღწევა, როცა დიდი გლობუსი პირველად და ჯერჯერობით, ერთადერთხელ მოიპოვა.

დიდი გლობუსის მოპოვების შანსს ჯერაც ინარჩუნებს ამერიკელი **ჯულია მანკუზო**, ვინც ლიდერს 86 ქულით ჩამორჩება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ლენცერჰაიდე (შვეიცარია)
დაშვების ბოლო ეტაპები

**კაცები**

1. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 1:18.97; 2. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 1:19.02; 3. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 1:19.04; 4. ტედ ლიგეტი (აშშ) 1:19.06; 5. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1:19.07; 5. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:19.07; 7. ანდრეას ბუდერი (ავსტრია) 1:19.30; 8. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 1:19.34; 9. ბოდე მილერი (აშშ) 1:19.46; 10. ამბროზი ჰოფმანი (შვეიცარია) 1:19.48...

დაშვების საბოლოო კლასიფიკაცია

1. დიდიე კუშე (შვეიცარია) 652; 2. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 471; 3. ერიკ გუაი (კანადა) 393; 4. პეტერ ფილი (იტალია) 382; 5. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 370...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1075; 2. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 1052; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1008; 4. ბოდე მილერი (აშშ) 772; 5. პეტერ ფილი (იტალია) 694...

**ქალები**

1. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:22.73; 2. მარლის შილდი (ავსტრია) 1:23.31; 3. მარი მარშან-არვიე (საფრანგეთი) 1:23.40; 4. მარია რიში (გერმანია) 1:23.76; 5. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:23.78; 6. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:23.81; 7. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:23.97; 8. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 1:24.17; 9. ფრანცი აუფდენბლატენი (შვეიცარია) 1:24.32; 9. ემილი ბრაიდონი (კანადა) 1:24.32...

დაშვების საბოლოო კლასიფიკაცია

1. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 705; 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 536; 3. ლინდსი კილოდუ (აშშ) 390; 4. ანია პერსონი (შვედეთი) 293; 5. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 264...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 1382; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1327; 3. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1300; 4. ჯულია მანკუზო (აშშ) 1296; 5. ლინდსი კილოდუ (აშშ) 808...

# TV სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**15 მარტი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ველეს სარსფილდი (არგენტინა)-ინტერნასიონალი (ბრაზილია).
**15:10** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:15** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:15** უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი.
**20:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** უიქენდის მატჩების ანონსი.
**20:35** ტოქ-შოუ - 2:1.
**21:20** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ველეს სარსფილდი (არგენტინა)-ინტერნასიონალი (ბრაზილია).
**23:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:25** უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი.
**09:45** სპორტკლუბი.
**09:55** სპორტინფორმი.
**10:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:10** სპორტინფორმი.
**11:25** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლევერკუზენი-ლანსი.
**13:10** კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ხუვენტუდი-პარტიზანი.
**14:55** ფიტნესი.
**15:20** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:20** რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1978 წ. ფინალი. იფსვიჩი-არსენალი.
**18:05** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**18:35** სპორტინფორმი.
**18:45** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ველეს სარსფილდი (არგენტინა)-ინტერნასიონალი (ბრაზილია).
**20:30** სპორტინფორმი.
**20:40** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-პიტსბურგი.
**22:25** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**22:55** კრივი. ნოკაუტების ჟამი.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. უნიკახა-დინამო (LIVE).
**01:50** სპორტკლუბი.
**02:10** სპორტის სახე.
**02:37** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი-რომა.
**04:27** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**05:27** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**05:52** სპორტკლუბი.
**06:00** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-სტ. ლუისი (LIVE).

**EUROSPORT**

**11:30** ექსტრემალური სპორტი.
**12:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ლენცერჰაიდი. გერმანია.
**13:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ხანტი მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
**15:00** ბარის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ქალები. სპრინტი. დრამენი. ნორვეგია.
**15:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერ-გიგანტი. ლენცერჰაიდი. გერმანია (LIVE).
**16:45** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. ხანტი მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
**18:15** ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. IV ეტაპი (LIVE).
**19:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ხანტი მანსიისკი. რუსეთი.
**20:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. ხანტი მანსიისკი. რუსეთი.
**21:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS100. ლილეჰამერი. ნორვეგია (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
**23:45** კრივი. WBA-ის ვერსია. ნ. ვალუევი (რუსეთი)-ჯ. მაკლაინი (აშშ). ბაზელი. შვეიცარია.
**00:45** კრივი. IBF-ის ვერსია. კ. ჰატონი (ბრიტანეთი)-ჯ. ურანგო (კოლუმბია). ლას ვეგასი. აშშ.
**02:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
**02:30** ბრძოლ წესების გარეშე.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**ასტონ ვილა-არსენალი 0:1**

**ასტონ ვილა:** სორენსენი, ბერდსლი, ბუმა, კაჰილი, მელბერგი, ბერი, მაკკანი (74. ბერგერი), პეტროვი, აგბონლაორი, კარიუ, იანგი.

**არსენალი:** ლემანი, ჯურუ, გალასი, ჰოიტი, ჟილბერტო სილვა, ბაპტიშტა (65. ფლამინი), დენილსონი, დიაბი (63. როსიცკი), ფაბრეგასი, ლიუნგბერგი, ალიადიერი (90. სენდეროსი).

**გოლი:** 0:1 დიაბი (10)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 14-4; **კარში დარტყმა:** 12 (6)-10 (5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 38 968

**მანჩ. სიტი-ჩელსი 0:1**

**სიტი:** ისაკსონი, დესტენი, დანი, ჟიხაი (63. მილერი), რიჩარდსი, ბარტონი, ჰამანი (80. დაბო), ეარლენდი, ე. მპენზა, ვასელი (72. სამარასი).

**ჩელსი:** ჩეხი, კარვალიო, ე. კოული, ტერი, ბალაკი, ჯერემი, ლემპარდი, მაკელელე (90. დიარა), დროგბა, კალუ, რობენი (77. რაიტ-ფილიპსი).

**გოლი:** 0:1 ლემპარდი (28-პენ)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 8 (2)-6 (3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 39 429

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტ. იუნ | 29 | 23 | 3 | 3 | 66-19 | 72 |
| 2. ჩელსი | 29 | 20 | 6 | 3 | 51-19 | 66 |
| 3. არსენალი | 28 | 16 | 7 | 5 | 51-23 | 55 |
| 4. ლივერპული | 29 | 16 | 5 | 8 | 44-20 | 53 |
| 5. ბოლტონი | 29 | 14 | 5 | 10 | 34-34 | 47 |
| 6. ევერტონი | 29 | 11 | 10 | 8 | 37-26 | 43 |
| 7. რედინგი | 29 | 13 | 4 | 12 | 43-38 | 43 |
| 8. ტოტენჰემი | 29 | 12 | 6 | 11 | 40-43 | 42 |
| 9. პორტსმუთი | 29 | 11 | 8 | 10 | 36-31 | 41 |
| 10. ბლეკბერნი | 29 | 12 | 4 | 13 | 35-39 | 40 |
| 11. ნიუკასლი | 29 | 10 | 7 | 12 | 34-37 | 37 |
| 12. მიდლსბრო | 29 | 9 | 9 | 11 | 32-34 | 36 |
| 13. ასტონ ვილა | 29 | 7 | 12 | 10 | 29-35 | 33 |
| 14. ფულჰემი | 29 | 7 | 12 | 10 | 31-44 | 33 |
| 15. ვიგანი | 29 | 9 | 5 | 15 | 30-44 | 32 |
| 16. შეფილდი | 29 | 8 | 7 | 14 | 25-41 | 31 |
| 17. მანჩესტ. სიტი | 28 | 8 | 6 | 14 | 20-34 | 30 |
| 18. ჩარლტონი | 29 | 6 | 6 | 17 | 26-49 | 24 |
| 19. უოტფორდი | 29 | 3 | 11 | 15 | 18-43 | 20 |
| 20. ვესტ ჰემი | 29 | 5 | 5 | 19 | 21-50 | 20 |

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| პლიმუტი-ბარნსლი | 2:4 |
| ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი | 2:3 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-კროტონე | 2:1 |

**ბელგიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| კორტრიიკი-ბრიუგე | 1:1 |
| მეხელენი-გენტი | 0:1 |
| სტანდარდი-ანტვერპენი | 4:0 |
| ანდერლეხტი-გენკი | 6:0 |

**შოტლანდია**

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ისტ სტირლინგი-არბროა | 1:5 |

**ფინეთის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ოულუ-იარო | 2:0 |
| პაკა-ვაასა | 4:1 |

**შვეიცარიის თასი**

| | |
|---|---|
| ბაზელი-არაუ | 1:0 |
| ლუცერნი-გრასჰოპერსი | 3:1 |
| ციურიხი-სტ. გალენი | 1:0 |

**საბერძნეთის თასი**

| | |
|---|---|
| ლარისა-იანინა | 2:0 |

**რუსეთის თასი**

| | |
|---|---|
| ტომი-დინამო (მ) | 1:0 |
| სატურნი-ზენიტი | 1:1 |

**პოლონეთის თასი**

| | |
|---|---|
| რადომიაკი-კრაკოვია | 1:3 |
| რუხი-გროცლინი | 0:1 |

**ხორვატიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| რიეკა-სლავენი | 0:0 |
| დინამო-ჰაიდუკი | 1:0 |

**სერბეთის თასი**

| | |
|---|---|
| ჩუკარიჩკი-ცრვენა ზვეზდა | 0:2 |
| ბანატი-ბეჟანია | 1:0 |
| მლადოსტი-პარტიზანი | 0:3 |
| რადნიჩკი-ვოივოდინა | 1:2 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-ოლიმპიაკოსი | 83:79 |
| ეფესი-ბარსელონა | 82:78 |
| ბენეტონი-არისი | 83:72 |
| ხუვენტუდი-პარტიზანი | 80:89 |

**ევროპის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| აზოვმაში-აელ | 97:69 |
| ხირონა-პანიონიოსი | 83:49 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-აკ ბარსი | 3:5 |
| ლადა-ცსკა | 3:3 |
| სევერსტალი-ხიმიკი | 2:0 |
| ვიტიაზი-ავანგარდი | 0:1 |
| დინამო-ლოკომოტივი | 2:4 |
| ნეფტეხიმიკი-სიბირი | 2:0 |
| სკა-ს. იულიაევი | 2:2 |
| მედ-მეტალურგი (მ) | 2:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-ტრენჩინი | 1:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზნოიმო-პარდუბიცე | 2:1 |
| ტრშინეცე-ლიბერეცი | 3:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მოდო-ტიმრა | 2:5 |
| ჰვ71-ბრინასი | 6:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ბენეტო | 6:3, 6:1 |
| დავიდენკო-მარეი | 6:7, 4:6 |

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ზვანორევა-ლი | 4:6, 5:7 |

# სარკის ფილოსოფია



ერთხელ კინაღამ შემომთავაზეს უმაღლეს სასწავლებელში ლექციების წაკითხვა სპორტულ ჟურნალისტიკაში. კინაღამ დავთანხმდი, მაგრამ გავითვალისწინე ჩემი ფონეტიკური შესაძლებლობები, უფრო სწორად დიქცია, რის გამოც ლექცია გაუგებარი დარჩებოდა სტუდენტთა ალბათ ნახევრისთვის და მტკიცედ ვთქვი უარი.

დღეს კი, ექსპერიმენტის სახით, ახალგაზრდა ჟურნალისტებსა და სტუდენტებს, ვერბალური ლექციის მაგივრად შემოგთავაზებთ ლექციას ქაღალდზე, სადაც ცოტა უკეთ ვგრძნობ თავს, ვიდრე აუდიტორიის წინაშე ან მიკროფონთან. და თუ ეს წერილი უკვე ასაკოვანი კაცის ჩვეულ ბუზღუნად მოგეჩვენოთ ახალგაზრდა ჟურნალისტებს, ღუმელი ახლოს გექნებათ (ჯერ კიდევ ზამთარია), ანდა სანაგვე ურნაში მაინც მიუჩენთ ადგილს. და თქვენი საქმე გააგრძელეთ.

ისე კი გირჩევთ, და თვითონაც ამ თვალსაზრისზე ვარ დღემდე, რომ ჟურნალისტი, ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა, ერთგვარ რევიზიას უნდა უტარებდეს საკუთარ მოსაზრებებს, დასკვნებს, განსაკუთრებით ამა თუ იმ მოვლენაზე და ყველა მისაწვდომი საშუალებით ამოწმებდეს მათ. თვითდაჯერებულება შეიძლება ეპატიოს, ვთქვათ, მაიკლ ჯორდანს ან ჟოზე მოურინიუს, ხოლო სიჯიუტე - ტყვედჩავარდნილ პარტიზანს. ჟურნალისტი კი მუდმივ ძიებაშია იმ უზარმაზარ, ცვალებად სამყაროში, რომელსაც სპორტი ჰქვია და სადაც ყოველთვის შეიძლება ისეთი სიახლეები აღმოაჩინო, გუშინ რომ არ დაგესიზმრებოდა.

ამისთვის, ვფიქრობ, დასაწყისისთვის საჭიროა დავდგეთ სარკის წინ და ვაღიაროთ, რომ მსოფლიოსა და თვით საქართველოშიც კი, არიან ადამიანები, რომლებმაც სპორტი და თვით ჟურნალისტიკა თქვენზე კარგად იციან. მათგან სწავლა სირცხვილი არ არის, მაგრამ აქაც, ჩემი აზრით, სიფრთხილეა საჭირო, რაზედაც ქვევით ითქმება.

არის ერთი, ასე ვთქვათ, ოქროს წესი: რა ინტერპრეტაციითაც არ უნდა მიუდგეთ ამა თუ იმ სპორტულ მოვლენას, მომხდარი ფაქტები ზუსტად უნდა იყოს გადმოცემული. ამის გარეშე თქვენი რეზიუმე მხოლოდ ერთადერთი ადამიანის მოსაზრებად დარჩება და არა განსჯის საგნად, თუმცა ზოგი შეიძლება დაგეთანხმოთ კიდეც.

ვთქვათ, რომელიმე სპორტული შეჯიბრების დროს სარბიელს მიღმა მოხდა ძალიან დიდი ამბები და იგი ტელეეკრანს მიღმაც დარჩა. ის მაყურებელი, რომელმაც ყველაფერი ნახა, მეორე დღეს თქვენგან, პირველ რიგში, მომხდარის შეფასებასა და დამატებით ინფორმაციას მოითხოვს. ვინც ვერ ნახა, მათ რიცხვში კი გაცილებით მეტი ადამიანია, იმას ჯერ რეალური ფაქტები სჭირდება და მერე სხვა დანარჩენი, მათ შორის თქვენეული შეფასება. მართალია, ოპერატიულობით ბეჭდვითი მედია ვერასოდეს აჯობებს ტელევიზიას, მაგრამ მოვლენათა ფართოდ, სიღრმისეულად აღწერა-ანალიზისთვის გაზეთი საუკეთესო საშუალებაა.

მაქვს კიდევ ერთი მოწოდება, თხოვნა, თუ რაც გინდათ ის დაარქვით - გაუფრთხილდით ენას, რომელიც თქვენთვის, ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვისაც, არა მხოლოდ დედა-ენაა, არამედ დღევანდელი და განსაკუთრებით ხვალინდელი დღის სარჩო. მისი კარგად ფლობა ბანკში შეტანილი დიდი კაპიტალივითაა, რომელიც მთელი ცხოვრება იძლევა დივიდენდებს. ამ მხრივ ფრანგებს ვერავინ შეედრება. რედაქტორსა და ჟურნალისტს კი არა, რიგით ფრანგს ურჩევნია უცხოელს თავისი დამტვრეული ინგლისურით დაელაპარაკოს, ვიდრე ის გაესაუბროს დამტვრეული ფრანგულით. ამიტომ არის საფრანგეთში ენობრივად ყველაზე დახვეწილი ჟურნალისტიკა მთელ მსოფლიოში.

რა თქმა უნდა, ენა სიახლით უნდა სუნთქავდეს, მაგრამ ამ საკითხში თვითშემოქმედება, დამიჯერეთ, არაფრით არ შეიძლება. დღეს ჟურნალისტიკაში და განსაკუთრებით სპორტულში, ლამის ყველას თავისი საკუთარი დედა-ენა აქვს, მაგრამ ამასთან ისე, პირდაპირ შაშვებივით ჰგვანან ერთმანეთს, მთელი ეს "ლინგვისტიკური სიმდიდრე" ერთი კაცის ტვინის ნაჭყლეტი გეგონებათ. თუმცა კი ბრძნული ნათქვამია, რომ სტილი - ეს თვითონ ადამიანია, რომლის ნაშრომი სხვებში გვარის წაუკითხავად უნდა გამოიცნო. საკუთარი, გამორჩეული სტილი, რომელიც ენის კარგი ცოდნითაა გამაგრებული, ისეთივე საამაყოა, როგორც სპორტის ამა თუ იმ სახეობის კარგად ცოდნა.

სიტყვების ყოველგვარი მართლწერის გარეშე, საკუთარი ინტერპრეტაციით ხმარება არ არის არც თავისუფლება და არც სიმამაცე, რადგან ამისთვის არავინ გტუქსავთ და გსჯით. პირიქით, ეს უფრო დღევანდელი კომპლექსების შედეგია, რომ "ახალ ქართულში" კოლეგებს არ ჩამორჩე. საკმაოდ ბევრი ჟურნალისტი, ეს უფრო ახალგაზრდებს ეხება, ამ "მოდური" სიტყვების რახარუხს ისეა ამოფარებული, როგორც ამბრაზურას, რათა დაფაროს თავისი სიკოჭლე ქართულ ენაში და უცოდინრობა - სპორტში. ამისი დივიდენდი მხოლოდ ის არის, რომ ვიღაც ლაწირაკი, ან ცოტა მოზრდილი ფანი იტყვის - ვა, რა მაგარი ტიპი ყოფილა, ისე წერს, როგორც მე ვლაპარაკობ ტრიბუნაზეო.

რამდენიმე ათასი ეროვნების არსებობის პირობებში, ენის ლვიძლი ძმა, შრიფტი, ჯგუფების მიხედვით მხოლოდ თოთხმეტია მთელ დედამიწაზე და მათ შორის ქართულია ცალკე. ეს პირდაპირ მიგვანიშნებს, რა სიმდიდრე დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა. იგი, დროის კვალობაზე, უნდა განახლდეს და დაიხვეწოს, მაგრამ არა ასე: "მწვანით დაფენილ მოედანზე 15 მძლავრჯეელი შემოჯლიგინდა" (იფ-იფ, რა ფრაზა მოვიფიქრე, პირდაპირ თითებს ჩაიკვნეტ); ანდა ვთქვათ სიტყვა: "ფეხმტკივანმთავარმეგოლე". მოკლედ, როგორც ჩვენი ხელისუფლება იტყოდა, ოპტიმიზაცია მოვახდინე, ოთხი სიტყვა გავაუქმე და ერთი შევქმენი. მსგავსი "მარგალიტები" კი არაერთხელ წამიკითხავს, ხანდახან სერიოზული უხამსობაც კი. ხომ კითხულობთ უცხოეთის მასმედიიდან გადმობეჭდილ წერილებს ("კიკერი", "ფრანს ფუტბოლი" და ა.შ.). ისინი მეტად საინტერესოა იმის მიუხედავად, რომ ახალი სიტყვების გამოგონება არ სჭირდებათ. უბრალოდ, კარგი ჟურნალისტები არიან და თავისი საქმე ძალიან კარგადაც იციან.

ნამდვილი დივიდენდი კი, ვფიქრობ, ის არის, როცა კალამი კარგად გიჭრის და ამასთან, გულშემატკივრების გარდა, სპორტის ჟურნალისტებიც გიყურებენ პატივისცემით, რადგან მათ "ზონაში" შეხვედი და უკვე თამამად შეგიძლია გამოთქვა საფუძვლიანი შენიშვნები, თუნდაც კითხვების სახით.

ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით პირველ თვეებსა თუ წლებში, შენს გვერდით იყოს ისეთი რედაქტორი, ან სტილისტი, ბიძა თუ უფროსი კოლეგა, რომელიც მთელი მონდომებით გაგისწორებთ ნაწერებს და შეცდომებზეც მიგითითებთ. ასეთი "ცოცხალი" სკოლა ძალიან შედეგიანია. მალე გაივლის დრო და წერისას თავს ისე იგრძნობთ, როგორც თევზი წყალში. ამასთან იკითხეთ ბევრი, მიუხედავად იმისა, რომ დატვირთულები ხართ. ბევრი კითხვითა და კარგი მრჩევლებისგან შეძენილი ცოდნა გაცილებით დიდი კაპიტალია, მით უფრო მომავალი წლებისთვის, ვიდრე უბნის ბიჭებში თავის მოწონება. სულ ახალგაზრდა ხომ არ იქნებით...

ასეთი და სხვა მრავალი დასკვნა ჩემი დიდი "სიბრძნის" შედეგი არ არის. მე, თავის დროზე, მსგავსი სკოლა გავიარე იმ გაზეთში, რომელიც ახლა ხელში გიჭირავთ და შესანიშნავ მასწავლებლებთან, "ლელოს" იმ შემადგენლობიდან შემდეგ 17 რედაქტორი გამოვიდა, და არა მარტო სპორტული გამოცემებისა.

რაც შეეხება სწავლას სპეციალისტებისგან. ალბათ სარისკოა რჩევა-დარიგება ჰკითხოთ იმ მწვრთნელსა თუ სპორტის ფუნქციონერებს, ვისთანაც მომავალში ხშირად გექნებათ ურთიერთობა. შემდეგ რა დონესაც არ უნდა მიაღწიოთ, მას ყოველთვის ემახსოვრება, რომ სპორტის იმ სახეობის ანა-ბანა პირველად მან გაგანდოთ და ძველ შთაბეჭდილებას ბოლომდე ვერ გაუქარწყლებთ. დამოკიდებულებაც შესაბამისი იქნება.

ერთ პირად მაგალითზე მინდა მოგითხროთ. "გარეთ" სწავლა გაცილებით ადვილი იყო საბჭოთა პერიოდში ენობრივი ბარიერის არარსებობის გამო. რუსული ყველამ იცოდა. 1983 წელს, ყველაზე გრანდიოზული საკავშირო კომპლექსური შეჯიბრების, VIII სპარტაკიადის დროს სათაო ორგანიზაციიდან, ანუ "ლელოდან" დამავალეს, ბიტცაში წახვალ და საცხენოსნო სამჭიდს გააშუქებო.

მანამდე დავდიოდი მძლეოსანთა, მოჭიდავეთა ასპარეზობებზე, მოკლედ, ნაცნობ გარემოში. ცხენოსნობასაც ასე თუ ისე ვიცნობდი: ცხენის გაწვრთნა, კონკური, ანუ დაბრკოლებათა გადალახვა, მაგრამ ეს სამჭიდი... მოკლედ, მოსკოვის ცენტრიდან (კრემლის ახლოს, "როსიაში" ვცხოვრობდი) გავემგზავრე შორეულ გარეუბანში. გინდა თბილისიდან საგარეჯოში ჩასულხარ. ბიტცის საცხენოსნო ბაზაზე მისვლისას იმ სამჭიდში ორი "ნაცნობი" აღმოვაჩინე - ცხენის გაწვრთნა (რუსულად "ვიეზდკა") და კონკური. მესამე საცხენოსნო კროსი ყოფილა ბიტცის ტყე-პარკში დაბრკოლებათა გადალახვით, მგონი 6-კილომეტრიანი.

მაშინ უკვე ვხვდებოდი, რომ ჩვენი სპეციალისტებისთვის დილეტანტური კითხვების დასმით საბოლოოდ წავიხდენდი შთაბეჭდილებას მათ თვალში. კარგა ხანს ვათვალიერე უზარმაზარ ფოიეში მოფუსფუსე ხალხი და მათგან ყველაზე წითელცხვირა, უბრალო ადამიანი ამოვირჩიე. მის მოლილისფრო ყნოსვის ორგანოს სინათლეზე სულ ლაპლაპი გაუდიოდა. გამიმართლა: იგი ძველი, ჭეშმარიტი მხედარი აღმოჩნდა, ტანდაბალი და როგორც ახლა იტყვიან, უკვე "გრადუსს ჩახუტებული" (ჟოკეებს, მაგალითად, 59 კმ-ზე მეტი წონა არ უნდა ჰქონოდათ). მისთვის საჯინიბო მთელი სამყარო იყო და ცხენი - ამ სამყაროს ეპიცენტრი.

ჯერ გაუკვირდა, რაზე ვეკითხებოდი, ვერ წარმოედგინა, რომ "კულტურულ" ადამიანს საცხენოსნო სამჭიდი არ სცოდნოდა. რა თქმა უნდა, დალევა შევთავაზე და ცხადია, არც მან მტკიცა ცივი უარი. იცოცხლე, მაშინ მოსკოვში ჩეხური ლუდი და ხიზილალა ბლომად იშოვებოდა. გახალისებული, მთელი სამი საათი მიკითხავდა ლექციას. როცა მაგიდიდან ავდექით, გუშინდელი პროფანი კი არ ვიყავი ცხენოსნურ სამჭიდში, არამედ იმდღევანდელი პროფესიონალი.

უფრო მოგვიანებით შეჯიბრების ცხრილი შევათვალიერე, მერე მივედი საქართველოს ცხენოსანთა ნაკრების უფროს მწვრთნელთან, ბატონ რეზო ჯაფარიძესთან და ვკითხე, თუ რატომ გააკეთეს ჩვენმა ცხენებმა ამდენი "ზაკიდკა" მეოთხე წინაღობაზე.

ბატონი რეზო ცოტა დაიბნა: უცნობი ჟურნალისტი სერიოზული ოპონენტია და სვამს ძალიან ღრმა, პროფესიონალურ შეკითხვას. მერე ასევე სერიოზულად, როგორც კოლეგა კოლეგას, მიხსნიდა, რომ ის წყეული ბარიერი მართლაც საშინელება იყო - ღრმა ორმოს თავზე ბარიერი იდგა. დამავიწყდა მეთქვა, რომ ის "ზაკიდკა" ცხენის შეყოვნებაა ბარიერთან, როცა ვერ გადახტება და ყალყზე შედგება. ამ დროს მხედარი 4 საჯარიმო ქულას იღებს. ქართველ ცხენოსანთა თავკაცმა დამამშვიდა, ახლა სხვები გამოდიან და ნახავ, მაგ ადგილზე რამდენ ჯარიმას აიკიდებენ, ჩვენ კი კარგი პოზიცია გვიჭირავსო.

ბატონი რეზო მართალი აღმოჩნდა. საქართველოს ნაკრებმა საბოლოოდ ვერცხლის მედლები დაიმსახურა, მხოლოდ რუსეთის ფედერაციას ჩამოვრჩით.

ასეთ დროს საუკეთესო შემთხვევაა, როცა თვითონ ვარჯიშობდი სპორტის შესაბამის სახეობაში და, რომ იტყვიან, სხეულით გრძნობ მის ყველა ნიუანსს. და თუ წერის კულტურაც გიმაგრებს ზურგს, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეიძლება თავი პროფესიონალად ჩათვალო. არასპორტსმენი ჟურნალისტისთვის კი ასეთი ცოდნის შესაძენად საკმაოდ ხანგრძლივი შრომა, ბევრი კითხვა და კონსულტაციაა საჭირო... "განზე". მაგრამ მასმედიაში, ყოველ შემთხვევაში პრესაში, სჯობს იყო კარგი ჟურნალისტი, ვიდრე ყოფილი, თუნდაც კარგი სპორტსმენი, რომელსაც გაზეთში თავისი ცოდნის კარგად წარმოჩენა არ შეუძლია, და არ აქვს აზროვნების ფართო დიაპაზონი...

გარდა ამისა, საქართველოში საკმარისად არიან სპორტის ნამდვილი სპეციალისტები, რომლებიც ახლა მისგან განზე დგანან, მაგრამ საკუთარი ცოდნა ისევ თავისთან აქვთ. ასეთ ხალხთან ურთიერთობას არაფერი სჯობს.

ის რამდენიმე მოსაზრება, რომელიც ამ წერილობით "ლექციაში" წარმოგიდგინეთ, მხოლოდ პაწაწკინტელა კუნძულია სპორტული ჟურნალისტიკის ოკეანეში. და თუ მასში არაფერი იყო თქვენთვის საინტერესო, სანაგვე ურნა მუდამ ახლოსაა. თუმცა მანამდე იქნებ ცოტა დაფიქრდეთ, ვინიცობაა...

ნახვამდის!

**გიორგი ჩოჩიშვილი**


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა